საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- გერმანიაში დიდის წარმატებით ჩატარდა კომპარტიის მიერ მოწყობილი „უმუშევართა დღე“.
- ბელგიაში სასტიკი ცენზურა შემოღებული.
- ლენინგრადში მივიდა ოსმალეთის მცურავი გამოფენა.
- საბჭოთა კავშირის მუშა-ქალებმა ინგლისელ მემაღაროებს 470.000 მ. გაუგზავნეს.
- მიმდინარე წლის დამლევს შეიკრიბება კონფერენცია საერთაშორისო ვალების შესახებ.
- გერმანიასა და ჰოლანდიას შორის დაიდვა სავაჭრო ხელშეკრულება.
- ნიუ-იორკში გაიფიცენ ტრანსპორტის მუშები.
- ვარშავაში მოკლეს პროვოკატორი ბერნარჩიკი.

პარასკევი, 30 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 172 (1717)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
გაფართოებული პლენუმი

შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში.

სხდომის დარბაზში შესასვლელ ნებართვას ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამ.-კავკ. ცენტ. საკონტრ. კომისიის, რესპუბლიკების ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიების წევრები და კანდიდატები, საკავშირო კომპარტიის (ბ) სატახტო ქალაქების, რაიკომების და სამაზრო პარტკომების მდივნები და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეები მიიღებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივი შესვლის ნებართვას იღებენ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ქართველიშვილი.

სრულ 5 საათზე რუსთველის თეატრში შაბათს, ა.-წ. 31 ივლისს, საღამოს

შესდგება

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის

გაფართოებული პლენუმი

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას, თბილისის რაიკომების და საუჯრედო ბიუროების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას: მამია ორახელაშვილის მოხსენება

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან მანდატებით.

დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ საორგანიზაციო განყოფილებაში.

კომკავშირის თბ. კომიტ მდივანი სალუქვაძე.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

ივნისმა საბოლოოთ გაამართლა წინასწარი იმედები წლევანდელი მოსავალის შესახებ. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის საკონიუნქტურო მიმოხილვის თანახმად, რომელიც გამოაქვეყნა საგეგმო კომისიამ და რომელიც შეეხება წარსულ ივნისის თვეს, ირკვევა, რომ წელს პურის მოსავალი საშუალოზე მეტია.

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობის ტეხნიკურ კულტურას (ბამბა, კანაფი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვა), მდგომარეობა აქაც დამაკმაყოფილებელია, რამდენადაც ის უკვე არსებულ ნიშნების მიხედვით იმედს იძლევა, რომ არ ჩამორჩება შარშანდელ მოსავალის დონეს.

კარგმა იმედებმა სასოფლო მეურნეობაში, რომელიც ივნისმა სავსებით გაამართლა, ბუნებრივად გამოიღო თავისი დადებითი შედეგები. ახალ მოსავალის გამო ხორბალის ფასმა საშუალოთ 37 პროცენტით დაიწია.

ამ მდგომარეობით ჩვენ თავს ვერ ვინუგეშებდით, რომ ასეთივე ტენდენცია არ დატყობოდა მრეწველობის საგნების ფასებსაც. მაისიდან დაწყებული ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებზე ფასები შეუჩერებლივ იკლებენ. აღსანიშნავი აქ მხოლოდ ისაა, რომ მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის საგნების ფასების დაკლება ერთნაირი ტემპით არ მიმდინარეობს. პირველს წინ უსწრებს მეორე, ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია ვერ მიჰყვება ფეხ და ფეხ სოფლის პროდუქციის გაიაფებას. შესაძლებელი საფრთხის მთელი სიმძიმეც სწორეთ ამ უსწორმასწორობაში მდგომარეობს.

ამნაირად ბაზრის კონიუნქტურა ისეთია, რომ ეგრეთ-წოდებული ფასების მაკრატელი ჩვენს წინაშე არ დგას, როგორც მტკივანი საკითხი. მაგრამ თუ აქედანვე არ იქნა მიღებული გადამჭრელი და მიზანშეწონილი ღონისძიებანი, მაკრატლის ამოცანის წამოჭრას უთუოდ უნდა მოველოდეთ.

როგორც ვიცით, ზაფხული მრეწველობის პროდუქციის ზრდისათვის, ყველაზე უხერხული დროა. შვებულებები, ფაბრიკა - ქარხნების რემონტი და გადახალისება, უმთავრესად სწორეთ ზაფხულის თვეებში ხდება. აქედან ცხადია ეს მდგომარეობა თავის დაღს დააჩენს მრეწველობის პროდუქციის ზრდაზე.

ამავე დროს ჩვენ ვდგევართ ბარაქიანი მოსავალის წინაშე. ბაზარს უთუოდ მოეძალება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები, უმთავრესად ხორბლეული. თუ აქ მრეწველობა მზად არ აღმოჩნდა, უთუოდ ადგილი დაურჩება ფასების უსწორ-მასწორობას სოფლის და ქალაქის ნაწარმოებებზე და ამ უსწორ-მასწორობიდან გამომდინარე სხვა უარყოფით მოვლენებს, რაც ჩვენ ასე მწვავეთ განვიცადეთ ამ სამი წლის წინათ.

საკავშირო საგეგმო კომისიის საბითუმო ინდექსის მიხედვით ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობა მაისისა და ივნისის განმავლობაში შეუჩერებლივ იზრდებოდა. მაისში, მაგალითად, ხსენებულ ინდექსის მიხედვით ჩერვონეცის სყიდვითი ძალა გაიზარდა 4 პროც. და ივნისში 3,3 პროცენტით. ამრიგათ, ჩვენ ვდგევართ საბჭოთა მანეთის კურსის სყიდვითი უნარიანობის ზრდის ფაქტის წინაშე.

კიდევ უფრო სანუგეშო მდგომარეობაა ტრანსპორტის დარგში. ივნისში ჩვენი რკინის გზები არ იყვნენ სათანადოთ დატვირთული. საბჭოთა რკინისგზებზე ამ თვის განმავლობაში თავისუფალი იყო 40.000 რონოდა და 1.800 ორთქლმავალი.

ყველა ეს ცნობები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა წარსული თვის განმავლობაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე მის წინა თვეებში იყო. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ახლო მომავალ თვეებში, როცა გაჩაღდება პურის მოსავალის განაღდების მუშაობა, დაზღვეული ვიქნებით, შესაძლებელ სიძნელეებისაგან სამეურნეო ფრონტზე.

ამიტომ ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლათ საჭიროა აქედანვე მიღებულ იქნას გამაფრთხილებელი ზომები. პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ, რასაკვირველია, ეძლევა მრეწველობის პროდუქციის ზრდას. ასე რომ, ერთ-ერთ გადამჭრელ ამოცანათ, ერთხელ კიდევ უნდა აღიარებულ იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდება. ეს ამოცანა შედარებით ადვილი დასაძლევია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მანეთის სყიდვითი უნარიანობის ზრდასთან ერთად, იზრდება რეალური ხელფასიც.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შინამრეწველობის ნაწარმოების ზრდას, რომ ამით შევანელოთ ბაზრის ქალაქის პროდუქციით შესაძლებელი დამშევა. ამასთანავე გადამჭრელი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული გლეხთა ანაბარების მისაზიდავათ შემნახველ - გამსესხებელ სალაროებში და საკრედიტო ამხანაგობებში.

ჩვენ აღარაფერს ვლაპარაკობთ სავაჭრო ქსელის გაჯანსაღება - მოგვარებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრის მოწესრიგების საქმეში და რომელზეც არა ერთხელ შეგვიჩერებია ჩვენი მკითხველის ყურადღება.

ამრიგათ, ჩვენი დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობა დამაკმაყოფილებლათ შეიძლება ჩაითვალოს. იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილად გამოვიყენებთ არსებულ პირობებს, ბევრათაა დამოკიდებული საბჭოთა კავშირის სამეურნეო ვითარების ახლო მომავალი.

* * *

პურის დამზადების კამპანიის ამოცანები

(„პრავდა“-ს მოწინავე)

წინასწარი საორიენტაციო გამოანგარიშება ახალ მოსავალისა და იმ რესურსებისა, რომელიც სახელმწიფოს და კოოპერაციის განკარგულებაშია პურის დამზადების მომავალ კამპანიის გასატარებლათ, გვავალებს უდიდესი სერიოზულობით მოვეპყრათ კამპანიის გატარების ამოცანებს.

წარსულ წელთან შედარებით ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მთელი რიგი ხელსაყრელ პირობებისა: გასასყიდი პურის რაოდენობის გადიდება (დაახლოებითი გამოანგარიშებით ეს გადიდება გამოიხატა 185—200 მილიონ ფუთში), საქონლის რესურსების ზრდა, წარსული წლის გამოცდილების გამოყენება ფინანსების სისწორით მიწოდების და ფასების მოწესრიგების საქმეში.

ეს ხელსაყრელი გარემოებანი, ეჭვს გარეშეა, გააძლიერებენ ჩვენ პოზიციას პურის დამზადების მომავალ კამპანიაში.

მათი აღნუსხვა და გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა. მაგრამ სახელდობრ რამდენათ მნიშვნელოვანი იქნება საბაზრო კონიუნქტურის გამოსწორება ხელსაყრელ ფაქტორების ზეგავლენით, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პასუხის გაცემა ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია. არა მარტო იმიტომ, რომ თვით გამოანგარიშება ჯერ-ჯერობით დაახლოებითია და არ იძლევა სავსებით მტკიცე ბაზისს მდგომარეობის შესათასებლათ, არამედ იმიტომაც, რომ წარსული წლის ზოგიერთი არახელსაყრელი პირობები ჯერ არ შეიძლება დაძლეულად ჩაითვალოს.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა, თავის დადგენილებაში პურის დამზადების კამპანიის შესახებ, აღნიშნა სამი ძირითადი ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ კამპანიის სასურველ მსვლელობას: დისპროპორცია სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას შორის, სოფლის შეძლებული ნაწილის მისწრაფება შეაჩეროს პურის გამოტანა გასასყიდათ და აგრეთვე ის გარემოება, რომ სახელმწიფოს არა აქვს პურის მარაგი ბაზარზე მანევრების მოსახდენათ.

აშკარაა, რომ პირველი დაბრკოლება ხანგრძლივი ხასიათისაა და, საერთოდ, არ შეიძლება ძალეულ იქნეს მახლობელ წლების განმავლობაში. მეორე და მესამე დაბრკოლების წინაამდეგ ბრძოლას შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღოს უახლოეს სამეურნეო წლების განმავლობაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს ბრძოლა ადვილი არ არის და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ის ჯერ - ჯერობით კამპანიის დასაწყისში ვერ არის ფართოდ დაყენებული.

კამპანიის დაწყებას და აგრეთვე იმას, თუ როგორ პირობებში შეუდგებით ჩვენ ამ კამპანიას, დიდი მნიშვნელობა ექნება საქმის წარმატებით დამთავრებისათვის. ჩვენ უკვე ვახდენთ ერთგვარ გავლენას პურის პროდუქტების და სამრეწველო საქონლის ფასების დაკლებაზე.

მაგრამ გამარჯვება ამ სფეროში ჯერ კიდევ არ არის სავსებით უზრუნველყოფილი. ის სავსებით დამოკიდებულია ჩვენს ორგანიზაციულ მოქნილობასა და მომზადებაზე.

უკვე შარშან გამოირკვა კოოპერაციის პირველხარისხოვანი როლი გეგმიანთ დამზადების საქმეში. დაბალ საფეხურზე მისი აპარატი „ხლებოპროდუქტი“-ს აპარატთან ერთად ფაქტიურად განსაზღვრავდა ზედმეტი პურის მიმართულებას. წარსულ კამპანიის შედეგების მიხედვით მიმდინარე წელს მოხდა დამამზადებელ აპარატის ძალთა გადაჯგუფება: ძირითად დამამზადებელთა რიცხვი შემცირებულია და, ამასთანავე ერთად, თვით აპარატი გამოკვეთილი და ცენტრალისტურად მოწყობილია, კერძოთ, პურის ცენტრის შექმნის გზით და სხვა ზომების საშუალებით.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი—აპარატის ღირებულების შემცირება დამზადებულ პურის თვითეულ ფუთზე—ჯერ გამოურკვეველი რჩება, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ჯერ არ არის შემოწმებული პრაქტიკულად. კამპანიის შედეგი დამოკიდებულია იმისგან, თუ როგორ იქნება გადაჭრილი ეს ამოცანა. როგორც სახელმწიფოს, ისე კოოპერაციის ძირითად დამამზადებლების მუშაობის ღირებულებამ უნდა განსაზღვროს პურის ფასი არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზედაც.

პურის ექსპორტის მომგებიანობას და ჩვენი ექსპორტის სხვა დარგების ნაკლულოვანებათა კომპენსაციას პურის გატანით განსაკუთრებით ხელს უშლიან ზედნადები ხარჯები.

ასეთსავე გავლენას ახდენს საქონლის გამტარებელ ქსელის ღირებულება მეორე ხაზით--სახელდობრ სოფლისათვის საქონლის მიწოდების ხაზით. ამიტომ სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლების ამოცანა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ღებულობს პურის კამპანიასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს და პარტიის ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული ენერგია, წინდახედულობა და ინიციატივა, რათა დაეხმარონ ძირითად დამამზადებლებს მათთვის დაკისრებულ ამოცანების დაძლევაში. დამზადების რაიონების უზრუნველყოფა სამრეწველო საქონლით, ფინანსების გეგმიანი მიწოდება, ტრანსპორტის მობილიზაცია, პურის გადაზიდვის გაიაფება და მთელი რიგი სხვა ამოცანებისა მომზადებულ და გადაჭრილ უნდა იქნეს სახელმწიფო მრეწველობის, ტრანსპორტის და ძირითად დამმზადებლების სოლიდარულ პასუხისმგებლობის ქვეშ. მომწესრიგებელ ორგანოებმა თავისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იქონიონ ყველა ეს ამოცანები.

საერთო მუშაობის შედეგებისაგან დამოკიდებულია უმთავრესად სოციალისტური დაგროვების საქმის წარმატება უახლოეს სამეურნეო წელში და, მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის ამოცანის წინ წაწევაც.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 29 ივლისი.

* * *

თვითკრიტიკის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ დიდ ღირსებას, სხვათა შორის, შეადგენს ერთი მისი თანდაყოლილი თვისება, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს მძლავრსა და მარჯვე იარაღს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და მშრომელ მასასთან დაახლოვებისათვის.

ეს მძლავრი იარაღი არის გაბედული თვითკრიტიკა, ნაკლისა და შეცდომების მხილება-აღიარება მათი გამოსწორების მიზნით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დიდი უპირატესობა დამარცხებულ პარტიებზე და მთავრობებზე, სხვათა შორის სწორეთ ამაში გამოიხატება.

უნდა ითქვას, რომ ეს განსხვავება დღესაც არ არის სათანადოთ შეგნებული ყველას მიერ, ხშირათ ბევრ ჩვენთაგანსაც საკმაოთ არ ესმის მისი მნიშვნელობა, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიას ამ მხრით უკვე აღებული აქვს მაგარი კურსი და სათანადო დირექტივებიც მოცემულია.

რა იყო წინათ? თავი გავანებოთ თვითპყრობელობის ხანას, როცა ყველაფერი სიბნელით იყო მოცული და ყოველგვარი სისაძაგლე და სიყალბე თავს იყრიდა და საიდუმლოთ ინახებოდა ბიუროკრატიზმის გაუვალ საცერში, რომელიც ძირს, დაბლა, ხალხისაკენ არაფერს უშვებდა.

ნათელი შედარებისათვის უკეთესია თვალი გადავავლოთ საქართველოში „დემოკრატიული“ რესპუბლიკის არსებობის ხანას, ვინც კი ოდნავ დაკვირვებია მაშინდელ სინამდვილეს, ის აუცილებლათ დაგვეთანხმება, რომ ხსენებული ხანა (მენშევიკების ბატონობის დრო) იყო ხანა „სმა-ჭამის დიდათ შესარგის“, ხანა სახელმწიფო ქონებისა და ხალხის დოვლათის გამოხვრისა და განიავების, ხანა მტაცებლობის, შეძენის, ფლანგვისა და მითვისების.

ვისაც „შნო“, „მოხერხება“ და „უნარი“ შესწევდა (მთავრობ. ხალხს, მათ აგენტებს და სხვადასხვა სამეურნეო და სავაჭრო დაწესებულებების გამგეებს და თანამშრომლებს), თავის მოვალეობათ მიაჩნდათ რაც შეიძლება მეტი „დაეძურწათ“, მეტი „გამორჩენოდათ“.

ყველა კბილებს ილესავდა მომარაგებაზე და კერძო ცხოვრების „მოწყობაზე“. იშვიათი იყო ისეთი ოჯახი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩაბმულ წევრის, ან ოდნავ პასუხისმგებელ მოსამსახურის და სხვა, რომელთაც თავისი ბიუჯეტი არ ქონოდეთ გადიდებული ნაგლეჯ-ნაცარცვითა და მითვისების საშუალებით.

ძალადობა, დაცინვა, ცემა-ტყეპა, უხეში მოპყრობა, უმომჭირნეობა, დაუდევრობა და გაფლანგვა, რასაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია სასტიკათ ებრძვის, მენშევიკების ბატონობის დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ ამას არავინ ამჟღავნებდა, არავინ ამხელდა, არავინ ებრძოდა. ყველაფერი თვითნებობაზე და უპასუხისმგებლობაზე იყო აგებული. მენშევიკების პარტია და პრესა სდუმდა, ხმას არ იღებდა.

არ იყო კონტროლი, არ იყო დარაჯი, დამზოგავი და მამხილებელი და ამიტომ ყოველგვარი სისაძაგლე, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა, შეუმჩნეველი რჩებოდა.

სულ სხვას ვხედავთ დღეს: პრესა, სოფლის და მუშა-კორესპონდენტები, საკონტროლო ორგანოები (გაერთიანებული ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია) და მთელი პარტია შეუბრალებელ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარ ნაკლთან, გამოაქვს დღის სინათლეზე, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები ამა თუ იმ დაწესებულების, თუ პირის მუშაობის შესახებ.

პარტია აწარმოებს შეუბრალებელ თვით-კრიტიკას, კრიჭაში უდგას თავისთავს, იგი არაფერს უმალავს მშრომელებს და მათთან ერთად აშენებს ახალ ცხოვრებას.

იცოდეს ყველამ, რომ როცა ჩვენ რაიმე ნაკლისა და შეცდომის შესახებ ვლაპარაკობთ, როცა მათ შესახებ გაზეთებში ვბეჭდავთ, როცა საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავის შემოწმებისა და კონტროლის შედეგებს საბჭოთა საზოგადოებრიობას აცნობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს დროში ადვილი არ არის რაიმეს დამალვა და ვაღაფუჩება. ამისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ, სხვათა შორის, შექმნა ცალკე ორგანო და მიანიჭა მას განსაკუთრებული ფუნქცია (გაერთიანებული საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია).

იცოდეს ყველამ, რომ ერთი ჩვენი ნაკლულოვანებათა გამომჟღავნება და მათზე მითითება ნიშნავს ათასსა და ათი ათასს სრულყოფას, სისაღეს და უნაკლულობას საბჭოთა ხელისუფლებისას.

ამ მხრით პრესის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობა სხვათა შორის ნიშნავს მჭიდრო კავშირს მშრომელ მასასთან.

ეს გარემოება კარგათ უნდა ახსოვდეს მტერსაც და მით უმეტეს მოყვარეს. ის, ვინც ჩვენში შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ხელს უშლის საკონტროლო ორგანოს (მუშათა და გლეხთა ინსპექცია და ცენტრალური საკონტროლო კომისია) ავტორიტეტის ზრდას, ის ძალაუნებურათ მტრის წისქვილზე წყალს ასხამს და თავისი უვიცობით და თავხედობით ძირს უთხრის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ დიდ ღირსებას, მისი გამაგრებისა და განმტკიცების ერთ-ერთ საფუძველს.

ა. დოლიძე.

* * *

იტალიის მდგომარეობა

ეკონომიური კრიზისი.—ცხრა საათის სამუშაო დღე.—კოლონიალური პოლიტიკა

იტალიის სამრეწველო განვითარებამ 1925 წელს უმაღლეს წერტილს მიაღწია. 1925 წელი სარეკორდო წელი იყო ყველა მნიშვნელოვანი სამრეწველო დარგებისთვის. რკინისა და ფოლადის მრეწველობამ თითქმის 2 მილიონ ტონს მიაღწია, მაშინ როცა 1914 წელს მხოლოდ 1 მილიონ 200 ათას ტონს უდრიდა. აგრეთვე იტალიის მთავარი დარგი, საფეიქრო მრეწველობა, მნიშვნელოვანად გაიზარდა: მან 12 პროცენტით გადააჭარბა ომის წინანდელი წლის სარეკორდო წარმოებას; ხოლო მატყლეულობის მრეწველობამ—33 პროცენტით. ხელოვნური აბრეშუმის მრეწველობაში იტალიამ პირველი ადგილი დაიჭირა შეერთებული შტატების შემდეგ. დიდი წინსვლა დაეტყო აგრეთვე ქიმიურ ინდუსტრიას: 1925 წელს წარმოებულ იქნა 2 მილიონი ტონი ხელოვნური სასუქი, მაშინ როცა 1913 წელს ხელოვნური სასუქის წარმოება მილიონ-ნახევარ ტონს უდრიდა.

ეს განვითარება დააჩქარა იტალიის მდგომარეობამ მსოფლიო ბაზარზე. კრიზისმა გერმანიაში, ქრონიკულმა კრიზისმა ინგლისში, ავსტრიასა და პოლონეთში ხელი შეუწყო იტალიის მრეწველობა-მეურნეობის გაფართოებას; მან დაუბრკოლებლად დაიპყრო ახალი პოზიციები ბალკანეთის და სამხრეთ - ამერიკის ბაზარზე, ნაწილობრივ შუა ევროპის ბაზარზეც. ხელის შემწყობი გავლენა იქონია აგრეთვე ვალიუტის დაცემამ და დაბალმა სამუშაო ქირამ. იტალიაში მუშის ხელფასი უფრო მცირეა, ვიდრე ყველა ევროპიულ სამრეწველო ქვეყნებში, ვიდრე თვით ნახევრად ფეოდალურ, ჩამორჩენილ ესპანეთში.

ფაშისტური მთავრობა იძულებული გახდა ფინანსიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ლირის სტაბილიზაცია მოეხდინა. მაგრამ ამ სტაბილიზაციამ გამოიწვია საბითუმო ვაჭრობის ინდექსის აწევა, რაიც სწორედ იმავე დროს მოხდა, როცა იტალიის მოქიშპე ქვეყნებში ფასები დაეცა.

ამრიგად წარმოიშვა სერიოზული საფრთხე იტალიის ექსპორტისთვის. იტალია ახლა ეკონომიურ დაქვეითებას განიცდის, რაიც გამოიხატება განაღდების კრიზისსა, წარმოების შემცირებასა და აქციების კურსის დაცემაში. ეს უკანასკნელი ალაგ-ალაგ მხოლოდ 50 პროცენტს აღწევს. მოსალოდნელია, რომ ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

არსებული ფაშისტური რეჟიმის დროს კაპიტალისტური წინააღმდეგობანი იტალიაში ბევრად უფრო მძაფრ ფორმას ღებულობენ, ვიდრე სხვაგან. იტალია თავისთავად არაჩვეულებრივად ღარიბი ქვეყანაა. იტალია იძულებულია ყველა მნიშვნელოვანი ნედლი და სათბობი მასალა უცხოეთიდან შემოიტანოს კიდევ მეტი: იტალია იძულებულია დიდძალი ხორბალი, ხე-ტყე და ხორცი შემოზიდოს. ამის გამო მრეწველობა ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, ვიდრე სხვაგან. მდინარეების ენერგიის გამოყენებამ 1925 წელს იტალიას 9—10 მილიონ ტონა ქვა-ნახშირის ეკონომია მისცა. მაგრამ საუკეთესო ადგილები უკვე გამოყენებულია ელექტრო - სადგურებისთვის. ელექტროფიკაცია მომავალში ნაკლების ტემპით წავა წინ. მაშასადამე, წყლის ძალა გაძვირდება. ამრიგად იტალია ეკონომიურად დამოკიდებულია იმ ქვეყნებზე, რომელთაც მან ქიშპობა უნდა გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე. და ის უკვე მწვავედ განიცდის ამ დამოკიდებულებას. 1920 წელს იტალია ტონა ქვა-ნახშირში ინგლისს 90 შილინგს აძლევდა, მაშინ როცა ნორმალური ფასი 20—25 შილინგი იყო. 1925 წელს საფრანგეთმა თავისი რკინის იმპორტი იტალიაში 120.000 ტონით განსაზღვრა, ხოლო 1926 წელს 200.000 ტონით. ეს საქონელი კი ისევე აუცილებელია იტალიის მძიმე ინდუსტრიისთვის, როგორც ცოცხალი არსებისთვის ჰაერი. აგრეთვე შეზღუდულ იქნა ფოსფატის შეტანა ტუნისიდან იტალიაში. თუ იტალიას შეერთებულ შტატებთან რაიმე კონფლიქტი მოუხდა, მას მეტად გაუძნელდება ბამბის შეძენაც.

გერმანიისა და ავსტრიის მრეწველობა - მეურნეობის ნაწილობრივმა გაჯანსაღებამ ერთი მხრით, საბითუმო ვაჭრობის ფასების აწევამ—მეორე მხრით, იტალიას დიდათ გაუძნელა ბრძოლა ბაზრის მოსაპოვებლად. იტალია გამოსავალ გზას ეძებს. ბამბის კულტურამ ახალშენებში დღემდე ვერ გამოიღო მნიშვნელოვანი ნაყოფი; ნავთის წყაროების ძებნამაც ალბანიაში იტალიას დღემდი ბევრი ვერაფერი მისცა. აგრეთვე დღემდე უმნიშვნელო შედეგი მოჰყვა აფრიკის ტერიტორიების დასახლებას, მიტომ რომ ეს მხარე, უმეტეს ნაწილად, უდაბნოს წარმოადგენს. იტალიის მთელი წლიური ალებმიცემობა ამ ქვეყნებთან ას მილიონ ოქროს ლირას უდრის.

რომის პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებენ მომჭირნეობის და ინტენსიური საახალშენო პოლიტიკის განსახორციელებლად. გარდა შეთანხმებისა ინგლისთან აბესინიის ეკონომიური განაწილების შესახებ, ხელისუფლება ახალ საახალშენო ავანტიურებზე ოცნებობს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ მუსოლინიმ ამ ცოტა ხნის წინათ, მილანში ყოფნის დროს, ხალხს მოუწოდა: „მზად იყავი ბრძოლისთვის“.

მაგრამ აბესინიისა და სხვა ახალშენების ოკუპაცია არ სწყვეტს ძირითად სიძნელეებს. თუ ხელახლა იმპერიალისტური ომი დაიწყო, იტალიას ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში მოუხდება ბრძოლის წარმოება, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებს.

მუსოლინის მაღალფარდოვან ფრაზების მიუხედავად, იტალია იძულებული გახდება ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის კომპრომისები გააკეთოს.

დღეს საჭიროა წარმოების გაიაფება და ამისთვის მუშების წინააღმდეგ არაჩვეულებრივ რეპრესიებს ხმარობენ. ერთად-ერთ საშუალებას საექსპორტო ფასების დასაკლებად ფაშისტური მთავრობა მუშების ზედმეტ ექსპლოატაციაში ხედავს. ამას არაფერი ეღობება წინ, მიტომ რომ პროფკავშირები სავსებით განადგურებულია „კლასების ზემოთ მდგომარე მთავრობის მიერ“. მაგრამ ეს გადაჭარბებული ექსპლოატაცია ახალ საზრდოს აძლევს კლასთა ბრძოლას. იტალიელი მუშები ვერ შეურიგდებიან 9 საათის სამუშაო დღეს. ოპოზიცია იზრდება. იზრდება აგრეთვე არალეგალური კომუნისტური პარტიის გავლენა. მაგრამ 9 საათის სამუშაო დღის შემოღება გამომდინარეობს იტალიის დღევანდელი მდგომარეობისა, მისი იმპერიალისტური ტენდენციისა და ეკონომიური წინააღმდეგობისაგან, რომელიც იტალიას ახასიათებს. და ეს წინააღმდეგობანი შეიცავენ მომავალი კრიზისის შესაძლებლობას როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე.

ბ. მ.

* * *

დეპუტატთა პალატამ მიიღო პუანკარეს საფინანსო კანონპროექტი

სოციალისტებმა ობსტრუქცია მოუწყვეს პუანკარეს.--ფრანკის კურსი ისევ დაეცა

მთელს პოლონეთს გაფიცვების ტალღა მოედვა.--მუშები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

თემთა პალატამ მიიღო ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის პროექტი

„უმუშევართა დღე“ გერმანიაში.--განკირების დიქტატურა ბელგიაში.--კონფერენცია ვალების შესახებ

პუანკარეს მთავრობა-ფაშიზმის წინამორბედი.

ფინანსიური პროექტი მიღებულია

პარიზი, 21 ივლისი. პუანკარემ დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიას განუცხადა, რომ ახალი გადასახადების პროექტი ფინანსიური რეფორმას გამოიწვევს საფრანგეთში და აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში არ შეიძლება არც ერთი წუთის დაკარგვა. პუანკარემ მოითხოვა, რომ ნისი პროექტი შეუსწორებლად იქმნას მიღებული. კომისიამ მთლიანად მიიღო ფინანსიური კანონპროექტი.

პარიზი, 28 ივლისი. საფრანგეთის პარლამენტში კომუნისტ - დეპუტატმა რენო ჟანმა, რომელსაც მხოლოდ 5 წუთით მიეცა სიტყვა, განაცხადა:

„ეხლა უნდა ვილაპარაკოთ არა გაკოტრების, არამედ ღალატის შესახებ. მემარცხენე ბლოკმა, რომელიც გაერთიანდა პუანკარესთან, უღალატა თავის ამომრჩევლებს. პარლამენტი დათხოვნილ უნდა იქნეს. პუანკარეს მთავრობა ფაშიზმის ლეგალური წინასიტყვაობაა. ამ ცდის შემდეგ შესაძლოა მხოლოდ 2 გამოსავალი: ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან საბჭოთა ხელისუფლება“.



პუანკარე
(შარჟი „ლიუმანიტე“-დან).

საფინანსო კანონპროექტების განხილვა

პარიზი, 29 ივლისი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ, მოისმინა რა პუანკარეს ვრცელი მოხსენება, გადავიდა მუხლობრივ განხილვაზე 20 ხმის უმრავლესობით 12 წინააღმდეგ; 5 თავი შეიკავა.

საფინანსო კომისიამ ღამით მოახდინა სხდომა, რომ საშუალება მიეცა დეპუტატთა პალატისთვის პარასკევს ან შაბათს დაიწყოს კამათი.

პუანკარე თავის მოხსენებაში ამტკიცებს, რომ საფრანგეთი გადაიხდის სამხედრო ვალებს, მაგრამ ამავე დროს მან სთქვა: ლონდონისა და ვაშინგტონის ხელშეკრულება შესაძლებელია გადაიდოს პალატის ახალი სესიის განახლებამდე.

საფინანსო კომისიაში

პარიზი, 29 ივლისი. დეპუტატთა პალატის ფინანსიურმა კომისიამ 19 ხმის უმრავლესობით 13 წინააღმდეგ მთლიანათ მიიღო მთავრობის პროექტი.

ფინანსიური პროგრამა

ბერლინი, 29 ივლისი. საფრანგეთის ახალი ფინანსიური პროგრამა შეიცავს გადასახადს ავტომობილზე, რომელიც სავალდებულოა ყველა უცხოელთათვის.

ინგლისური პრესა და პუანკარე

ბერლინი, 29 ივლისი. ინგლისური პრესა ძალიან იმედგაცრუებულია. იგი იმ აზრისაა, რომ პუანკარეს პირადათ არ შეუძლია გვერდი აუხვიოს უცხოეთის კაპიტალს, რომელიც დიდათ არის დამოკიდებული ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაციაზე.

სოციალისტების ობსტრუქცია

ლონდონი, 29 ივლისი. „დეილი მეილ“-ის ცნობით, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის **საფინანსო კომისიაში სოციალისტებმა მოაწყვეს ობსტრუქცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პუანკარეს საგადასახადო პროექტების გადადება. სოციალისტების ტაქტიკამ გავლენა იქონია ბირჟაზე, სადაც ფრანკი ერბაშათ დაეცა. ბირჟის კრების გახსნამდე ვირ. სტერ. ღირდა 195 ფრ., ხოლო კრების გათავების შემდეგ — 203 ფრ.**

ვალების საკითხი

ლონდონი, 29 ივლისი. პუანკარემ დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში განაცხადა, რომ საკითხი ლონდონის და ვაშინგტონის შეთანხმებათა შესახებ, მისი აზრით, არ შეიძლება განხილულ იქნეს სესიის დახურვამდე, მაგრამ ეს საკითხი შეტანილ იქნება პალატაში, როცა სესია განახლდება.

ახალი დანიშვნები

პარიზი, 29 ივლისი. საფრანგეთის გაზეთების ცნობით, სენატორი შაპსალი, ლე-ტროკე და დე-მონზი დაინიშნებიან ბარტუს მოადგილეთ სარეპარაციო კომისიაში. დე-ფუჟენელს ასახელებენ ელჩათ ანგორაში.

პუანკარეს საფინანსო პროექტი

პარიზი, 28 ივლისი. პუანკარეს საფინანსო პროექტი ითვალისწინებს მთავრობისათვის შემდეგი უფლებების მინიჭებას: სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ომამდე შემოღებულ გადასახადების გადიდება, სახელმწიფო ქარხნებში დამზადებულ საგნებზე ფასების მომატება, ფოსტა - ტელეგრაფის ტარიფის გადიდება. პროექტის მიხედვით გადიდებულია სამგზავრო ბილეთების ფასი 33%-ით, რკინისგზის ბარგის—11%-ით, საზღვაო, მდინარის და საკაბოტაჟო ტრანსპორტის—8%-ით.

გათვალისწინებულია აგრეთვე გადასახადის გადიდება სავაჭრო ბრუნვაზე და საიმპორტო ბაჟებზე; სარეწავი, სასოფლო - სამეურნეო და სამთო გადასახადის შემოღება; სამუშაო ხელფასის დაბეგვრა და მემკვიდრეობის ქონებაზე გადასახადის დაწესება. ამასთან ერთად პროექტი ითვალისწინებს ფასეულობათა ერთი პირის ხელიდან მეორე პირის ხელში გადასვლაზე დაწესებული გადასახადის დაკლებას და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის უმაღლეს განაკვეთების შემცირებას.

„ლიუმანიტეს“ გამოანგარიშებით, შემოსავალი არაპირდაპირი გადასახადებიდან იქნება 8 მილიარდი ფრანკი, პირდაპირი გადასახადიდან კი—1 მილიარდი ფრანკი.

გაფიცვა ინგლისში

ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის კანონ-პროექტი

ლონდონი, 28 ივლისი. თემთა პალატამ 321 ხმის უმრავლესობით, 125-ის წინააღმდეგ მესამედ წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი ინგლისი ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ.

რას ამზადებენ მაღაროს პატრონები

ლონდონი, 28 ივლისი. ქვანახშირის ერთმა მსხვილმა კომპანიამ დერგეიმში განაცხადა, რომ მუშაობის განახლების შემდეგ ის არ გახსნის მის კუთვნილ 5 მაღაროს, რადგან ისინი ნაკლებ შემოსავალს იძლევიან. ამ მაღაროების დახურვა გამოიწვევს რამოდენიმე ათასი მუშის დათხოვნას.

მემაღაროეების აღმასკომის სხდომა

ლონდონი, 29 ივლისი. დღეს კრება ჰქონდა მემაღაროების ფედერაციის აღმასკომს, რომელშიაც შედიან ამ ცოტა ხნის წინად არჩეული წევრები. მიუხედავად იმისა, რომ წინანდელი შემადგენლობა ნახევრად შეცვლილია ახალით, პოლიტიკა ისევ ძველი რჩება. აღმასკომმა უნდა გამოარკვიოს, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად სანახშირო გაფიცვა, რომელიც უკვე მეცამეტე კვირაა გრძელდება და უნდა მოამზადოს პროგრამა სადელეგატო კონფერენციისათვის. აღმასკომი მოწვეულია მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციისაგან გაერთიანებულ კრებაზე საკითხების განსახილველად.

გაფიცვის პირველ დღიდანვე მემაღაროებსა და პოლიტიკურ ბელადებს შორის პირდაპირი ურთიერთობა არსებობს. როგორც იტყობინებიან, სხვათა შორის საეკლესიო შემთანხმებელი მოძრაობის ბელადები ამზადებენ ნიადაგს ახალ ნაბიჯებისათვის და გუშინ მათ კონტაქტი დაიჭირეს მემაღაროების ოფიციალურ წარმომადგენლებთან.

ლონდონი, 29 ივლისი. აღმასკომმა მოისმინა მოხსენება გაფიცვის მდგომარეობის შესახებ და გამოიმუშავა დღის წესრიგი სამთა-მადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციისა, რომელიც 30 ივლისს იქნება მოწვეული.

აღმასკომმა განიხილა აგრეთვე მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წინადადება გაფიცვასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვისათვის საერთო კრების მოწვევის შესახებ.

უცხოეთის ქვანახშირი

ლონდონი, 29 ივლისი. სამთამადნო სამდივნო აცხადებს, რომ რადგან უცხოეთიდან ქვანახშირი საკმაოდ შემოდის, ამჟამად საჭირო აღარ არის ნებართვა საშინაო საჭიროებისათვის ორ კვირაში 112 გირვანქაზე მეტი ქვანახშირის შეძენის შესახებ. იქ, სადაც არის ქვანახშირის საკმაო მარაგი, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია გაადიდოს ქვანახშირის შეძენის ნორმები.

უჭერიან ბელადებს

ლონდონი, 29 ივლისი. უორვიკშაირში მემაღაროების დაბრუნება სამუშაოზე რიცხვობრივად დაეცა. ეს მოვლენა, გაზეთების აზრით, აიხსნება კუკის და მემაღაროების სხვა ბელადების ჩასვლით უორვიკშაირში.

კომუნისტების ეშინიათ

ლონდონი, 28 ივლისი. კონსერვატორმა ტასკერმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა: შესაძლებლად სცნობს თუ არა სამხედრო მინისტრი შეგვატყობინოს—როგორი ზომების მიღებას აპირებს ის 19 თავგანწირულ კომუნისტის მიმართ, რომელნიც ვოლვიჩის არსენალის ქარხნის უჯრედის წევრები არიან, და მათზე ლაპარაკია № 33 საბუთში, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა „ლურჯ წიგნში“. სამხედრო მინისტრმა უპასუხა, რომ ყოველი მისი განცხადება ამ საკითხის გარშემო საზოგადოების ინტერესის წინააღმდეგ იქნებოდაო.

470.000 მანეთი საბჭ. კავშირის მშრომელი ქალებისგან

მოსკოვი, 29 ივლისი. ლონდონში სმიტის, კუკის და რიჩარდსონის სახელზე გაგზავნილია შემდეგი დეპეშა: „საბჭოთა კავშირის მუშა-ქალებისაგან შემოსულ დახმარების ანგარიშში საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მუშა-ქალთა კომიტეტის თხოვნით გიგზავნით მორიგ დახმარებას 470.000 მან. რაოდენობით. დაადასტურეთ მიღება. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მდივნის მაგიერ იაგლომ“.

მხოლოდ შიმშილი

ბერლინი, 29 ივლისი. კუკი უარჰყოფს ცნობას, რომ თითქოს მემაღაროები იწყებენ გაფიცვის შეწყვეტას. მისი სიტყვებით მხოლოდ შიმშილს შეეძლებოდა გაფიცვის შეწყვეტა. „მე დარწმუნებული ვარ, სთქვა მან, რომ მემაღაროეთა დელეგატები პარასკევს კონფერენციაზე განაცხადებენ, რომ **ისინი უფრო ადვილად დასთანხმდებიან, რომ აავსონ სასაფლაო, ვიდრე ციხეები და მუშათა სახლები.**

* * *

პილსუდსკის სამფლობელოში

გაფიცვის ტალღა

ვარშავა, 28 ივლისი. გაფიცვის ტალღა პოლონეთში იზრდება.

ტურეკში ფაბრიკის მუშები გაიფიცნენ. მუშები მოითხოვენ ხელფასის 50% გადიდებას და 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ვინაიდან აქამდე ამ ფაბრიკის მუშები 12 საათს მუშაობდნენ დღეში.

კალიშში გაიფიცენ ყველა ფაბრიკების მუშები; ისინი მოითხოვენ სამუშაო ხელფასის 20%-ით გადიდებას.

ლოძში გაფიცვით იმუქრებიან საფეიქრო ფაბრიკისა და ვიწრო-ლიანდაგიან რკინის-გზის მუშები. ლოძის ფეიქართა შორის დიდი მღელვარებაა. ფაბრიკების დელეგატთა კრებაზე მიღებულ იქნა წინადადება მწარმოებელთათვის ახალ მოთხოვნილებათა წარდგენის შესახებ.

ბელოსტოკში ხელფასის მიუღებლობით გაიფიცენ 2 ფაბრიკის მუშები.

ვარშავაში კვლავ გრძელდება სტამბის მუშების გაფიცვა. პომორიეში ქალაქის წარმოებათა მუშები გაფიცული არიან.

პროვოკატორის მოკვლა

ვარშავა, 28 ივლისი. „ექსპრესს პორანნი“ იუწყება, რომ მოკლულ იქნა პროვოკატორი და „ოხრანკის“ აგენტი ბერნარჩიკი. მკვლელები დაიმალენ.

სენატის კომისიაში

პარიზი, 29 ივლისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით სენატის კომისიამ ზოგიერთი ცვლილებებით ხმა მისცა კანონპროექტს მთავრობის უფლების შევსებისა და კონსტიტუციის რეფორმის შესახებ.

„ზედმეტი ლაყბობისათვის“

ვარშავა, 28 ივლისი. 27 ივლისს ღამით პოლიციამ კონფისკაცია უყო „რეჩ პოსპოლიტას“ საღამოს გამოცემას, რომელიც იტყობინებოდა 80,000 ჯარისკაცის მობილიზაციას ლიტვის საწინააღმდეგოთ და ნევილის რაიონში კავალერიისა და არტილერიის კონცენტრაციას. „რეჩ პოსპოლიტას“ კონფისკაციის შესახებ გამოქვეყნებული იყო ოფიციალური ცნობა პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს მიერ.

სააგენტო უარჰყოფს ცნობებს მობილიზაციის შესახებ.

* * *

„უმუშევართა დღე“ გერმანიაში

ბერლინი, 28 ივლისი. გერმანიის კომპარტიამ მთელს საქსონიაში მოაწყო „უმუშევართა დღე“. ყველგან იმართებოდა კრებები და დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა უმუშევართა დიდი რაოდენობა და აგრეთვე მუშები, რომელნიც შედიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მანიფესტაციების და კრებების მონაწილეთა საერთო რიცხვი 75.000 კაცამდე აღწევდა. ხემნიცში კრებამ, რომელსაც დაესწრო 18.000 კაცი, მიიღო რეზოლიუცია კომუნისტური გაზეთების აკრძალვის წინააღმდეგ.

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო ლეიპციგში კომპარტიის მიერ მოწყობილმა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 15.000 კაცი.

ხემნიცში და ლეიპციგში მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომელიც გამოვიდა ფაშისტურ ჯგუფის დასაცავად. კრებებზე არჩეულ იქნა დელეგატები უმუშევართა კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია საქსონიაში.

ი ა პ ო ნ ი ა შ ი

„შავი სიები“

ტოკიო, 28 ივლისი. იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა საშიშარ სტუდენტების და პროფესორების „შავი სიები“. ეს სიები, რომლებშიაც შეტანილია 1500 სტუდენტი და პროფესორი, დაეგზავნება ყველა საპოლიციო სამმართველოებს, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ „საშიშარ პირებს“. ამ სიების საგანგებო კომისიის მიერ განხილვის დროს აღნიშნავდენ, რომ იაპონიის უმაღლეს სასწავლებლებში ბევრია „საშიშარი ელემენტები“, რომელნიც თანაუგრძნობენ სოციალიზმს. კომისიის წევრმა განათლების მინისტრმა განაცხადა: „სოციალიზმის შესწავლა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ თეორეტიულად და სასწავლებლების უფროსთა წინასწარი ნებართვით“.

ქალთა საარჩევნო უფლებები

ტოკიო, 28 ივლისი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, შვეციაში და საბჭოთა კავშირში, სადაც მათ უნდა შეისწავლონ ქალებისათვის საარჩევნო უფლების მიცემის საკითხი.

ახალი საგლეხო პარტია

ტოკიო, 28 ივლისი. იაპონიის გლეხობის კავშირის მემარჯვენე ბელადთა ჯგუფმა თათბირზე გადასწყვიტა მოაწყოს ახალი საგლეხო პარტია „ნიპონ ნომინტო“. ამჟამად იაპონიაში არსებობს მუშურ - გლეხური პარტია, რომელსაც ზემოხსენებული ბელადები მეტად რადიკალურად სთვლიან.

* * *

მ ე ქ ს ი კ ა შ ი

საეკლესიო ქონების ჩამორთმევა

პარიზი, 29 ივლისი. მექსიკის მთავრობამ დაუგზავნა ინსტრუქციები პროვინციის გუბერნატორებს სოფლებში იმ საეკლესიო ინვენტარის აღწერის შესახებ, რომელიც 1-ლი აგვისტოდან გადადის სახელმწიფოს ხელში.

კათოლიკე ქალთა საზოგადოებამ პეტიციით მიმართა პრეზიდენტ კალესს, რომ შეამსუბუქოს სარწმუნოებრივი კანონი. სხვადასხვა ადგილებში ხდება არეულობა.

* * *

განკირების დიქტატურა

ბ ე ლ გ ი ა შ ი

კრიტიკის დევნა

პარიზი, 28 ივლისი. ბელგიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელშიც 3 თვიდან 2 წლამდე დაპატიმრებით და 500-დან 10.000 ფრანკამდე დაჯარიმებით სჯის მათ, ვინც რაიმე ცნობების გამოქვეყნებით შეაფერხებს სახელმწიფო კრედიტს. ეს დეკრეტი შესაძლოთ ხდის დევნას ფინანსიური დიქტატურის და მისი ღონისძიების ყოველგვარ კრიტიკასათვის.

პატიმრების შიმშილობა

ბერლინი, 28 ივლისი. გოლნოვის ციხის პოლიტიკურმა ტუსაღებმა, მდგომარეობის გაუარესების გამო შიმშილობა გამოაცხადეს; შიმშილობა შეწყვეტილ იქნა ლანდტაგის კომუნისტ-დეპუტატის გროლევიცის ჩარევის შემდეგ, რომელმაც მოახერხა ტუსაღთა მოთხოვნილებების დიდი ნაწილის დაკმაყოფილება.

„ევროპის შეთანხმება“

პარიზი, 29 ივლისი. გერმანიის კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელზედაც ხელს აწერს 350 გამოჩენილი პირი: მათ შორის მარსი, ლიუტერი, შტრეზემანი, ჰესლერი და სხვები. მოწოდება შეეხება ევროპის შეთანხმებას ლოკარნოს პრინციპებზე.

ჩემბერლენის განცხადება

ბერლინი, 29 ივლისი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სახელმწიფოებს გერმანიისათვის ლოკარნოში არავითარი დაპირება არ მიუციათ იმის შესახებ, რომ რეინლანდის საოკუპაციო არმია შემცირებულ იქნება იმ რაოდენობამდე, რომელსაც აღწევდა ომამდე გერმანიის ჯარი რეინლანდში.

მ ა ს ლ ო ვ ი

ბერლინი, 28 ივლისი. გერმანიაში ცხოვრების ნებართვის ვადა მასლოვს კიდევ ორი კვირით გაუგრძელეს. ეს შეღავათი მასლოვს მისცა უზენაესმა პროკურორმა (მასლოვს მისჯილი ჰქონდა 4 წლის ციხე და შემდეგ საბჭოთა კავშირში გადასახლება. პროკურორი ეხლა აღარ აძლევს პოლიციას ბრძანებას მასლოვის გადასახლების შესახებ და, ამგვარად, მას საშუალება ეძლევა დარჩეს გერმანიაში. მასლოვი გერმანელ კომუნისტებიდან პირველია, რომელიც სარგებლობს ასეთი შეღავათით).

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

კვირას, 1-ლ აგვისტოს
და
ორშაბათს, 2 აგვისტოს
„კომუნისტი"-ს
კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი
ხელისმოწერის მისაღებათ

რაკოშის პროცესი

დამცველ ლენგიელის სიტყვა

ვენა, 28 ივლისი. 28 ივლისს, რაკოშის პროცესის მე-12 დღეს, სიტყვა წარმოსთქვა რაკოშისა და ვეინბერგერის დამცველმა ლენგიელმა.

თავისი სიტყვა ლენგიელმა დაიწყო პროკურორის სასტიკი კრიტიკით საკავშირო კომპარტიის, კომინტერნის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.

„კომუნისტურ მოძრაობას, სთქვა ლენგიელმა, არც ერთ სახელმწიფოში არა კრძალავენ. 1924 წ. ბეტლენის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან დასდო ხელშეკრულება, რომელიც არ იქნა დამტკიცებული, მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ურჩევს მთავრობას და მოითხოვს ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირი სწრაფი სამეურნეო განვითარებისა და სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე სდგას. უნგრეთს პროვოკაციული გამოსვლა არ უნდა მოეხდინა ძლიერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

შემდეგ ლენგიელი ამტკიცებს ბრალდების დაუსაბუთებლობას, რომელიც ჯაშუშების ანგარიშებზე და წამებით ჩამორთმეულ იძულებითი ჩვენებაზე არის აშენებული, და ხაზს უსვამს პოლიციის პროვოკაციულ მეთოდებს და საბჭოთა კავშირში მსჯავრდადებულ პროვოკატორ ვიშნის როლს. ლენგიელი ასაბუთებს წამოყენებულ ბრალდების უსაფუძვლობას და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ უნგრეთის სასამართლო უნგრეთს მთელი ქვეყნის ჯალათად აქცევს.

ბულგარეთის პროფკავშირთა გაერთიანება

ვენა, 28 ივლისი. დამოუკიდებელთა და რეფორმისტულ პროფკავშირების პლენუმის სხდომაზე მოხდა ორივე პროფკავშირების ორგანიზაციის შეერთება. ახალი პროფესიონალური ორგანიზაციის სახელი იქნება „საერთო კავშირი ბულგარეთის პროფესიონალურ ორგანიზაციებისა". კავშირის წევრათ მიიღებიან ყველანი განურჩევლათ მათი პოლიტიკური რწმენისა. ბულგარეთის გაერთიანებული პროფკავშირი აწესებს საინფორმაციო კავშირს ამსტერდამის ინტერნაციონალთან კონგრესის მოხდენამდე, რომელიც გამოიტანს დადგენილებას, თუ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციას მიემხრონ. ყოველგვარი ინიციატივა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის მხრიდან, რომელიც მიმართული იქნება ამსტერდამის ინტერნაციონალისა და პროფინტერნის გაერთიანებისაკენ „მუშათა საერთო კავშირი ბულგარეთის პროფკავშირებისა" აქტიურად მხარს დაუჭერს.

გაერთიანების პლატფორმის ერთხმად მიღებას მუშები შეხვდენ დიდი აღფრთოვანებით, „ინტერნაციონალისა" და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებით.

სამხრეთ-სლავიის „სტუმართმოყვარეობა"

40 მილიონი მანეთი ვრანგელის ბანდების შესანახად, არც ერთი კაპეიკი—უმუშევართათვის

ვენა, 28 ივლისი. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით ვრანგელი ეპირება სამხრეთ-სლავიიდან ბელგიაში გადასვლას. ცენტრალური ორგანო რადიჩის პარტიისა „დომი" სწერს: სამხრეთ-სლავია ყოველწლიურად ვრანგელზე და მის კამპანიაზე 74 მილ. დინარს ხარჯავდა. სოციალურ უზრუნველყოფის სამინისტრო-კი აძლევდა რუსეთის გენერლებს, ჯარისკაცებს და ინვალიდებს 6 მილ. დინარს ყოველწლიურად. სამხრეთ-სლავიის უმუშევრები, რომელთა რიცხვი 250,000 აღემატება არ ღებულობდენ არავითარ დახმარებას სახელმწიფოდან.

ედუარდ გრეი ერთა ლიგის შესახებ

ლონდონი, 29 ივლისი. დუმსფირდში ლორდ გრეიმ ილაპარაკა, იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა აქვს ლოკარნოს და ჟენევას, იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნეს ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფებად დარაზმვა ერთი მეორის წინააღმდეგ.

„ლოკარნო",—განაცხადა მან, სცდილობდა ხელი შეეშალა სახელმწიფოთა სეპარატიულ შეჯგუფებისათვის, რაიცა ლოკარნოს ხელშეკრულების დადებამდე სწარმოებდა.

როდესაც გერმანია საბოლოოდ შევა ერთა ლიგაში, ბოლო მოეღება ამ ორგანოებში კრიტიკულ დამოკიდებულებას და იმ მითქმა-მოთქმას, თითქოს ერთა ლიგა მცირე გამოკლებით შედგენილი იყოს ომის დროინდელ მოკავშირე სახელმწიფოებისაგან.

ლორდ გრეის აზრით საბჭოთა მთავრობის დღევანდელი პოლიტიკა არის მთავარი დაბრკოლება, რადგან ვიდრე ეს მთავრობა ლიგის მიმართ ანტაგონისტურად იქნება განწყობილი, სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს საბაბი ექნებათ განაცხადონ, რომ რუსეთის განზრახვების გაურკვევლობა მთავრობა მიზეზია შეიარაღებულ ძალების დატოვებისაო.

სასურველია, რომ რუსეთი ისე როგორც გერმანია შევიდეს ერთა ლიგაში, მაგრამ ის, რაც შეიძლება დღეს გაკეთდეს, ეს არის მხოლოდ შეგნება იმისა, რომ მდგომარეობა რუსეთში რამდენიმედ არანორმალურია, რადგან იგი გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

დასასრულ გრეიმ განაცხადა, რომ მისი სურვილია—ყველამ ნათლად შეიგნოს, რომ არის მხოლოდ ორი გარემოება, რომლისთვისაც ინგლისს შეუძლია ომი დაიწყოს. პირველი ეს არის—ბრძოლა თავდასხმის წინააღმდეგ და მეორე ბრძოლა შეთანხმებისთვის იმ მიზნით, რომ ყოველგვარი დავა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით და არა ომის საშუალებით.

მელონი მოგზაურობს

პარიზი, 29 ივლისი. „ნიუ-იორკ ჰერალდი" იტყობინება, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კულიჯმა სთხოვა მელონს შეაჩეროს ევროპაში მოგზაურობა. მელონის ევროპაში გამგზავრების მიზანი იყო თათბირი გაემართა სახელმწიფო მოღვაწეებთან იმ სახელმწიფოების ფინანსიურ მდგომარეობაზე, რომლებიც დაზარალდენ ომის დროს.



მელლონი
ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი

გაფიცვა ნიუ-იორკში

ლონდონი, 29 ივლისი. საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გაფიცულ მუშების ბელადებმა მიმართეს ტრანსპორტის ყველა მუშებს მოწოდებით გამოაცხადონ გაფიცვა შაბათს, დილის 5 საათზე. ნიუ-იორკელი გაზეთის „ცენტრალ ნიუზ"-ის ცნობით, მიწის ქვეშ რკინის-გზების მუშათა გაფიცვა დამარცხდა და მუშებმა განაახლეს მუშაობა.

კონფერენცია ვალების შესახებ

ბერლინი, 28 ივლისი. სამხედრო ვალების შესახებ საერთაშორისო კონფერენცია მოწვეული იქნება წლის ბოლოს. საფრანგეთის ცნობები, ინგლისის პრესაში მოთავსებული, დამატებით იუწყება, რომ გადასინჯული იქნება დოუესის გეგმა და საერთაშორისო შეთანხმებები ვალების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

ვინ არის კომუნისტი

ტოკიო, 29 ივლისი. იაპონური ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, მუშურ-გლეხური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა, აუკრძალოს კომუნისტებს პარტიის რიგებში შესვლა და დროებით აუკრძალოს პარტიაში შესვლა მემარცხენე პროფკავშირების გაერთიანებებს. პლენუმმა ცნება „კომუნისტს" ასეთი განმარტება მისცა: კომუნისტია ის, ვინც მოითხოვს პროლეტარიატის დიქტატურას, ვინც მოითხოვს სიტყვისა და პრესის თავისუფლების შეზღუდვას ძალმომრეობითი ზომების გზით, და ვინც არ იზიარებს პარლამენტარიზმის პრინციპს. დადგენილებები მიღებულია რეფორმისტული პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელთა წინადადებით.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

ლენინგრადი, 29 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ჯგუფებად დაიყო, დღეს განაგრძობდა გაცნობას ლენინგრადის მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობებთან.

კომპარტიის ორგანო „უნიტა" ცეკას პლენუმის შესახებ

რომი, 28 ივლისი. კომპარტიის ორგანო „უნიტა" სწერს: „ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, მაგრამ მოსკოვიდან მიღებული დეპეშის მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ინტერნაციონალი მტკიცედ უნდა შეკავშირდეს საკავშირო კომპარტიის ცეკას ირგვლივ, რომ მას მიეცეს მეტი ენერგია და სიმტკიცე იმ ცდების აღმოსაფხვრელად, რომლებიც პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ არიან მიმართული. ცეკას მიერ მიღებული ზომები იცავს არა მარტო რუსეთის რევოლიუციის მომავალს, არამედ საწინდარია პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების სხვა ქვეყნებში.

სამინისტროს ანგარიში

ლონდონი, 29 ივლისი. სამთამადნო მრეწველობის საქმეთა მინისტრმა ფოკსმა თემთა პალატაში შეკითხვაზე, განაცხადა, რომ მაღაროებში მომუშავე სამთამადნო მუშათა რიცხვი 14 ივლისისათვის 19.660 კაცს შეადგენდა.

ინგლისის მუშათა დახმარების აკრძალვა

ბერლინი, 28 ივლისი. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა, სოციალ-დემოკრატმა კრჟესინსკიმ აუკრძალა კომპარტიას 31 ივლისს და 1 აგვისტოს შემოწირულების შეგროვება ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.

„არბეიტერ ცეიტუნგის" აკრძალვა

ბერლინი, 28 ივლისი. კომპარტიის ორგანო ბრემენში „არბეიტერ ცეიტუნგი" აკრძალულია 14 დღით იმ ლექსის გადმობეჭდვისათვის, რომელმაც „როტე ფანეს" აკრძალვა გამოიწვია.

ინგლისის კომკავშირის თანაგრძნობა

ლონდონი, 28 ივლისი. ინგლისის კომუნისტური ახალგაზრდობის ლიგის აღმასკომმა კომინტერნის აღმასკომს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც თანაგრძნობას გამოსთქვამენ ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო.

ინგლისი და დომინიონები

ლონდონი, 29 ივლისი. თემთა პალატაში, დომინიონების საქმის შესახებ კამათის დროს, ემერიმ სთქვა, რომ მთავრობამ თანდათანობით უნდა გამოიმუშაოს საიმპერიო პრობლემების გადაწყვეტის უფრო სპეციალური გეგმა. მთავრობას სურდა, რომ მმართველობა გადაეტანა ლონდონში დომინიონებისა და კოლონიების უშუალო მონაწილეობით. ემერის იმედი აქვს, გაყვეს მუშათა პარტიის მაგალითს, რომელმაც კომისია დანიშნა კოლონიალურ იმპერიის განვითარების საკითხის გადაჭრისათვის.

მტაცებლების კავშირი

პარიზი, 29 ივლისი. „ფოსიშე ცეიტუნგი" იტყობინება, რომ ლითონის მრეწველობის წარმომადგენლები საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და ლიუქსემბურგისა 12 აგვისტოს ხელს მოაწერენ რკინის კარტელის დაარსების ხელშეკრულებას.

ბელგიის ჯარის შემცირება

პარიზი, 29 ივლისი. დეპუტატთა პალატის შემდეგ სენატმა შეამცირა ყოველწლიური სამხედრო კონტინგენტის რიცხვი.

ფინანსიურ კომისიაში

პარიზი, 29 ივლისი. გუშინ დეპუტატთა პალატას საფინანსო კომისიამ მოისმინა პუანკარე და 20 ხმის უმრავლესობით 12 წინააღმდეგ, 6 თავი შეიკავა, მხარი დაუჭირა ფინანსიური პროექტის განხილვაზე გადასვლას და უარყო სოციალისტების კანონპროექტი.

პუანკარემ განაცხადა, რომ არ შეუძლია თხოვოს პარლამენტს კანიკულებამდი უყოს რატიფიკაცია ვაშინგტონისა და ლონდონის ხელშეკრულებებს და რომ ნდობის საკითხს დასვამს კანონპროექტის ყოველი მუხლის განხილვისას.

გერმანია ვერ მიიღებს

ბერლინი, 29 ივლისი. „ტაიმსი" ეხება ჰამბურგში განზრახული კოლონიალური კონგრესის მოწვევის საკითხს და სწერს, რომ დღეს არ არის კოლონიალური მანდატები, რომელთა გაცემა შეიძლებოდეს გერმანიისთვის; მანდატებს ჩამორთმევა მანდატერებიდან შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხთა ლიგა სცნობს, რომ მანდატერებს არ აქვთ კოლონიალური მოქმედების უნარი. ამიტომ გერმანიას შეუძლია მხოლოდ ხალხთა ლიგის კოლონიებ-კონტროლის გაწევაში მონაწილეობა.

ლენსბერი გაემგზავრა კავკასიაში

მოსკოვი, 29 ივლისი. 29 ივლისს ლენსბერი მოსკოვიდან გაემგზავრა კავკასიაში.

მებამბეობის თათბირი

მოსკოვი, 29 ივლისი. ცენტროსოიუზთან გაიხსნა მებამბეობის საკავშირო კოოპერატიული თათბირი.

შიმშილით სიკვდილი

ლონდონი, 29 ივლისი. როგორც იტყობინებიან სამთამადნო რაიონებში მემაღაროების ცოლებსა და ბავშვებს შეუწყვიტეს ცალკე დახმარების მიცემა.

„დეილი ჰერალდი" იტყობინება, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია მთავრობის მითითებით.

სამთამადნო მუშების დამხმარე კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ის ამბობს, რომ მემაღაროეთა ცოლები და ბავშვები ნელა კვდებიან შიმშილით.

მემარცხენე ბლოკის ნანგრევებზე

პარიზი, 29 ივლისი. რონის დეპარტამენტის სოციალისტური პარტიის ფედერაცია თავის რეზოლიუციაში კიცხავს რადიკალებს ღალატისათვის და რეაქციონერებთან კავშირისათვის.

ფედერაციამ დაადგინა, რომ ერიოს არ შეუძლია დარჩეს ქალაქ ლიონის მერათ, რომლის მუნიციპალიტეტის უმრავლესობა სოციალისტურია.

„ჯავშნოსანი პატიომკინის" საფრთხე აშორებულია

ბერლინი, 28 ივლისი. გერმანიის კინოცენზურამ სურათ „ჯავშნოსანი პატიომკინის" ჩვენების ნება დართო. სურათის ბევრი მომენტები სავსებით გამოტოვებულია, ზოგი დამახინჯებული: მაგ. ჯარისკაცების მშვიდობიან მცხოვრებლებზე თავდასხმის დროს არ სჩანს სროლა და სისხლი; ხალხი ეცემა, მაგრამ რატომ, გამოურკვეველია.

პირველი პროლეტარული სკოლა

ტოკიო, 28 ივლისი. იაპონიაში კისაკიმურის პროლეტარულ დაწყებით სკოლის საზეიმო გახსნის დროს, პოლიციელებსა და რამდენიმე ათასეულ გლეხებს შორის მოხდა შეტაკება. დატყვევებულ იქნენ გლეხთა ლიდერები. საზეიმო გახსნას დაესწრო აგრეთვე იაპონიის მუშების ბევრი გამოჩენილი ლიდერი.

კონსტიტუციის რეფორმა

პარიზი, 29 ივლისი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ სენატის კომისიამ შესცვალა სეიმის მიერ მიღებული კონსტიტუციის რეფორმა იმ მიზნით, რომ ორივე პალატას ერთნაირი უფლება მიეცეს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პროფესორ მილოსლავსკის დაჯილდოება

მოსკოვი, 29 ივლისი. განსახკომის კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა საბ. რუსეთის სახკომსაბჭოსთან — დააჯილდოვოს ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი მილოსლავსკი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდებით მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო.

ცეცხლის გაჩენა

რიბინსკი, 29 ივლისი. რიბინსკის მაზრაში ორ ადგილას ცეცხლი გაუჩნდა ტორფს. ხანძარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვოლგის სადგურის რაიონში. მოსახლეობას, ძლიერი სიცხის გამო, უჭირს ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლა. ტორფი სამი ადლის სიღრმეზე იწვის. მეორე ხანძარი დაიწყო როჟდესტვენის ოლქში ტორფის ჭაობების ცენტრში.

შლიუზების გახსნა „ვოლხოვსტროიზე"

ლენინგრადი, 29 ივლისი. 28 ივლისს გახსნეს „ვოლხოვსტროის" შლიუზები. ქვევიდან ზემოთ გაუშვეს ორი საბუქსირო გემი. ზევით ახალ ლადოგაში გაიარა მგზავრების გემმა და აგრეთვე ბუქსირმა. ვოლხოვზე შლიუზების გახსნის შემდეგ იწყება წესიერი ნაოსნობა ლადოგისა და ილმენის ტბებს შორის. ნაოსნობა ამ ადგილებში შეწყვეტილი იყო 4 წლის წინათ „ვოლხოვსტროიზე" მუშაობის დაწყებიდან.

დახმარება ინგლისის მემაღაროებს

ნოვგოროდი, 29 ივლისი. მალოვიშერის შუშის ქარხნის მუშებმა დაადგინეს გადარიცხონ 1-ლ ივლისიდან ყოველთვიურად ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოდ გაფიცვების მოხსნამდე სამუშაო ხელფასის 1%.

უცხოეთის მუშათა დელეგაციები

საბჭოთა კავშირის შესახებ

გერმანიის მუშათა დელეგაციის მიმართვა ლენინგრადის მუშებისადმი

ლენინგრადი, 29 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაციისაგან ლენინგრადის მუშებმა მიიღეს მომართვა, რომელშიაც ნათქვამია: „ამხანაგებო, გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის ერთხმად არჩეული პრეზიდიუმი, ყველა დელეგატების სახელით, მადლობას გიძღვნის თქვენ მხურვალე და გულითადი შეხვედრისათვის ჩვენი ლენინგრადში ჩამოსვლის დროს. ჩვენ მოვეპყრობით ჩვენს ამოცანებს მთელი სერიოზულობითა და მიუდგომლობით; ასეთი მოქცევა მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია. მიმოსვლის სრული თავისუფლება, რომელიც თქვენ ჩვენ მოგვეცით, ჩვენს მიერ გამომუშავებულ პროგრამასთან შეთანხმებით, გვაძლევს საშუალებას გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, ფაბრიკებსა და ქარხნებში ანგარიშების წარდგენის დროს, სასტიკი პასუხი გავცეთ ბოროტ, გაუსწორებელ, ფარულ თუ აშკარა მტრებს საბჭოთა რესპუბლიკისას. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მუშების მთლიანობას!

გაუმარჯოს აღდგენილ საბჭოთა კავშირს!

ძირს საერთაშორისო პროლეტარიატის მტრები!

გაუმარჯოს პროფმოძრაობის ერთობას!

ფაბრიკა - ქარხნების დათვალიერება

ლენინგრადი, 29 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაციამ ინახულა სმოლნი და ქარხნები „წითელი პუტილოველი" და „წითელი სამკუთხედი".

ბელგიის დელეგაციის განცხადება

კიევი, 29 ივლისი. ბელგიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ **ზორგერსტმა** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ შეეკრიბა საჭირო მასალები წინააღმდეგობების გასაწევად იმ კამპანიისათვის, რომელსაც აწარმოებს ბელგიის ბურჟუაზიული და სოციალისტური პრესა. ეს პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა რეჟიმმა ხალხი ანარქიამდე და გაღატაკებამდე მიიყვანა. ის, რაც ჩვენ ვნახეთ მოსკოვში, უკვე ნებას გვაძლევს გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნები. ვინახულეთ რა მოსკოვში შრომის სასახლე, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ინსტიტუტი, გამასწორებელი სახლები, საბავშო სახლები და სანატორიუმები, ჩვენ გაკვირვებული დავრჩით იმ მშვენიერი მდგომარეობით, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. ასეთი საბავშო სახლები და სანატორიუმები ბელგიაში არ არსებობენ. გთხოვთ ჩვენი სახელით გადასცეთ უკრაინელ ამხანაგებს, რომ ისინი უნდა ამაყობდენ და ბედნიერათ უნდა სთვლიდენ თავს, რომ მოახდინეს რევოლიუცია. იმ სოციალურ ორგანიზაციას და შრომის პირობებს, რომელშიაც იმყოფება რუსეთის მუშათა კლასი, პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ბელგიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით დავიცავთ საბჭოთა კავშირს ბურჟუაზიული პრესის ცილისწამებისაგან.

ბელგიის მუშათა დელეგაცია კიევში

კიევი, 29 ივლისი. ბელგიის მუშათა დელეგაციამ ჩამოსვლის დღესვე დაათვალიერა კულტურული დაწესებულებები და კლუბების მთელი რიგი.

დიდი დრო მოანდომეს დელეგატებმა ახალი სანატორიუმის დათვალიერებას. როცა დელეგაციის თავმჯდომარემ გაიგო, რომ შენობა. რომელშიაც მოთავსებულია სანატორიუმი, წინედ ეკუთვნოდა მილიონერ ბროდსკის, შენიშნა: „თქვენ ძალიან კარგად მოიქეცით, რომ ის გააძევეთ". ამ შენიშვნამ საერთო სიცილი გამოიწვია.

ხარკოვში

ხარკოვი, 29 ივლისი. ჩამოვიდა კიევიდან მუშათა დელეგაცია. დელეგაციას სადგურზე შეხვდენ უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობათა, ხარკოვის საოლქო პროფსაბჭოთა და ქარხნების მუშათა წარმომადგენლები.

ხარკოვიდან დელეგაცია გაემგზავრება არტემოვსკში.

სხვადასხვა

კაპიტალისტურ ტრესტის შემოსავალი

შეერთებულ შტატების ფოლადის ტრესტმა გამოაცხადა, რომ ჩვეულებრივი დივიდენდი აქციაზე უდრის 1 დოლარსა და 75 ცენტსა. უკანასკნელ მეოთხედ წელში ტრესტმა მოიგო 47.814.000 დოლარი.

ფორდის მადა

ფორდმა სამხრეთ-სლავიის მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ მას ნება მიეცეს რამდენიმე საავტომობილო ფაბრიკა გახსნას. სამაგიეროთ ის სამხრეთ-სლავიას პირდება საავტომობილო გზა-ტკეცილების გაყვანას.

შაქრის მონოპოლიის გაუქმება ოსმალეთში

ანგორიდან მიღებული ცნობით მთავრობამ შაქრის თავისუფალი იმპორტის ნება დართო ვაჭრებს.

ნიაღვრის ჩავარდნა კორეიაში

„დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იტყობინება, რომ კორეის ერთ ნაწილში ხანგრძლივი წვიმების გამო, ჩავარდა ნიაღვარი. განადგურებულია სამი სოფელი. უბინაოდ დარჩა 1000-მდე კაცი. მოკლულია 36, დაჭრილია 170.

რადიო-კონფერენცია

„დეილი მეილ"-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტის ცნობით, უმსხვილესმა რადიო-ფირმებმა გამოაქვეყნეს მოწვევა საკონვენციო კრებაზე შეთანხმების დასადებათ, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ანარქია ამერიკის რადიოს ფართედ მაუწყებლებში. ეს შეთანხმება ძალაში უნდა დარჩეს სანამ არ იქნება შემუშავებული კანონმდებლობა ტალღების სიგრძის კონტროლის შესახებ.

30 მილ. აბონენტი, ნათქვამია მიწვევაში, იმყოფება ანარქიის და ქაოსის საფრთხის წინაშე, რის გამო შესაძლოა ამერიკის საზოგადოებამ უარი განაცხადოს რადიოთი სარგებლობაზე.

საკონვენციო კრება მოწვეულია 6 აგვისტოსათვის.

სამგლოვიარო სხდომა ნიუ-იორკში

უორკერ პარტი აწყობს სამგლოვიარო კრებებს ამხ. ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავათ ნიუ-იორკსა, ბოსტონსა, ჩიკაგოსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში.

გერმანია-ჰოლანდიის სავაჭრო ხელშეკრულება

ჰოლანდიის პირველმა პალატამ დაამტკიცა გერმანია-ჰოლანდიის სავაჭრო ხელშეკრულება.

კონტრაბანდასთან ბრძოლა

ინგლისისა და შეერთებულ შტატებს შორის დადებულია შეთანხმება შეერთებულ შტატებში სპირტის სასმელების კონტრაბანდის გზით შეტანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

— კონტრაბანდისტების „ტრესტი". ნიუ-იორკში დამთავრდა ვილიამ დაგერის საქმე. ვილიამ დაგერი იყო იმ „შაიკის" მეთაური, რომელსაც კონტრაბანდათ შეჰქონდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სპირტის სასმელები. „შაიკას" ჰქონდა თანხა 8 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით. ის ინახავდა გემების მთელ ფლოტილიას სპირტის გადასაზიდათ. დაგერს მიუსაჯეს 2 წლის ციხე და დიდი ჯარიმა.

ლენსბერის მოხსენება

რემედასის ინგლისის სექციის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 29 ივლისი. 29 ივლისს საბჭოთა კავშირის რემედასის აღმასკომისა და ცეკას გაერთიანებულ სხდომაზე ლენსბერიმ გააკეთა ვრცელი მოხსენება რემედასის ინგლისის სექციის მუშაობის შესახებ.

„ჩვენ ეხლა ინგლისში, სთქვა ლენსბერიმ, მძიმე ხანას განვიცდით. **წავიდა ის დრო, როცა ინგლისში იყო სიტყვისა და პრესის თავისუფლება. რუსეთიდან განდევნილი თვითმპყრობელობა ბრიტანეთის კუნძულებზე გადაბარგდა.** რემედასის მუშაობამ ინგლისში ჯერ კიდევ საყოველთაო გაფიცვამდე იწყო გაფართოება, მაგრამ განსაკუთრებული პოპულიარობა რემედასის ორგანიზაციამ მოიპოვა წარსული წლის ივლისში, სამ კომუნისტის პროტესტის დროს.

რემედასის თანხები გროვდებოდა დიდი მიტინგებისა, აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებით. მაგრამ ძნელი იყო მუშაობა. ჩვენს მიტინგებს კრძალავდა მთავრობა, იძულებული ვიყავით სხვისი სახელით გვემუშავა.

ამ წლის მაისს, განაგრძო ლენსბერიმ, ლონდონის ქუჩებში რაღაც საშინელი რამ ხდებოდა. რემედასის მიერ მოწყობილი მიტინგები სტიქიურ დემონსტრაციებად ხდებოდენ. აუარებელი ხალხი გამუდმებით ისროდა მაღლა ახალ-ახალ ორატორებს, უპარტიოებს და შეუკავშირებელ მუშებსაც კი, რომლებიც მოუწოდებდენ პოლიტიკურ ტუსაღთა დახმარებისაკენ და თავისი კლასის უფლებათა დაცვისაკენ".

ლენსბერი აღნიშნავს, რომ ძლიერდება მთავრობის ტერორი მუშათა კლასის მიმართ.

„ინგლისში, ამბობს ის, კვალიც კი არ დარჩა „სახელოვანი" დემოკრატიული თავისუფლებისა". ყოველ კრებაზე აუარებელი ჯაშუშებია. მთავრობა თავისი დევნითა და უსამართლიანობით თვალებს უხელს მუშათა კლასს და აგნებინებს კლასიური ბრძოლის აუცილებლობას.

როცა გაფიცვამ იფეთქა, რემედასის ინგლისის სექცია დაუყოვნებლივ შეუდგა შემოწირულებათა შეგროვებას და მიტინგების მოწყობას. მიტინგზე ალბერტ — ხოლში შეგროვილ იქნა 3.000 გირ. სტერლინგი. შემოწირულებას იძლეოდენ საშუალო კლასების წარმომადგენლებიც კი. ვიღაც ქალმა მთელი თავისი ძვირფასი ნივთები შესწირა. რემედასის მიერ მოწყობილ მიტინგზე მანჩესტერში, თავმჯდომარესთან მიდიოდენ მუშები და აძლევდენ ყველაფერს, რაც ქონდათ. ერთმა მუშამ მისცა იმ დღეს მიღებული სამი კვირის ჯამაგირი.

თუმცა საყოველთაო გაფიცვა დამთავრდა ისე, რომ არ მოყვა რაიმე დადებითი შედეგი, ამბობს ლენსბერი, მაგრამ ეს იქნება ინგლისის პროლეტარიატის მუშური სოლიდარობის მკვეთრი მაგალითი. ეს ჯერ კიდევ არაა კომუნისტური იდეის გამარჯვება, მაგრამ კლასიური სოლიდარობის დიადი ინსტიქტია. ინგლისის მუშათა კლასი არ გრძნობს თავს დამარცხებულად, მან იცის, რომ მას კიდევ დიდხანს მოუხდება ბრძოლა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი გაიმარჯვებს".

ოსმალეთის მცურავი გამოფენა

ლენინგრადი, 29 ივლისი. ლენინგრადში მოვიდა ოსმალეთის მცურავი გამოფენა, რომელიც მოთავსებულია გემზე „ყარა დენის". გამოფენის შესახვედრათ შეიკრიბენ ლენინგრადის გუბაღმასკომის, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, რუსეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ - დასავლეთის სავაჭრო პალატების, ოსმალეთის საელჩოს, ნავთის სინდიკატის და სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლები.

მისალმებათა საპასუხოდ გამოფენის კომისარმა რაუფ ბეიმ განაცხადა: „ჩვენ დიდი ხანია ვცდილობთ მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ საბჭოთა კავშირთან. მცურავი გამოფენა ამ ურთიერთობის განმტკიცების ნაწილობრივი დამამტკიცებელია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ეს ურთი-ერთობა კიდევ უფრო გამაგრდება".

საუბარის დროს რაუფ-ბეიმ სთქვა: „ჩვენ მიერ ჩამოტანილი ექსპონატები საჭიროა საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა კავშირი გაეცნობა ოსმალეთის ბაზრის პირობებს. ჩვენც აგრეთვე დავალებული გვაქვს გავეცნოთ საბჭოთა ბაზარს და წარუდგინოთ სტამბოლის სავაჭრო პალატას მოხსენება აქ შესაძლო შესყიდვების შესახებ".

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

„კონკორდიას" საქმე

ბაქო, 29 ივლისი. 29 ივლისის დილის სხდომა იწყება მოწმეების დაკითხვით არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის მამედბეკოვის საქმის შესახებ.

დამტკიცდა, რომ მამედბეკოვი კრედიტს იღებდა კოოპერატივ „სოგლასიედან". კოოპერატივის ანგარიში 205 მან. თანხისა გადაგზავნილ იქნა „კონკორდიას" გამგეობაში, უკანასკნელის თანხმობით. მამედბეკოვი უარყოფს მოწმე მარტიროსოვის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მამედბეკოვმა ორჯერ გამოართვა მას 40 მან. გადასახადების შესატანად.

მოსამართლის მიერ მიცემული შეკითხვების საშუალებით ირკვევა, რომ მოწმე მარტიროსოვს, სპირტის სასმელების უნებართვოდ შენახვისა და გაყიდვისათვის ყოფილ ინსპექტორის მამედბეკოვის ოქმის მიხედვით, ერთი თვის ციხე ჰქონდა მისჯილი.

სოფ. გეორგიევსკოეს ყაზახი იძლევა ჩვენებას მამედბეკოვის მიერ მასთან ერთად საპაიო საფუძველზე საქონლის შესყიდვაში მონაწილეობის შესახებ.

„საქონელი მე დავკალი და გავყიდე, როცა ჩამოვედი, მამედბეკოვისათვის ფულის მიცემა ვერ მოვასწარი მისი დატუსაღების გამო".

სხდომის დასასრულს დაკითხული მოწმენი გეორგიევსკოეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ვილჰელმ ბეკის საქმის შესახებ, უკანასკნელს ახასიათებს როგორც სასარგებლო მუშაკს.

ბაქო, 29 ივლისი. 28 ივლისს, დილის სხდომაზე გრძელდება გამგეობის თავმჯდომარის გეორგ-ბეკის და სხვა ბრალდებულების დაკითხვა. სასამართლომ გამოარკვია, რომ ყოფილ მევენახეთა ქონების ჩამორთმევის თავიდან აცილებლათ გეორგ-ბეკმა შექმნა კოოპერატიული გაერთიანება—„კონკორდია", რომელშიდაც შევიდენ: ძმები გუმელი 20,291 მან. კაპიტალით. ძმები ფორერი—128.000 მანეთით, ამხანაგობა—„კონკორდია"—88.564 მანეთით; გეორგ-ბეკი—4.564 მანეთით და ამხანაგობა „ბრუნვა"—14.000 მანეთით.

ამით მათ აიცილეს ქონების ნაციონალიზაცია. ბრალდებულების დაკითხვის საშუალებით, სასამართლომ გამოარკვია, რომ კოოპერატივის კაპიტალის დიდი ნაწილი გუმელს ეკუთვნოდა. ამიტომ თბილისში, მოსკოვში, ბერლინში და სხვა ქალაქებში რწმუნებულებს აგზავნიდა გუმელი.

დაკითხვის დროს გოტლიბ გუმელმა თავი დამნაშავეთ არ სცნო. საქმეებში მყოფ საბუთების მიხედვით, სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულნი აწარმოებდენ ვალიუტის გაგზავნას უცხოეთში, რასაც გოტლიბ გუმელმა ისეთი განმარტება მისცა, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა მექანიკურად და არაფერი არ ვიცოდით. სასამართლო არკვევს, რომ გოტლიბ გუმელი გარდა კოოპერატივების ფულებისა უცხოეთში აგზავნიდა აგრეთვე კერძო პირების ფულს; ამაში გამოტყდა და განაცხადა, რომ ეს სესხის სახით ხდებოდა.

ტეხნიკურ-საამშენებლო განყოფილების და სასკოლო-განმანათლებელ ნაწილის გამგე—ინჟინერი ლორენცო კუნი, უარყოფს ბრალდებას, რომ უცხოეთში მას ვალიუტა გაეგზავნოს. „კონკორდიას" ბაქოს რწმუნებული ადოლფ კუნი, რომელსაც ქრთამის აღება ბრალდება, უარყოფს თავის დანაშაულს. სასამართლომ გამოარკვია, რომ ქრთამი იცემოდა გამგეობის განკარგულების თანახმად.

საღამოს სხდომაზე დაკითხეს თბილისის კანტორის გამგე, რომელსაც ბრალდება აგრეთვე ვალიუტის გაგზავნა უცხოეთში. ის მერყევ ჩვენებას იძლევა და უარყოფს თავის დანაშაულს.

გზის შეკეთება

ბაქო, 29 ივლისი. კომუნალურ განყოფილებამ მარდაქიან - ხიზის შორის გზა - ტკეცილის შესაკეთებლათ გაიღო 200.000 მანეთი.

საქონლის მოშენების გაძლიერება

ბაქო, 29 ივლისი. აზერბეიჯანის სასოფლო ბანკმა 15000 მანეთის კრედიტი გაუხსნა ცხოველთა მომშენებელ ამხანაგობას სლავიანში, ცხვრის მოშენებისათვის.

ამხ. ძერჟინსკის სახსოვარათ

ზაქათალა, 29 ივლისი. ზაქათალაში შესდგა სამგლოვიარო კრება, ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავათ. კრებას დაესწრენ პარტიის წევრები, კომკავშირის, პროფკავშირის, წითელარმიის წარმომადგენლები და სხვ. კრებაზე მომხსენებლებმა მთლიანათ დაასურათეს ამხ. ძერჟინსკის გმირული რევოლიუციონური ცხოვრება.

უპატრონო ბავშთა კვირეული

ზაქათალა, 29 ივლისი. მაზრაში დამთავრდა უპატრონო ბავშთა კვირეულის ჩატარება. 25 ივლისისთვის კომუჯრედებიდან, სოფლის საბჭოებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოვიდა 150 მანეთი. ფულის შეგროვება გრძელდება.

აზერბეიჯანის მოსახლეთა რიცხვი

ბაქო, 29 ივლისი. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, აზერბეიჯანის რესპუბლიკაში სულ სცხოვრობს 2.146.865 მცხოვრები, რომელთა შორის სოფლის ადგილებშია—1.625.825, ქალაქებში კი ბაქოსთან ერთად 520.040 მცხოვრები.

კონსერვების ქარხანა

ხაჩმასი, 29 ივლისი. სადგურ ხაჩმასში „კეიბირლიკმა" მოაწყო კონსერვის ქარხანა.

დამზადებული იქნება 12.000 ფუთი კიტრი, 10.000 ფუთი ტომატი და 4.000 ფუთი მწვანეულობის კონსერვები.

მატყლის დამზადება

ბაქო, 29 ივლისი. „კეიბირლიკმა" მიმდინარე წლის საზაფხულო კამპანიისათვის დაამზადა 24.000 ფუთი საგაზაფხულო მატყლი. აქედან 17.000 ფუთი გადაეცა ამიერ-კავკ. კავშირს ხელშეკრულების თანახმად.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ბაქო, 29 ივლისი. აზერბეიჯანის ა. ლ. კ. კ. ცეკამ გადასწყვიტა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ჩაატაროს სექტემბრის თვის პირველ პარასკევს.

განჯის დაზღვევის სალარო

განჯა, 29 ივლისი. დაზღვევის სალაროს 1925—26 წლის პირველ ნახევარ წლისთვის პენსიების და დახმარების სახით დაუხარჯავს 5.000 მანეთი, ხოლო საექიმო დახმარებისათვის დაზღვეულებს მიეკათ 57.950 მანეთი.

ამერიკის სტუდენტთა დელეგაცია თბილისში

დელეგაციის ჩამოსვლა

ოთხშაბათს, ღამის 1 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის ნაწილი; მეორე ნაწილი ჩამოვიდა გუშინ დილის 2 საათზე. დელეგაციის შემადგენლობიდან ორი წევრი არ ჩამოსულა საქართველოში. ერთი—ზანგი **კარრიკტონი** დარჩა მოსკოვში, მეორე—**შუმაკერი** გაემგზავრა მოსკოვიდან ამერიკაში.

თბილისში ჩამოსულ დელეგაციის შემადგენლობა ასეთია:

ვან ალსტეინ (დელეგაციის თავმჯდომარე)—სტუდენტი ქალი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, **პირს**—სტუდენტი ქალი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, **დაბნი**—ზანგი ბროკვუდის სკოლიდან, **სმიტ**—პიტსბურგის უნივერსიტეტიდან, **სტეიგლერ**—მიჩიგანის უნივერსიტეტიდან, **კროსბახ**—შტატ ინდიანის უნივერსიტეტიდან და **ჰეკკერტ**—ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან.

დელეგაციას ახლავს რუსეთის პროლეტარულ სტუდენტობის ორგანიზაციების წარმომადგენელი ამხ. **სამარინი** და მთარგმნელი ქალი **კინ**.

დელეგაცია დაბინავდა „სასახლის ნომრებში".

ქალაქის დათვალიერება

გუშინ დილიდანვე ამერიკელი სტუმრები შეუდგენ ქალაქის დათვალიერებას. დელეგატებმა დაათვალიერეს თბილისის მთავარი ქუჩები და შუა ბაზარი.

ქალაქის დათვალიერებამ მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს დელეგატები განათლების მუშაკთა კავშირის და პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს წარმომადგენლების თანხლებით გაემგზავრენ ფუნიკულიორზე.

მაღალი მთიდან გადაშლილმა ლამაზმა პანორამამ დელეგატებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, აქვე დელეგატების ყურადღება მიიპყრეს აღმოსავლურმა მუსიკამ, რომელიც მათ მეტად მოეწონათ.

ფუნიკულიორიდან დელეგატები გაემგზავრენ ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში სიმფონიური კონცერტის მოსასმენად.

დღეს დელეგატებს განზრახული აქვთ დაათვალიერონ სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუზეუმი და ბავშთა კოლონია კოჯორში.

თბილისიდან დელეგაცია ბათომით მიემგზავრება სევასტოპოლში, იქიდან ხარკოვში და მოსკოვში.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე—ვან ალსტეინთან

— ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში, აცნობა ჩვენს თანამშრომელს დელეგაციის თავმჯდომარემ **ვან ალსტეინმა**,—სხვადასხვა აზრი არსებობს საბჭოთა კავშირის, მისი დაწესებულებების, სახელმწიფო წესწყობილების, მრეწველობის, ვაჭრობის და სხვა დარგების შესახებ.

უკვე დიდი ხანია სტუდენტებში განმტკიცდა ის აზრი, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის უფრო ახლო გაცნობა, მისი მიღწევების და ნაკლის საკუთარი თვალით ნახვა.



ვან-ალსტეინ
დელეგაციის თავმჯდომარე

როდესაც საბჭოთა კავშირში გამგზავრების საკითხი რეალურ ნიადაგზე დადგა, გამგზავრების სურვილი განაცხადა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მრავალმა სტუდენტმა, მაგრამ წამოსვლა მოვახერხეთ მხოლოდ ჩვენ—ცხრა სტუდენტმა.

ჩვენი ჩამოსვლის მიზანია—საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურის, მრეწველობის, ხელოვნების მიღწევების და, რასაკვირველია, სტუდენტობის მდგომარეობის და ორგანიზაციების დაწვრილებით გაცნობა. ცალკე დელეგატები დაინტერესებული არიან ქალების და ბავშვების დაცვის საქმის მდგომარეობით და სოფლის მეურნეობით.

ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს საბჭოთა სტუდენტობა. ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ბევრი არიან, მათ არ აქვს ისეთი ორგანიზაციები, როგორიც საბჭოთა კავშირში. ჩვენი სტუდენტების ორგანიზაციები უფრო კულტურულ-საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციაა და არა პროფესიონალური. უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ გერთიანებას კლუბებთან, ეს არის სტუდენტთა წრეები, რომლებიც არ მისდევენ პოლიტიკურ მიზნებს. ასეთი სტუდენტური ორგანიზაციები ბევრია; ამას გარდა არსებობს კიდევ სარწმუნოებრივი, სასპორტო და სხვაგვარი წრეები.

თავის-თავად ცხადია, რომ ამერიკაში არ არის არც პროლეტარული სტუდენტობის ორგანიზაციები; თვით პროლეტარული სტუდენტობაც ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ამერიკაში არ არსებობს, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა მუშებისათვის ძალიან გაძნელებულია; ზოგიერთ რაიონებში არსებობს მხოლოდ მუშათა სკოლები, რომლებსაც ინახავენ ან ტრედ-იუნიონები, ანდა ცალკე „მეცენატები".

ჩვენ უკვე დავათვალიერეთ [illegible] ზოგიერთი სამრეწველო რაიონები. საქართველოში ჩვენ გავეცნობით ადგილობრივ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრებას და ორგანიზაციებს და განზრახული გვაქვს დავათვალიეროთ აგრეთვე ბათომი.

დასასრულ **ვან ალსტეინმა** აღნიშნა, რომ საქართველოს სამხედრო გზამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი ლამაზი ბუნება,—სთქვა მან,—ჩვენ არსად არ გვინახავს.

საუბარი დელეგაციის წევრ—ზანგ დაბნისთან

გუშინ ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა დელეგაციის წევრ—ზანგ **დაბნის** თხოვნით გაეზიარებია მისთვის ზოგიერთი ცნობები ზანგთა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ—ამერიკაში.

— ჩვენი ახალგაზრდობა,—სთქვა მან,—რომელსაც სურს უმაღლესი განათლების მიღება, დიდ დაბრკოლებას განიცდის უნივერსიტეტებში შესვლის დროს.

ყოველწლიურად ამერიკის უნივერსიტეტებში შედის 25.000 ზანგი, რომელთაც სურთ უმაღლესი განათლების მიღება. უნივერსიტეტებში შესვლის პირობები მეტად დამამცირებელია ზანგებისათვის. სამხრეთ ამერიკის შტატებში ზანგებს სრულებით არ იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში. აქ არის სპეციალური სასწავლებლები ზანგებისათვის. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ზანგი სტუდენტები მოკლებული არიან ელემენტარულ უფლებებს—ისწავლონ თეთრკანიან სტუდენტებთან ერთად.

უკეთესი მდგომარეობაა ჩრდილოეთ შტატებში, სადაც ზანგი სტუდენტები თითქმის იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც თეთრკანიანები.

— რითი აიხსნება, რომ ისეთ კულტურულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, არსებობს ადამიანების ასეთი მახინჯი დანაწილება შავებათ და თეთრებათ,—შეეკითხა ჩვენი თანამშრომელი.

— ეს აიხსნება,—ამბობს დაბნი, ამერიკის სახელმწიფოებრივი მმართველობით და საზოგადოებრივი წესწყობილებით, ნაწილობრივ კი ზანგების საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობით. ზანგები ნაკლებ უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად და ამიტომ უკეთეს ობიექტს წარმოადგენენ ექსპლოატაციისათვის.

აქამდე ასეთ არხე-კულტურულ ქვეყანაში ადგილი აქვს ლინჩის სამართალს. აქედან უკვე ნათლად სჩანს, თუ როგორ მდგომარეობაში არიან ზანგები ამერიკაში.

შემდეგ დაბნიმ აღნიშნა, რომ მიუხედავათ დაბრკოლებებისა ზანგების ახალგაზრდობა მაინც ისწრაფის უნივერსიტეტებისაკენ და ემზადება ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის.

ჩვენს ახალგაზრდობას დიდი სურვილი აქვს მიიღოს უმაღლესი ცოდნა. ჩვენი ერი ამერიკის საერთო მოსახლეობის 10 პროც. შეადგენს, ახალგაზრდობა კი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, სტუდენტთა საერთო რიცხვის 5 პროც. უდრის.

პარტიული ცხოვრება

ერთი სახის ფორმალოგის წინააღმდეგ

(ქალთა შორის მუშაობის საკითხებიდან)

ქალთა თანასწორობის პრინციპი ჩვენს სინამდვილეში უდაო ჭეშმარიტებას წარმოადგენს. სიტყვით მას ყველა ეთანხმება და იზიარებს, ხოლო არსებითად ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვრჩება გასაკეთებელი.

მშრომელი მასის აქტივობის ზრდა, რომელზედაც ასე ბევრს სწერენ დღეს და, რაც უთუოდ უდაო ფაქტია, რა თქმა უნდა, შეეხო მშრომელ ქალთა ფართო ფენებსაც. სინამდვილეში კი ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მშრომელ ქალთა აქტივობის ზრდა არ იყო და არ არის შესაფერისად გამოყენებული ჩვენი პარტიული ორგანოების მიერ.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საკითხისადმი ფორმალური მიდგომა. მაგალითად, საყოველთაო ჩვეულებათ და ზოგჯერ ვალდებულებათაცაა გადაქცეული ამა თუ იმ ორგანოში მამაკაც კანდიდატებთან ერთად ქალების დასახელებაც. ამ მოვალეობას თუ ჩვეულებას ხშირად პირნათლად იხდიან: არჩეულ ორგანოში გაჰყავთ ქალი დელეგატებიც და ამით უკვე შესრულებულათ მიაჩნიათ თავიანთი ვალი მშრომელ ქალთა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ორგანოთა მუშაობაში ჩაბმის საქმეში.

იმას კი არავინ კითხულობს, რამდენად გამოსადეგია ესა თუ ის ქალი იმ საქმეზე, რომელსაც მას აკისრებენ. არც იმისთვის იტკივებენ თავს, რომ საზოგადოებრივ და სახელმწიფო მუშაობაში მამაკაცებზე ბევრათ უფრო გამოუცდელ ქალებს ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიოს ვინმემ და ამხანაგური რჩევა-დარიგებით გაუადვილოს დაკისრებულ საქმის შესრულება.

ამიტომაა, რომ არც ისე იშვიათია მაგალითები, როცა არჩეულ ან რაიმე თანამდებობაზე წამოყენებულ ქალებს წუნს სდებენ პასიურობაში და უნიათობაში. ამგვარი შემთხვევების მოწმე ვართ ჩვენ დღეს, როგორც ქალაქში, ისე სოფლებშიაც.

ამიტომ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ქალთა შორის მუშაობისადმი ფორმალურ, ჩინოვნიკურ მიდგომას. ასეთ თანასწორობას, რომელიც მხოლოდ გარეგნულ ეფექტს ახდენს, მშრომელ ქალთა ნამდვილ განთავისუფლებისათვის არავითარ სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ვ. გ—ლი.

თემკომების გაძლიერების გზით

(თელავი)

თემკომების სისტემა ბევრ ალაგას კარგ შედეგებს იძლევა. სამაზრო კომიტეტი თემკომების საშუალებით მჭიდროთ დაუკავშირდა ძირითად პარტორგანიზაციებს და პარტხელმძღვანელობაც გაუმჯობესდა.

თელავის სამაზრო კომიტეტმა იმ თავითვე მიაქცია ყურადღება თემკომების მუშაობას; ამ მიზნით მაზრკომის მიერ მიმაგრებულია თემკომებზე და დიდრონ უჯრედებზე პ.-მგ. პარტ. მუშაკები, რომელთაც დავალებული აქვთ გაუწიონ ხელმძღვანელობა თემკომებს და უჯრედებს. მიღებულია ზომები, რათა ასეთი მიმაგრება მოხდეს თითქმის ყველა უჯრედებზე. რისთვისაც თემკომებმა თავის მხრით უნდა გამოყონ სათანადოთ მომზადებული პარტმუშაკები.

დიდი მნიშვნელობა აქვს თემკომების უჯრედების და საერთოდ პარტორგანიზაციების გეგმიან მუშაობაზე გადასვლას.

თემკომებს და უჯრედებს სანიმუშო გეგმები ეგზავნებოდათ სამაზრო კომიტეტიდან. რასაკვირველია, პირველ ხანებში უჯრედებში ვერ ერკვეოდენ გეგმებში, უძნელდებოდათ საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და სხვა. მაგრამ სამაზრო კომიტეტი ინსტრუქტორებისა და მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით დაეხმარა უჯრედებს ამ მხრივ. ამჟამათ ყველა უჯრედებში მუშაობა გეგმის მიხედვით სწარმოებს. ამჟამად უჯრედების მუშაობას წინსვლა ეტყობა. სისტემატიურად ეწყობა უჯრედების კრებები, ეწყობა აგრეთვე ღია კრებები, სადაც უპარტიო გლეხობაც ბლომათ ესწრება.

უჯრედების ხელმძღვანელობა სწარმოებს კომფრაქციების საშუალებით. მაგრამ ამ მხრივ საქმე ჯერ არ არის სავსებით მოწესრიგებული. ზოგან ჯერაც ვერ არის რიგზე ჩამოყალიბებული კომფრაქციების მუშაობა.

უჯრედების მუშაობის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მუშაობა უჯრედის წევრთა შორის არ არის განაწილებული და ასეთივე მდგომარეობაა თემკომებშიაც.

მეორე ნაკლი—ეს მაზრკომის და თემკომის დირექტივების შეუსრულებლობაა.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ თვით თემკომები, როგორც ახალი ორგანიზაცია, ვერ უწევენ უჯრედებს სათანადო ხელმძღვანელობას. ამ ნაკლს გამოასწორებს სათანადო ყურადღება, უკვე მიღებულია ყოველგვარი ზომები თემკომების ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად უჯრედებში.

უჯრედებს ეძლევათ წერილობითი ახსნა-განმარტება და ეგზავნებათ ცირკულიარები, დროგამოშვებით ეწყობა მდივნების თათბირი, გარდა ამისა ინსტრუქტორებს დავალებული აქვთ ხშირად დაათვალიერონ უჯრედები და თემკომები.

სამაზრო კომიტეტი ცდილობს მომავლისათვის უჯრედებში უშუალო ხელმძღვანელობა თემკომებს დააკისროს.

ამის გამო მთავარი ყურადღება ექცევა თემკომების გაძლიერებას მომზადებული პარტმუშაკებით.

ამრიგად თემკომი თემში იქნება ხელმძღვანელი და ავტორიტეტიანი პარტიული ორგანიზაცია.

უჯრედების ბიუროების, მდივნების და თემკომების უკანასკნელმა გადა[illegible]ამ მოგვცა შემდეგი სურათი: ჩამოყალიბდა [illegible]რაში ექვსი ახალი უჯრედის ბიურო 22 წევრით.

თემკომი ჩამოყალიბებულია 7 თემში, საკანდიდატო ჯგუფები არსებობენ 8 ადგილას.

ორგანიზაციული ზრდა მიმდინარეობს ნორმალურად—ამ ექვსი თვის განმავლობაში გაიზარდა კომუჯრედების და კანდიდატთა ჯგუფების რიცხვი—ლტოლვა პარტიისადმი გლეხების დიდია. მომავალში ორგანიზაციის ზრდა უმთავრესად იწარმოებს ღარიბის გლეხთა და კომკავშირთა ხარჯზე.

ია.

გამოასწორეთ ეს ნაკლი

(წერილი ჩაქვიდან)

1924 წ. 1 მაისიდან ჩაქვში ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელად იქნა დანიშნული ჯამაგირიანი მუშაკი. ამის შემდეგ ჩაქვში ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლათ გაიზარდა. მოწყობილი იქნა ჩაქვის რაიონში 16 ქალთა უჯრ. როგორც ადგილობრივად მუშა ქალებში ისე აჭარელ ქალთა შორის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქნა დაყენებული.

სამწუხაროდ მიმდინარე წლის მაისიდან ჯამაგირიანი მუშები შტატების შემცირების გამო მოხსნილ იქნა, რამაც ქალთა შორის მუშაობა ძალიან შეაფერხა. წრეები თითქმის დაშლილათ [illegible] ჩაითვალოს.

ჩაქვი უდიდესი მუშათა უბანია აჭარისტანში, რომელიც აერთიანებს 200—300 მუშა ქალს. საჭიროა ქალთა განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ჩაქვში უეჭველად გადმოგზავნოს ქალთა ორგანიზატორი.

მთ—ი.

კინჩხა-გორდის თემკომის საქმიანობა

(ქუთ. მ.)

კინჩხა-გორდის ა. ლ. კ. კ. თემკომი აერთიანებს 4 უჯრედს, რომლებშიაც ითვლება 140-მდე წევრი და კანდიდატი. თემკომის ჩამოყალიბებამდე, ზოგიერთ უჯრედებში ორგანიზაციული მუშაობა თავის დონეზე არ იყო დაყენებული, აგრეთვე წევრთა რიცხვიც ძლიერ ნაკლები იყო. კომ-კავშირსა და კომ-უჯრედს შორის არ იყო კარგი განწყობილება, წარმომადგენლობითი სისტემაც კი არ არსებობდა. მუშაობა გამოსწორებულ და გამოცოცხლებულ იქნა თემკომის დაარსებიდანვე, გაჩაღდა ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა უჯრედებში, რამაც გამოიწვია უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა ჩვენი რიგებისაკენ. ჩვენს კავშირს კარგი დამოკიდებულება აქვს უპარტიო ახალგაზრდობასთან, ისინი ხშირად გვესწრებიან კრებებზე და ჩვენთან ერთად იღებენ მონაწილეობას ყოველგვარი საჭირ-ბოროტო საკითხების გარჩევაში.

ორ-თვეში ერთხელ იმართება სათემო კონფერენციები, სადაც ისმება სერიოზული საკითხები. ჩვენი ლოზუნგი „ძირს ლოთობა" „ძირს თამბაქოს მოწევა 80% მიღწეულია. არის დაარსებული კომ-კავშირის და უპარტიო ახალგაზრდების გაერთიანებული ახკორთა წრე, რომლის დახმარებით გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „ჩვენი მიზანი" (სოფ. კინჩხაში). ჩვენსა და კომპარტიის შორის კარგი დამოკიდებულებაა, არის გამოყოფილი კომ-პარტიის წევრი, რომელიც ხშირად ესწრება ჩვენს კრებებს.

მიუხედავათ ამისა, უჯრედების მუშაობას თან ახლავს მტკივნეული მხარეები: უჯრედებში პოლიტმეცადინეობა მოისუსტებს, ზოგან კი წარსულ სეზონში სრულიადაც არ ჩატარებულა, რაც ხელს უშლის აქტივის მომზადებას. არ არის ჩამოყალიბებული პროპკოლექტივი რაც აუცილებელია ჩვენს მუშაობაში. ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულები გულგრილად ექცევიან

მარტო კინჩხის უჯრედის წევრებმა 15 ამხანაგმა კოლექტიურად გამოიწერეს 5 ცალი გაზეთი. ეს წვეთია ზღვაში .

თემკომმა მორიგ საკითხად უნდა დასვას გაზეთის გავრცელების საქმე.

ამასთან ერთად კომ-კავშირში პარტიული რგოლი მოისუსტებს. ამ დარგშიაც საჭიროა მუშაობის გაღრმავება პარტიული რგოლის გაზრდა.

აი, დაახლოებით ის მიღწევები და ის ამოცანები. რომლებიც დგას ჩვენი თემკომის დღის წესრიგში.

ქარიშვილი.

სომხეთი

ნიაღვარი

ერევანი, 29 ივლისი. 27 ივლისს საღამოთი სარდარაბადის რაიონში ნიაღვარმა გაანადგურა ბაღები, ნათესები და ბოსტნები.

ნიაღვარმა სადგ. სარდარაბადთან მოსილა რკინისგზის ლიანდაგი ნახევარ ვერსის მანძილზე, რის გამოც მატარებლების მიმოსვლა თბილისსა და ერევანს შორის გუშინდელი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო. ზარალს ირკვევენ.

ფილოქსერა

ერევანი, 29 ივლისი. აგრონომიულმა გამოკვლევამ პირველად გამოარკვია, რომ ბარანინის რაიონში ნაწილობრივად არსებობდა ფილოქსერა უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში. ამჟამად ფილოქსერამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ამ რაიონის ყველა ვენახები საბოლოოდ დაღუპულად ითვლება

ტყავეულის ტრესტი

ერევანი, 29 ივლისი. ივნისის განმავლობაში სომხეთის ტყავეულის ტრესტმა გაასაღა 79.764 მან. ტყავი. ტყავეულის ტრესტის ქარხანაში მუშაობდა 93 მუშა.

დისპანსერი

ერევანი, 28 ივლისი. საძირკველი ჩაუყარეს ახალი დისპანსერის შენობას, რომელიც ჯანსახკომის ხარჯზე შენდება ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

რაკოშის გასამართლების წინააღმდეგ

ფოთი, 29 ივლისი. რეიდასის კომიტეტმა ჩაატარა საპროტესტო მიტინგები რაკოშის გასამართლების წინააღმდეგ. მიტინგებზე ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლუციები, რაკოშის და სხვა უნგრელ ამხანაგების განთავისუფლების მოთხოვნით.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 29 ივლისი. ჩამოვიდნენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემები „ილიჩი“ და „ნოვოროსისკი“, რომლებმაც თან ჩამოიტანეს 5 რონოდა ჩაი შუა აზიისთვის და 7 რონოდა თეთრი ფქვილი და 8 რონოდა ფხვნილი შაქარი—ამიერ-კავკასიის საჭიროებისთვის. ნოვოროსისკში წავიდა გემი „პეტრე სტაროსტინი“, რომელმაც ცემენტის ქარხნის საჭიროებისთვის წაიღო 515,795 კილოგრამი ტყიბულის ქვა-ნახშირი.

მდ. რიონის ნაპირების გამაგრება

ფოთი, 29 ივლისი. დაწყებულია მუშაობა მდ. რიონის ნაპირების გასამაგრებლად ნავთსადგურის მხრიდან. ამ სამუშაოსთვის ბათუმიდან ჩამოტანილ იქნა 21,3 კუბ. საჟ. მთის ქვა.

მეფუტკრეობა

ოზურგეთი, 29 ივლისი. მიმდინარე წელს მეფუტკრეობა გურიაში წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 25-30%-ით. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გლეხებს ქვედა საფეხურის საკრედიტო კოოპერატივებიდან შეღავათიან პირობებში მიეცათ მეფუტკრეობისათვის საჭირო ხელსაწყოები და კერძოთ „დადანის“ სისტემის სკები. თაფლის ამოღება მოსალოდნელია წელს საშუალო.

ჩაის აკრეფა

ოზურგეთი, 29 ივლისი. გურიის ჩაის რაიონებში გლეხები შეუდგნენ ჩაის ფოთლის მესამე მოკრეფას. ჩაის მოსავალი კარგია. მოკრეფილი ჩაი გადაეცემა ჩაის ფაბრიკას ფოთლების მანქანებით დასამუშავებლად, რაც პროდუქციის ხარისხს 50%-ით აუმჯობესებს.

მინერალურ წყლების გამოკვლევა

ახალ-ქალაქი. 29 ივლისი. მაზრის შემსწავლელი საზოგადოება აწარმოებს მინერალურ წყლების გამოკვლევას. ჯერჯერობით შერჩეულია 6 ნიმუში, რომელიც ანალიზისთვის გაიგზავნა. განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლებით ხერთვისის რაიონი. მცხოვრებნი ძველთაგანვე სარგებლობენ ამ წყლებით კანის და კუჭის სხვადასხვა ავადმყოფობის დროს.

კარხაზის საბაჟო

ახალ-ქალაქი, 29 ივლისი. დაწყებულია მუშაობა კარხაზის საბაჟოს შენობის ასაგებთ. მუშაობას აწარმოებს ახალ-ქალაქის კომუნალური განყოფილება.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალ-ქალაქი, 29 ივლისი. 15 ივლისისთვის მაზრაში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოვიდა 91,795 მან. 77 კ.

აჭარისტანი

„გემი მაზუთი“

ბათუმი, 29 ივლისი. 12 ივლისს ცეცხლით დაზიანებული გემი „მაზუთის“, ადგილობრივი საშუალებით, იმდენათ შეკეთებულ იქნა, რომ შეუძლია რეისი მოახდინოს სტამბულში, სადაც კაპიტალური შეკეთება მოხდება. „მაზუთი“ მიდის ნავთით და ბენზინით დატვირთული, 600 ტონის რაოდენობით.

სასკოლო შენობების შესაკეთებლად

ბათუმი, 29 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ მაზრებში სკოლების შესაკეთებლად დამატებით გაიღო 10.000 მანეთი. შეკეთება დამთავრდება 10 აგვისტოს.

ბათუმის ნავთსადგურში

ბათუმი, 29 ივლისი. 27 ივლისს ბათუმის ნავთსადგურში მოვიდნენ უცხოეთის გემები: იტალიის გემი—„რაპპალო“, ნორვეგიის გემი—„ნინა“, იტალიის—„ლუიზინი“, ყველანი ნავთის პროდუქტების წასაღებად: 28 ივლისს მოვიდა ინგლისის ჩასასხმელი გემი—„ზინეუდი“, რომელიც მზათ არის წასასვლელად: იტალიის გემი—„ჯიოვე“, 3,500 ტონნა ნავთით დატვირთული, რომელიც იტალიის ნავთსადგურში ვადო-ლიგურეში უნდა მივიდეს და გემი—„ოსპრაიზენი“. ნოვოროსისკში მიმავალი.

საბინაო კოოპერაციის ფონდში

ბათუმი, 29 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ქალაქის ალმასკომს, 1 ოქტომბრიდან სავაჭრო-სამრეწველო შენობების საიჯარო ქირიდან აწარმოოს 50 პროცენტიანი გადარიცხვა, საბინაო კოოპერაციის ფონდისათვის.

ახალი სარძეო ამხანაგობა

ბათუმი, 29 ივლისი. სახალხო კომისართა სისის და მორისის თემებში გაიხსნა ორი ახალი სარძეო კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც 400-ზე მეტ საგლეხო მეურნეობებს აერთიანებს. ამხანაგობებმა ხელშეკრულებები დასდვეს ბათუმის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომ მათ თავისი პროდუქცია მიაწოდონ.

წერილები

ამხ. გეშკე კოჯორში

23 ივლისს, კოჯორში საცდელ-საჩვენებელ სკოლა-საკრებულოს ეწვია ძვირფასი უცხოელი სტუმარი ამხ. გეშკე. პირველად ამხ. გეშკემ დაათვალიერა მე-2 ჯგუფი, სადაც მეცადინეობას ესწრებოდნენ აგრეთვე მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების წარმომადგენლები. აქ მან დაწვრილებით გამოიკითხა თუ რა სისტემით და მეთოდით სწარმოებს მეცადინეობა ამ სკოლაში. ყველა კითხვებზე ამომწურავ პასუხს აძლევდა სკოლა-საკრებულოს გამგე.

შემდეგ სტუმარმა დაათვალიერა მოწაფეების როგორც ქალების, ისე ვაჟების საერთო საცხოვრებელი და აქაური იშვიათი სისუფთავით და წესრიგით სტუმარი მეტად კმაყოფილი დარჩა. სკოლის გამგე გზა და გზა უხსნიდა, თუ როგორ არის მთელი მოწაფეობა დაყოფილი წრეებად და ჯგუფებად, როგორ არის მოწყობილი მოწაფეთა ორგანიზაცია, პიონერ - კოლექტივის მუშაობა და სხვა.

შემდეგ ორკესტრის ქვეშ ფიზკულტურის წრემ შეასრულა რამოდენიმე ლამაზი ნომერი, გაიმართა ცეკვა-თამაში და სხვა. ბოლოს ამხ. გეშკემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, სადაც აღნიშნა: „მე დიდი კმაყოფილი ვარ თქვენი სკოლის დათვალიერებით. სასწავლებელს ეტყობა ნამდვილი საქმიანობა და პედაგოგიური მუშაობის ახალ საფუძველზე დაყენება. ჩვენთან, გერმანიაში, ჯერ კიდევ გამეფებულია მუშაობის ძველი სისტემა და მეთოდი და იმ ერთსულოვნებას, რომელსაც მე აქ ვამჩნევ მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის, გერმანიის სკოლებში იშვიათად შეხვდებით. პირიქით, ახალგაზრდა სპარტაკელები გაფიცვებსაც კი აწყობენ იმ სულის შემხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის სკოლებში არის გამეფებული.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა შრომის სკოლა შესძლებს საზოგადოებისათვის აქტიურ წევრის და მუშათა კლასის იდეებისათვის მებრძოლი ადამიანის მომზადებას. ბოლოს გეშკემ უსურვა სკოლა - საკრებულოს კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობა და იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელიც წინ ელობება მუშაობას.“ დასასრულ ერთმა მოწაფეთაგანმა სტუმარს სახსოვრად გადასცა ადგილობრივი ციხე ქოროღლის სურათი. (საკუთარი ხელით დახატული).

გეშკემ მადლობა უძღვნა ხელმძღვანელებს. ბოლოს აღტაცებულმა ბავშვებმა „ვაშას“ ძახილით გააცილეს ძვირფასი სტუმარი.

ქ. წალენჯიხელი.

„შრომის“ „მშრომელებში“

წალენჯიხა, (ზუგ. მაზრა)

ჩვენში არსებობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „შრომა“. ვერ ვიტყვით იმას, რომ ამხანაგობის სხვადასხვა შემადგენლობის გამგეობები არ შრომობდნენ, მაგრამ ვინც შრომობდა, ყველა თავისი ჯიბისათვის. შედეგად ამას ბოროტმოქმედების ხუთი საგულისხმო შემთხვევა მოჰყვა.

უკანასკნელად, როცა საქმეს საშველი არაფერი დაადგა, მაზრა ჩაერია ამხანაგობა „შრომის“ „შრომა“-ში და შეეცადა ახალი გამგეობა ყოფილიყო არჩეული, რაც შეიძლება კეთილსინდისიერ და საქმის მცოდნე პირებისგან. ასედაც მოხდა. მაგრამ რაი მერე? სჯობდა ისევ ძველი დარჩენილიყო.

ახალმა „კეთილსინდისიერმა“ გამგეობამ „კეთილსინდისიერად“ დაუწყო წველა წალენჯიხის თემის ფულს. ამხანაგობა იძენდა გლეხებისგან პარკს, გამგეობის წევრი—თედორე ფიფია ამ ოპერაციის ნაღდებს ჯიბისაკენ ისტუმრებდა. ხან ყალბ ქვითარით გამოიწერდა ფულს, ხან გადაკეთებულით და ხან კიდევ სხვა ჯამბაზობით. მაგრამ არ შეერგო შეურგებელი. დღეს თედორე ფიფია სააგარაკოთაო გაგზავნილი ზუგდიდის რკინის მოაჯირიან შენობაში.

არც ამხანაგობის ნოქარმა ბელქანიამ დაუგდო ტოლი გამგეობის წევრ ფიფიას. მანაც მოხდენილად გაჰკრა კბილი ამხანაგობის სალაროს და 1800 მანეთს უგზო-უკვლოდ დააყვინთვია. თუმცა რატომ უგზო-უკვლოდ? თვითონ ბელქანიამ კარგად იცის ამ თანხის გზაც და კვალიც. დღეს ბელქანიაც ფიფიასთან ერთად ისვენებს გამასწორებელ სახლში.

გამგეობის თავმჯდომარე კირტავამ გაფლანგვის თავისებური, მაგრამ არც ისე ახალი წესი შემოიღო. ის სამი თვით წინდაწინ ღებულობდა ჯამაგირს. როცა ის დაუთალავ „შრომისთვის“ მოხსნეს „შრომიდან“, გამგეობაზე მას ვალათ დარჩა სწორეთ სამი თვის ჯამაგირი. კიდევ კარგი, რომ მხოლოდ სამი თვის, კირტავას ხომ უფრო მეტის გამოწერაც შეეძლო.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი სხვა რამეების ჩამოთვლა „შრომის“ გამგეობის წევრთა „შრომის“ შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით აქ ვუსვამთ წერტილს: ამ მოკლე მოთხრობიდან შესაფერის დასკვნებს გამოიყვანს ალბათ წალენჯიხის მოწინავე გლეხობა და ინტელიგენცია.

მცოდნე.

წერილებიდან

საჯავახო, (გურია)

— გლეხები მადლიერია. ადგლობრივმა „ეპო“ წელს დაარიგა 1.700 კოლ. აბრეშუმის თესლი. მიიღო და შეისყიდა გლეხებისაგან 2.700 ფუთი ნედლი პარკი, გლეხები დიდი კმაყოფილი იყვნენ პარკის ფასით და ნაღდი ანგარიშის გასწორებით. აბრეშუმის პარკის ფულით ისინი სიამოვნებით ეწერებოდნენ კოოპერატივის წევრათ. „ეპო“ ერთ კვირაში მიიღებს საკმაო რაოდენობის ფართალს, რომელსაც მიყიდის განსაკუთრებით თავის წევრთ.

სამსონ კიკაჩეიშვილი.

კოხნარი (გურია)

საქონელს ზედმეტი ხარჯი აწვება. ჩვენს თემში არის კოოპერატივის განყოფილება. ამ განყოფილებას საქონელი მოსდის საჭამიისერიდან. ხდება ასე, რომ საქონელს ჯერ გაატარებენ კოხნარში, იტანენ საჭამიისერზე, ხოლო შემდეგ აბრუნებენ ბურნათში და კოხნარის განყოფილებებში. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ხარჯების შემცირებისათვის ამ კოოპერატივისათვის საქონლი გზაშივე დატოვება.

„ოჩე“.

აბასთუმანი. (ზუგდ. მაზრა)

უნდა დარჩეს. ადგილობრივ გავრცელდა ხმა, თითქოს განზრახული იყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გაუქმება ჩვენს სოფელში. გლეხობა ძლიერ უკმაყოფილოა ამ გარემოებით და სთხოვს სათანადო ორგანოებს, თუ მართლა არის ასეთი განზრახვა ის არ იქნეს მოყვანილი სისრულეში და აბასთუმანში დარჩეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

გლეხი გაცქერილი.

ცაიში. (ზუგ. მაზ.)

გოგირდის აბანო მოუვლელია. მას უამრავი ხალხი აწყდება, მაგრამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. კერძო მოიჯარადრეები ნაკლებად ზრუნავენ აბანოს კეთილმოწყობაზე. წყლის ამოსაქაჩავი რამდენი ხანია დაზიანდა და მის მაგივრად ჭიდან წყალი ვედრებით, ამოაქვთ. ეზო გაბინძურებულია, სისუფთავეზე არავინ ზრუნავს.

თაში—ვერგ.

ს. ასკანა (გურია)

შეფო, დაგვეხმარე. წელს თემის ცენტრალურ გზას საფუძვლიან რემონტს უშვრებით ასე, რომ ორ-სამ თვეში ყველად საეტლე გზა უნდა დაგვირჩეს. ხალხი დიდი სიხარულით მუშაობს. ბავში, ქალი და კაცი. ყველა დაუზარლად გამოდის სამუშაოთ. გზის სიგანე 4 საჟენია. ასეთ დიდ საქმეზე გვჭირდება ჩვენი თემის დახმარება. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შეფი კვლაინდებურათ გაგვიწევს დახმარებას.

სანდრო.

წესი (რაჭა)

ხალხის ქონება ფუჭდება. თემალმასკომის გვერდზე აწყვია ს. რიცეულის ჰიდროელსადგურისათვის მოტანილი დინამო-მანქანა და ტურბინები. ბინა, სადაც ალმასკომია მოთავსებული კერძო პირს ეკუთვნის. სახლი სრულიად მოუვლელია და ელსადგურის ძვირფას მასალას ყოველ ავდრის დღეს აწვიმს. დროა ამ დაუდევრობას ბოლო მოეღოს, თორემ მანქანის აღნიშნული ნაწილები სრულიად გაუვარგისდება.

პეტელ.

მუშათა ცხოვრება

ყველა კომისიები ენერგიულად მუშაობენ

ტყავტრესტის ქარხკომში ამ სამი თვის განმავლობაში სადელეგატო კრება მოწვეულ იქნა სამჯერ. კრებამ დაამტკიცა პროფკავშირის წევრებად 14 მუშ. დელეგატებს ქარხკომის სხდომაზე გაუკეთებიათ მოხსენებები ახალი კოლ-ხელშეკრულების და საწევრო ანარიცხის აკრების შესახებ.

დელეგატებს მოუწვევიათ ქარხნის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება იმ მიზნით, რომ მუშები გაეცნობოდნენ დამხმარე სალაროს მუშაობას და იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტმუშაობას, ჟურნალ-გაზეთების გამოწერას და მუშკორებში წევრებად ჩაწერას.

ქარხკომის ამ სამი თვის განმავლობაში სხდომა იყო 9 ჯერ სადაც არჩეული იქნა დელეგატები და განაწილდნენ ყველა ცეხებში.

დელეგატებს ჩაუტარებიათ მუშებში კამპანიები პროფმუშაობის, ავიაქიმის და „მოპრის“ საზოგადოებისა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გადაუდვიათ ერთი დღიური ხელფასი ინგლისის გაფიცულ მუშების და სამეფო საზოგადოების სასარგებლოდ.

საწარმოო კომისიის სხდომა იყო 6 ჯერ, სადაც გაირჩა 29 საკითხი—ნაჭრობით მუშაობის, ხრომის დასამზადებელ მანქანის შეკეთების, მუხის რკას სახარშავ განყოფილების „პადოშის“ და სველ ტყავების განყოფილების მოწესრიგების შესახებ.

ყოველივე ის საკითხები, რომელიც ამძლებს წამოიჭრა, საწარმოო კომისიამ უკვე გაატარა ცხოვრებაში. კომისიების ენერგიული მუშაობით საგრძნობლად გაუმჯობესებულა პროდუქცია. დიდი ზომები აქვს მიღებული საწარმოო კომისიას ნედლი მასალისთვის ფრთხილად მოპყრობისათვის, რათა მასალების დახარჯვის დროს დაცული იქნეს ეკონომია.

კომისია დიდ თვალყურს ადევნებს ცეხებში მუშაობას, რათა ამაღლდეს წარმოება და [illegible] ალაგი არ იქნეს.

ქარხანაში ყველა კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებელია, რისთვისაც მუშები დიდ მადლობას უცხადებენ მათ.

მუშა ვარდენ.

შემფასებელი კომისიების მუშაობა

მალე 5 თვე სრულდება მას შემდეგ რაც ა.-კ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოებში შემფასებელი კომისიები მუშაობენ. კომისიების შექმნა გამოიწვია მეტის-მეტი უთანასწორო ფასებმა სახელო საქმეებზე და მისი შეფარდებამ კოლექტიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ გადამუშავების ნორმებთან.

ცენტრალური კომისია შესდგება 5 კაცისაგან, სადაც 2 კაცი შედის მუშების მხრით საგზაო კომიტეტის რწმუნებით და აგრეთვე შექმნილია სამქროებში, ქვეკომისიები, თითოში 4 კაცის შემადგენლობით, 2 მუშის და 2 ადგილკომისაგან. პრაქტიკული გადაფასება ადგილობრივ ევალება ქვეკომისიებს, მათ კი ცენტრალური კომისია უწევს საერთო ხელმძღვანელობას.

საბოლოოდ შეთანხმებული ფასები გადადის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში დასამტკიცებლად.

კომისიების მუშაობას ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ. უბრალო ცნობებს, რომ თხოულობ ძლივს მიიღებ და ხშირად იმასაც არა სწორად, აგრეთვე სამქროების უფროსები არ არიან განთავისუფლებულნი სამქროების პასუხისმგებლობისაგან და შეფასებებზე მუშაობა მათთვის ქვეკომისიებში წარმოადგენს დამატებით სამუშაოს, რაც არანორმალურია და ამის გამო მუშაობა ხანგრძლივდება. რაზედაც ცენტრალური კომისიამ თავის დროზე მიაქცია ადგილკომის და მთავარ სახელოსნოს უფროსის ყურადღება.

ამ ხნის განმავლობაში დიდი დრო მოუნდა შეფასებისათვის აუცილებელი ცნობების და მასალების მოგროვებას და იმიტო არის, შედეგში დაიჩქარებს კომისიები მუშაობას.

ჯერ-ჯერობით საბოლოოდ 7 გუნდის საქმეები გადაფასებულია 6 ამწყობთა სამქროში და სასაქრავო სამქროში. აღნიშნული გუნდები კმაყოფილი არიან კომისიების მუშაობით. ამჟამად მუშაობა სწარმოებს შედი მუშების ნარდ სამუშაოზე გადასაყვანად. უნდა აღინიშნოს, რომ შავე მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ამის გამო და ფიქ., რომ მოხდება რეალური ხელფასის დაკლება, რასაც ყურადღება მიაქცია როგორც ადგილკომმა, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებმა.

შემფასებელ კომისიებმა ეს უნდა მიიღონ მხედველობაში და ისე მიუდგნენ ამ საკითხს, რომ არ მოხდეს რეალური ხელფასის დაკლება სანარდო მუშაობაზე გადაყვანის დროს ცენტრალური კომისიების მუშათა ფრაქციები ხშირად აკეთებენ მოხსენებებს როგორც ადგილკომში, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებში, მაგრამ საერთო და სადელეგატო კრებებზე ჯერ არ გაუკეთებიათ მოხსენება, რაც აუცილებელია და იმედია ახლო მომავალში ადგილკომი მოიწვევს ან საერთო, ან სადელეგატო კრებას, სადაც კომისიების მუშაობის შესახებ იქნება გაკეთებული მოხსენება.

მუშა ა—ძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დაუკეტეთ ასეთი სავაჭრო.** ქუთაისში ქალაქის საავადმყოფოს მახლობლად ავარაკმა გახსნეს ღვინით სავაჭრო დუქანი. ამ დუქანში არის ყოველღამე არღნების ჭრიალი, რევოლვერების სროლა, ქალებში დროს ტარება და მრავალი უწესრიგობა; ლანძღვა-გინება და სხ. და საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფებს ვერ მოუსვენიათ მათი უწესრიგობის გამო. მიიღეთ ზომები.

ბიუსტი.

— **წესრიგის დამცველი ასეთი უნდა.** ზოგი წესრიგის დასაცავად მოწოდებული პირი თვითონვე არღვევს წესრიგს. ეს კი, რა თქმა უნდა, დასაშვები არ არის. მაგალითად ა.-კ. რკ. გზ. დაცვის 1-ლ რაზმში მომუშავე მოქ. ვალიკო გეგუჩაძე სამტრედიის ბაქანზე უდიერად ეპყრობა მოქალაქეებს, ბევრჯელ ღვინით გალეშილი დაიარება და მოქალაქე მუშტი-კრივით უმასპინძლდება. წესრიგის დამცველს ეს არ შეჰფერის. ამასაც ასწავლეთ ჭკუა.

ი. გლეხი.

— **რატომ არ გვაქცევენ ყურადღებას?** პლეხანოვის პროს. № 5 სახლში ალმასკომის მიერ ჩასახლებულ იქნენ მუშა-მოსამსახურეები. სახლის ღერეფანში მოთავსებულია ლოტო. აქ მოთამაშე ხალხი ღამის ორ საათამდის მოსვენებას არ აძლევს დაღლილ მუშა-მოსამსახურეებს აურ-ზაურის გამო. ვინაიდან ლოტოს მოთამაშეებს ეზოც დაიკავეს, მდგმურებს საშუალება ისპობათ აგრეთვე ეზოთი სარგებლობისა, მით უმეტეს ბავშებს პატრონებს აქ სახლში არსებობს საბინაო ამხანაგობა. მის შეუმდგომლობამ ალმასკომი ყურადღებას არ აქცევს. რაშია საქმე?

შ. ტაბიძე.

— **თორნის მექანიზაცია.** ა.-წ. 25 მაისს მოხდა ცდა ა. კლდიაშვილის ახლად გამოგონებულ თორნის პურის ამოსაკრავ მანქანის. მანქანის მნახველები აღფრთოვანებში მოვიდნენ, ვინაიდან ახალი საშუალებით მუშას შეუძლია ფეხზე დგომით ყველგან გააკრას ცომი და თორნეში აღარ ჩავიდეს. ცდა მოხდა კერძო ქურაზე მეფურნეების ერთ-ერთ პურის საცხობ თორნეში. დაესწრნენ როგორც სპეცები,—მუშკოპის წარმომადგენლები, აგრეთვე მეორე რაიონის ინსპექცია, ინჟ. კანდელაკის ხელმძღვანელობით, რომელთაც დაადასტურეს მანქანის დადებითი შედეგები. ახალი მანქანით პური ცხვება უფრო კარგათ და ამასთანავე ლამაზი ფორმით. ა. კლდიაშვილის გამოგონება უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად თანამედროვე გამოგონებებში.

მუშკორი ა. ბობოთური.

— **მფლანგველთა „თავშესაფარი“.** ბაღი „არტი“ მრავალ ხალხს იზიდავს. დღის 12 საათიდან განუსაზღვრელ დრომდე თამაშობენ „კაზინოს“, ლოტოს და სხ. სადაც აგებენ მრავალ ფულებს. ეს [illegible] ხალხი ითრევს ბევრ ახალგაზრდებს და მუშებს, რომელთაც შემდეგ თავებიდან აწყვეტინებენ. ეს ბაღი მფლანგველების თავშესაფრად გადაიქცევა. ჩვენ გვინდა ასეთი „თავშესაფრის“ მოსპობა და მათ ნაცვლად ნამდვილი მუშათა დასასვენებელი ადგილი ვიქონიოთ. ეს უფრო აჯობებს.

მუშკორი რადიუმი.

— **ამ ქუჩამ რაღა დააშავა?** ალმშენებლობითმა მუშაობამ გაალამაზა ლენინის უბანი, რაც ქალაქის ალმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილების ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს. მაგრამ რა დააშავა ბასეინის ქუჩამ, რომელიც ნახევრად შეკეთდა და მეორე ნახევრის შესაკეთებელი მასალა-კი გადატანილ იქნა სხვა ქუჩების შესაკეთებლად? აქ გავლა წვიმების დროს შეუძლებელია ტალახის გამო. შეაკეთეთ როგორმე ეს ქუჩაც.

ვახტანგ ფან—აია.

— **მოგვაშორეთ სპეკულიანტი.** სად. ლიბანში მეფურნე მუშებზე პურს 10 კაპ. ჰყიდის, ადმინისტრაციაზე კი 9 კაპ. რაშია საქმე? სათანადო ორგანოების ვალია მიაქციოს დროზე ყურადღება და ალაგმოს ასეთი საქციელისთვის სპეკულიანტი მეფურნე.

ხურჯინი.

— **კულტ. არ მუშაობს (ს. ლიბანი).** მიუხედავად იმისა, რომ, კულტმუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად ამ დარგში ჩვენ მიერ გამოყოფილი ამხანაგები იმედებს ვერ ამართლებენ. ავიღოთ მაგალითისათვის სად. ლიბანის სამშენებლო სანატორიის კულტკომისია, რომელიც ორი თვეა, რაც გამოყოფილია და არავითარ მუშაობას კი არ აწარმოებს. რას იტყვის ბორჯომის საალმშენებლო კავშირი?

მუშკორი იგივე.

მუშათა ქრონიკა

საფეიქრო საქსოვ ქარხანაში

— **ხელფასის დაგვიანება.** საფეიქრო საქსოვ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ხელფასს სისტემატიურად თავის დროზე ვერ ღებულობენ.

— **სპეციალური ბინა.** საფეიქრო საქსოვი ქარხნის ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას, ქარხკომის და კულტ-კომისიისთვის დაუთმოს სპეციალური ბინა.

— **ჩაის ასადუღებელი კუბი.** საფეიქრო საქსოვ ქარხნის ქარხკომმა დაადგინა მუშებისთვის მოეწყოს ქარხანაში ჩაის ასადუღებელი კუბი. ასეთი უკვე მოწყობილია.

— **ჯამაგირების დარიგების დროს** საქსოვი ქარხნის ბუხგალტერი მუშა-მოსამსახურეთ არ უცვლის საინგარიშო წიგნაკებს სწორად, რაც დაუშვებელია. ქარხკომი ამის წინააღმდეგ მიიღო ზომები.

— **სპეც-ტანისამოსს არ ურიგებენ მუშებს.** ამავე ქარხნის შემფ.-საკონფ. კომისიამ აირჩია კომისია, რომელიც მოელაპარაკება ადმინისტრაციას სპეც-ტანსაცმლების შესახებ.

— **კოლ. ხელშეკრულება ირღვევა.** საფეიქრო საქსოვი ქარხნის ადმინისტრაცია ხშირად ღებულობს არა კავშირის წევრებს, ამისთვის შემფ. საკონფლიქ. კომისიამ ეს საკითხი გადასცა შრომის ინსპექტორს.

— **გულგრილობის წინააღმდეგ.** იმავე საწარმოო თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები სამსახურისადმი გულგრილობისათვის,როგორიც არის სამსახურში თავის დროზე გამოუცხადებლობა, დაგვიანება და სხვა.

— **მოხსენება სად. გორში.** თბილისის რკინისგზის საუბნო კავშირმა საჭიროდ სცნო, რათა სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბნის უფროსმა მოხსენება გააკეთოს ლიანდაგის მდგომარეობაზე სად. გორში.

— **ბაქანის შეკეთება.** თბილისის რკინისგზის უბნის კავშირმა საჭიროდ მიიჩნია სადგურ გორის ბაქანის შეკეთება.

— **საწარმოო თათბირი.** ამ ახლო ხანში სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომი მოიწვევს საწარმოო თათბირს.

— **საერთო კრებაზე.** სადგურ თბილისი მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმმა დაადგინა, ვინაიდან ჩვენი დარგის მუშა-მოსამსახურეთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს გათვალისწინებული თუ რას ხმარდება 2 პროც. ანარიცხი, ამიტომ ეს საკითხი დაისვას საერთო კრებაზე და იქ გაშუქდეს სათანადოდ.

— **ექსკურსიის მოწყობა.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმმა საჭიროდ აღიარა მოეწყოს მუშათა ექსკურსია სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილების დასათვალიერებლად.

— **კითხვა-პასუხის საღამოები.** სადგურ თბილისის მოძრ. დარგის ადგილკომის პლენუმმა საჭიროდ სცნო კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა.

ამხ. ს. ორჯონიკიძე ზაჰესში

გუშინ, საღამოს 9 საათზე, ამხ. სერგო ორჯონიკიძემ კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის ბაქოელ დელეგაციასთან და ამხ. მ. კახიანთან, ივანოვ-კავკასკისთან, ინჟ. ბ. ქიქინაძესთან და სხვ. ამხანაგებთან ერთად ინახულა მიმდინარე სამუშაოები ზაჰესში.

ამხანაგებმა დაათვალიერეს ტურბინის შენობა, სადაც დადგმულია ოთხი ტურბინა, რომელთაგან ერთი უკვე დათავებულია. შემდეგ აუზი, რომელიც თითქმის მზადაა. გარდა ამისა ლენინის ძეგლის ადგილი, სადაც მუშაობა უკვე დაწყებულია და საკმაოთ წინ წაწეული და სხვა.

ინჟ. ბ. ქიქინაძე იძლეოდა ამ გრანდიოზული მუშაობის ახსნა-განმარტებას.

ამხანაგებმა დაჰყვეს ზაჰესში თითქმის ორი საათი და სამუშაოების მიმდინარეობით დიდათ კმაყოფილნი დაბრუნდნენ საღამოს თერთმეტ საათზე თბილისში.

მზადება ფასების დაკლებისათვის

კოოპერაცია და ფასების დაკლება

როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლება ცეკავშირში

(საუბარი ცეკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგესთან—ამხ. ზ. ჩხეიძესთან)

კოოპერატიული ხაზით ფასების დაკლების შესახებ ცეკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. ზ. ჩხეიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივის განსახორციელებლად, საცალო ფასების დაკლების მიზნით საქართველოს ცეკავშირის გამგეობამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს ღონისძიებებს ხსენებული დირექტივის გასატარებლად კოოპერატიული ხაზით.

კომისიამ კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაუგზავნა ინსტრუქციები საქონლის გადაფასების კალკულაციის გადასინჯვის შესახებ.

ამ ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება დაევალა ცეკავშირის ინსტრუქტორებს. შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივით, საცალო ფასები უნდა შემცირდეს: ფართალზე, ტყავეულობაზე, და რკინეულობაზე. ცეკავშირმა კი გადასწყვიტა ფასების შემცირება მოახდინოს სხვა საქონელზეც.

უმთავრესი გზა, რომლითაც ხდება საცალო ფასების შემცირება—ეს არის ზედნადებ ხარჯების შეკვეცა. ამ მიმართულებით ცეკავშირი ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს.

თუ წინად ქვედა საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები პირადად მიდიოდნენ თბილისში საქონლის შესაძენად, ამჟამად მათთან იდება ხელშეკრულება, რომლითაც ისინი აწარმოებენ საქონლის წერილობით დაკვეთას. ამ ზომის წყალობით საგრძნობლად შემცირებულია მივლინების და სხვა არა საწარმოო ხარჯები.

გარდა ამისა კოოპერატივები, რომლებიც ცეკავშირის საშუალებით იძენენ საქონელს, თავისუფლდებიან საპროცენტიან სათავადრო გადასახადისაგან, რაიც ხელს უწყობს საქონლის გაიაფებას.

საორგანიზაციო ხარჯები მიმდინარე წლის განმავლობაში 1-ლ ივლისისათვის ნაცვლად 12—14 პროცენტისა შემცირებულია 7½ პროცენტამდე.

მიღებულია ზომები საქონლის ბრუნვის დასაჩქარებლად. რასაკვირველია, ბრუნვის დაჩქარება ამცირებს ზედნადებ ხარჯებს. ამრიგად საწყობ გარეშე ოპერაციები აყვანილია მთელი ბრუნვის 85 პროცენტამდე.

გარდა ამისა კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალათ მტკიცედ დაიცვან შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა წყალობით ზედნადები ხარჯები საგრძნობლად მცირდება და შეიქმნა შესაფერი პირობები საცალო ფასების დაკლებისათვის.

ამ მიმართულებით ცეკავშირის კომისიამ უკვე მოახდინა საწყობებში დიდძალი საქონლის ფასების გადასინჯვა.

შემცირებულ იქნა ფასები შაქარზე. ცეკავშირი შაქარს ყიდის შაქრის ტრესტის ფასებში და უფრო ხელსაყრელ პირობებში.

ფართალზე ფასების დაკლება საერთო დირექტივების მიხედვით განზრახულია დაახლოვებით 4—5 პროცენტით, რაიც დაკრის წესით ამ მოკლე ხანში იქნება გატარებული.

ამრიგად ცეკავშირი ახლო მომავალში სავსებით გაატარებს ცხოვრებაში საცალო ფასების დაკლებას.

მეცხვარეობა

ცხვრები საზაფხულო საძოვრებზე

ჩვენი ცხვრები ოსმალეთის ტერიტორიაზე, სომხეთში და თუშეთის მთაზე,—ოსმალეთში საძოვრები მეტად ხელსაყრელ პირობებში დაგვითმეს. თუშეთის მთაზე ბანდიტიზმი აღმოფხვრილია.

ამ დღეებში ოსმალეთიდან დაბრუნდა მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბოლაშვილი, რომელმაც ჩვენ თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, წელს ჩვენმა მეცხვარეებმა ოსმალეთის საძოვრებზე გარეკეს 150 ათასი სული ცხვარი. ოსმალეთში მიჩენილი აქვთ განსაზღვრული ტერიტორია საძოვრებისა 80.000 დესიატინის რაოდენობით, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ადგილობრივ მცხოვრებლებს, ნაწილი კი სახელმწიფოს ხელშია.

ჩვენი მეცხვარეების მდგომარეობა ოსმალეთში ძალიან კარგია. განწყობილება მათსა და ოსმალეთის შორის მეგობრულია და არავითარ უთანხმოებას არა აქვს ადგილი. ერთი რამ აბრკოლებს იქ ჩვენს მეცხვარეებს—ეს არის ქვა-მარილის უქონლობა. ამ საკითხის და ზოგიერთ სხვა საკითხების მოსაგვარებლად ამხ. გონაშვილი კვლავ მიემგზავრება ოსმალეთში.

თუ რამდენად კარგია მდგომარეობა ჩვენი მეცხვარეებისა ოსმალეთში, ეს მტკიცდება იმ ხელსაყრელ პირობებიდან, რომელშიც მათ ეძლევათ საძოვრები. მაგალითად მთელი სეზონის განმავლობაში კერძო საბალახოების პატრონები მწყემსებს სულ ცხვარზე ახდევინებენ 11—12 კაპეიკს, სახელმწიფო კი—5—6 კაპეიკს.

ჩვენი მეცხვარეების ოსმალეთში გადასვლასთან ერთად იქ მოეწყო საკლავ საქონლის შემსყიდავი პუნქტი. ამ პუნქტის მიერ შესყიდულ საქონელს თბილისში გაასაღებს „მწყემსი“-ს გამსაღებელი პუნქტი. მოკლე ხანში ოსმალეთიდან მოსალოდნელია დიდძალი საკლავი საქონლის ჩამორეკა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ბაზარზე ხორცის შესამჩნევად გაიაფებას.

გარდა ოსმალეთისა, წელს ჩვენი ცხვარი გარეკილ იქნა სომხეთშიაც, მთა ორთულაზე. იქ ამჟამად სძოვს 80 ათასი სული ცხვარი.

ჩვენში საუკეთესო საძოვარ ადგილად ითვლება თუშეთის მთა, მაგრამ მას მწყემსები ყოველთვის გაურბოდნენ, რადგან იქ მათ სისტემატიურად თავს ესხმოდნენ ქისტები და იტაცებდნენ საქონელს.

„მწყემსი“-ს გამგეობის მიერ აძრულ შუამდგომლობის თანახმად, წელს მთაირობამ აქ ჩააყენა მრავალი რაზმი და ამგვარად მწყემსები თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი არიან. წელს იქ მეტი ცხვარია გარეკილი ვიდრე ოდესმე.

ამ მთაზე წელს საიჯარო გადასახადის საკითხი მოგვარდა. თუ იქ წინეთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი მეცხვარეებს იჯარის ახდევინებდა საძოვრებზე დესიატინობრივ, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მეცხვარეებში, ახლა შემოღებულ იქნა იჯარის გადახდევინება ცხვრების რაოდენობის მიხედვით.

ყველა ამ მიღწევებმა წინანდელ საზაფხულო სეზონში საგრძნობლად შეამსუბუქა და გააუმჯობესა ჩვენი მწყემსების მდგომარეობა, რაც ბუნებრივათ ხელს შეუწყობს მეცხვარეობის რაოდენობის მიხედვით.

კრედიტები სოფლის მეურნეობისათვის

ა.-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტით 1925-26 წლისათვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების საჭიროებისათვის უნდა მიეცეს საერთოდ 2.665.000 მან.

ამ თანხებიდან 330.000 მან. გადადებული იყო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციისათვის (სესხის სახით), რომლის განაწილება ვერ მოხერხდა სათანადო სახელმძღვანელო მასალების უქონლობის გამო. ასეთსავე პირობებშია ის 150.000 მ., რომელიც გადადებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოსაყოფად. დანარჩენი 2.185.000 მან. განაწილება ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტით შემდეგნაირად იქნა განაწილებული: ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითად თანხად 874.000 მან., საქართველოსი—393.000 მან. (45 პროც.) აზერბეიჯანის—305.900 მან. (35 პრ.) და სომხეთის—174.800 მან. (20 პროც.) სულ 874.000 მან. ღარიბებს გლეხების მეურნეობის საკრედიტო ფონდში საქართველოს—260.000 მან. (50 პროც.), აზერბეიჯანს—156.000 მან. (30 პროც.) სომხეთს—104.000 მან. (20 პრ.) სულ 520.000 მან.

გადასახლების და დასახლების ფონდში საქართველოს 97.000 მან. (20 პრ.), აზერბეიჯანს—194.000 მან. (40 პროც.) და სომხეთს—194.000 მან. (40 პროც.) სულ 485.000 მან.

სასოფლო მეურნეობის ძირითადი თანხის გასაძლიერებლად საქართველოს 49.500 მან. (45 პროც.) აზერბეიჯანს—39.500 მან. (35 პროც.) და სომხეთს—22.000 მან. სულ 110.000 მან.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებათა პაების შესაძენად — საქართველოს 88.200 მან. (45 პროც.), აზერბეიჯანს 68.600 მან. (35 პროც.) სომხეთს 39.200 მან. (20 პრ.), სულ—196.000 მან.

საქართველოს საგეგმო კომისიამ მისაღებად არ სცნო სას-სამ. ძირითადი ფონდის—110.000 მან. განაწილება, რადგან საქართველოს მეურნეობათა რიცხვი და მათ მიერ დაკავებული სივრცე სჭარბობს ა.-კ. სხვა რესპუბლიკებს. საქართველოს სახალხო მამულების ტრესტი აერთიანებს 25 საბჭოთა მეურნეობას, რომელთა საერთო სივრცე აღემატება 14.000 დესიატინას.

გარდა ამისა ტრესტი აწარმოებს ინტენსიურ ბრძოლას ფილოქსერის წინააღმდეგ, რაც თხოულობს დიდ თანხებს. გარდა ამისა საგეგმო კომისია ფიქრობს, რომ არც გადასახლება-დასახლების ფონდის განაწილებაა სწორი, რადგან საქართველოსათვის ნავარაუდევი 97.000 მან. ნაწილობრივადაც ვერ ამოსწურავს საქართველოს და მის ავტონომიურ რესპუბლიკების მოთხოვნილებას. საქართველოში საახალშენო საქმე უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე აზერბეიჯანში, მიწის სიმცირის (რაჭის მაზრა) გამო.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და საჭიროდ სცნო, რათა საბჭოთა მეურნეობის ძირითადი თანხების გასაძლიერებლად გადმოცემული კრედიტები ნაწილდებოდეს შემდეგი კოეფიციენტით: საქართველოს—65 პროც.; სომხეთს—20 პროც. და აზერბეიჯანს—15 პროც.

ალმშენებლობა

ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. საგეგმო კომისიამ მოიწონა ამიერ-კავკასიაში პირველი საალმშენებლო თათბირის რეზოლუციები.

რესპუბლიკების საგეგმო კომისიებს წინადადება ეძლევათ იხელმძღვანელონ თათბირის რეზოლუციებით მშენებლობის დაგეგმვის შესახებ.

მშენებლობისათვის თანხების გაღების შესახებ გამოტანილ რეზოლუციის განსახორციელებლად ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა მიიღოს ზომები მშენებლობისათვის საჭირო თანხების გაღების შესახებ საბიუჯეტო ასიგნობის მიხედვით და საალმშენებლო მუშაობის სეზონთან შეფარდებით.

ა.-კ. საგეგმო კომისიის სატრანსპორტო საამშენებლო ქვე-სექციას დაევალა დაამუშაოს საკითხი ამიერ-კავკასიის მშენებლობისათვის ტეხნიკური და ფინანსიური კონტროლის გაწევის ფორმების შესახებ.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ მოიწონა აგრეთვე ა.-კ. სამშენებლო თათბირის რეზოლუცია მშენებლობის დარგში შრომის მოწესრიგების საკითხების შესახებ.

საგეგმო კომისიის მიერ დაუშვებლად არის ცნობილი საიჯარადრო ხელშეკრულებების დადება მშენებელთა კავშირის ცალკე წევრებთან.

საალმშენებლო ორგანოების მოწყობის დარგში საგეგმო კომისიამ მოიწონა ა.-კ. საამშენებლო თათბირის მიერ მიღებული—ძლიერი საალმშენებლო ორგანიზაციების შექმნის პრინციპი. რესპუბლიკების საგეგმო კომისიებს წინადადება მიეცათ დაამუშავონ საკითხი საამშენებლო აპარატის კონსტრუქციის შესახებ ამ ორგანიზაციებისათვის ცალკე რესპუბლიკების მიერ გადადებულ თანხებთან შეფარდებით.

ა.-კავკასიის საგეგმო კომისიის დასკვნით, მშენებლობის სამაზრო ზედამხედველობის და ტეხნიკური კონტროლის ორგანოების მოწყობის საკითხი უნდა დაამუშავონ მშენებლობის სარესპუბლიკო საორგანიზაციო-ტეხნიკურმა კომიტეტებმა.

აბრეშუმის მრეწველობა

ა.-კ. საგეგმო კომისიის დასკვნით, საჭირო არ არის საკავშირო მასშტაბით მოეწყოს სპეციალური ორგანო აბრეშუმის დამამზადებელი და დამუშავებითი მრეწველობის გეგმიანი მოწესრიგებისათვის.

ამავე დროს ა.-კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სავაჭრო-სამრეწველო სექციას სასოფლო-სამეურნეო სექციასთან შეთანხმებით დაამუშაოს საკითხი ისეთი ორგანოს მოწყობის შესახებ, რომელიც გააერთიანებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების აბრეშუმის მრეწველობას.

ტელეფონის ქსელი

ტელეფონის ქსელის გაფართოების გეგმა

შინაგან საქმ. სახ. კომისარიატმა შეადგინა გეგმა, თუ რომელ მაზრაში და რომელ რა და რა პუნქტებს შორის უნდა იქნეს პირველ რიგში გაყვანილი ტელეფონის ხაზები. აღნიშნული გეგმა გადაეგზავნა სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს პირველ რიგში შესასრულებლად.

ტელეფონები გაყვანილ იქნება შემდეგ პუნქტებში: ლიუქსემბურგი-გომარეთი (ბორჩ. მაზრა)—35 კილომეტრის მანძილზე; ახალქალაქის მაზრაში—35 კილომ; სიღნაღის მაზრაში გურჯაანი-ურიათუბანი, კაკაბეთი-ყანდაურა—33 კილომ.; ლეჩხუმის მაზრაში—10 კილომ.; ზუგდიდ. მაზრაში—10 კილომ., თელავში — 30 კილომ.; ოზურგეთისაში—10 კილომ. და თბილისის მაზრაში—15 კილომეტრის მანძილზე.

სატელეფონო კავშირი რუსეთთან

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მომავალი საბიუჯეტო წლ. აუცილებელ საჭიროებათ სცნო გაბას ახალი ბრინჯაოს ტელეფონის მავთული თბილისს-ქიათურა-ფოთი-ქუთაისს-ბათუმს შუა.

ეს ქსელი დაუკავშირდება სრულიად საკავშირო სატელეფონო ქსელს, როგორც კი დამთავრებული იქნება თბილის-ლენინგრადის ტელეფონის ხაზის გაყვანა.

ჯანმრთელობის დაცვა

დისპანსერიზაცია

მოსკოვიდან დაბრუნდა თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ეპიდემიური ნაწილის გამგე ექიმი წერეთელი, რომელიც გაგზავნილი იყო რუსეთში დისპანსერიზაციის საკითხების შესასწავლად.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ექ. წერეთელს, რომელმაც შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში მშრომელთა ფართო მასების მკურნალობა,—განაცხადა: საბჭოთა რესპუბლიკებში პროლეტარიატის გამოჯანსაღების საქმეს საფუძვლად უდევს ლოზუნგი:—„მშრომელთა ჯანმრთელობა თვით მშრომელთა საქმეა“. ამ პრინციპზეა უმთავრესად აგებული მუშების ჯანმრთელობის დაცვის საქმე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში. ეს პრინციპი იქ ხორციელდება იმ წესით, რომ საექიმო პერსონალი მჭიდრო კავშირში იმყოფება მასებთან.

ჩვენს მიზანს შეადგენს ამ პრინციპის გატარება თბილისშიაც შემდეგის წესით: თვითეულ ფაბრიკა-ქარხანასთან დაარსდება ჯანმრთელობის უჯრედები, რომელთა წარმომადგენლები შევლენ ყველა დისპანსერების სოციალურ საბჭოებში და აგრეთვე ქალაქის საერთო საბჭოში (თბილისში უკვე არსებობს სამი დისპანსერი: ვენეროლოგიური, ჭლექის და მალარიისა).

თითეულ ფაბრიკა-ქარხანასთან იარსებებს ამბულატორია მუშებისათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად. აღნიშნული უჯრედი აგზავნის თავის წარმოების მუშებს საერთო ამბულატორიაში, სადაც მათ ჯანმრთელობას გამოიკვლევენ ყოველი მხრივ და მიღებულ შედეგის მიხედვით გაგზავნიან სათანადო დისპანსერში საექიმო დახმარებისათვის.

გარდა წარმოება-დაწესებულებათა, ახალი პრინციპი ითვალისწინებს თვით მშრომელთა ბინების გამოკვლევას სანიტარული ჰიგიენის მხრივ.

ამ მიზნისათვის თვითეულ სახლის მდგმურები აირჩევენ ისეთსავე ჯანმრთელობის უჯრედს, როგორიც წარმოებაშია; ეს უჯრედი ეცნობა მდგმურების ცხოვრების პირობებს სანიტარულ-ჰიგიენის თვალსაზრისით. თვითეული [illegible] უჯრედი აირჩევს წარმომადგენელს უბნის საბჭოებში, რომელიც შესდგება: რაიონული-სანიტარული ექიმისაგან, სახლის საბჭოს წარმომადგენლისაგან, არქიტექტორისაგან, რაიონული კომიტეტის წარმომადგენლისაგან და მილიციის წარმომადგენლისაგან.

ამგვარი ყოველდღიური ზედამხედველობით [illegible] იქნება ის უსუფთაობა სახლებში და საერთოდ უბნებში, რომელსაც ადგილი აქვს ახლა.

იმ ბინებს, რომლებიც [illegible] თვალსაზრისით მიიჩნეული იქნებიან საცხოვრებლად, [illegible]. იქ მცხოვრებ მდგმურებს გადაიყვანენ დისპანსერთან არსებულ ღამის და დღის სანატორიუმებში (თბილისში მოეწყობა) და ამგვარად ყოველდღიური [illegible]. რომლებიც გავრცელებულია ახლა მუშებში, ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრება.

მოდელების შეჯიბრება

გუშინ, 29 ივლისს, საქართ. ავიაქიმის საბჭომ დიდუბეში ჩაატარა ჰაეროპლანის მოდელების მეორე შეჯიბრება.

საბჭოს სპორტ-სექციის მიერ შემუშავებულ მტკიცე ნორმების მიხედვით, გაბათილებულ იქნა მხოლოდ ერთი (მეორე) ჯილდო.

დანარჩენი უფრო ძვირფასი ჯილდოები გათამაშებულ იქნებიან და მოდელები, რომელნიც უკეთეს ადგილებს მიიღებენ, გაიგზავნებიან სრულიად საკავშირო შეჯიბრებებზე—თბილისის სახელით. აღნიშნული საკავშირო შეჯიბრების მოწყობა განზრახულია ამა წლის შემოდგომაზე მოსკოვში.

ყველაზე უკეთესი ადგილი ამ შეჯიბრებაში დაიკავა ავიაქიმის საბჭოს პირველი რაიონის უჯრედის წევრის პ. ჩიკოლაიძის მოდელმა, რომელიც გაფრინდა 533 მეტრის სიმაღლეზე.

უნდა ითქვას, რომ პირველ შეჯიბრებასთან შედარებით, მეორე შეჯიბრებამ უკეთესი შედეგი გვიჩვენა (პირველში მოდელი გაფრინდა: 274 მეტრზე, ახლა კი 533 მეტრზე).

ნავთის ინსტიტუტი

ა.-კ. საგეგმო კომისიამ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ბაქოში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკურ ინსტიტუტთან მოეწყოს ნავთის ინსტიტუტი.

ამასთან ერთად ა.-კ. საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა გადადებული იქნეს 1926-27 წლის ბიუჯეტით ნავთის ინსტიტუტის მოსაწყობად საჭირო თანხები.

კოოპერაცია

ფართალი

ა.-კ. კოოპ. კავშირის მიერ საფეიქრო სინდიკატთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად, 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე საფეიქრო სინდიკატმა მას უნდა ჩააბაროს სულ 57 ვაგონი ფართალი. ამ რაოდენობიდან ცეკავშირი მიიღებს 19½ ვაგონს, ე. ი. 3¼ ვაგონს თვეში.

ფართალი მეაბრეშუმეთ

ცეკავშირმა მოსკოვში შეიძინა 4 ვაგონი ფართალი, რომელიც მიღებისთანავე გადაიგზავნება იმ კოოპერატივებში, სადაც სწარმოებს პარკის დამზადება და საქონლის ნაკლებობა არის.

ხელშეკრულების გარეშე

ცეკავშირი მოლაპარაკებას აწარმოებს საფეიქრო სინდიკატთან, მისგან ხელშეკრულების გარეშე 3 ვაგონი ფართალის შეძენის შესახებ.

მაკარონი

ცეკავშირმა კავკავიდან მიიღო ორი ვაგონი მაკარონი, რომელიც განაწილდა კოოპერატივებს შორის.

წითელ ჯარში

1904 წ. დაბადებულთა გაწვევისათვის

საზღვარგარეთ მყოფ საბჭოთა მოქალაქეების გაწვევა

საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, მცხოვრებნი საზღვარგარეთ, მოვალენი არიან მიეწერონ გაწვევა პუნქტზე და გამოცხადდნენ გაწვევაზე.

ყოველი მოქალაქე, დაბადებული 1904 წელში და მცხოვრები საზღვარგარეთ, ვალდებულია გაწვევის დროს დაბრუნდეს საბჭოთა კავშირში და გამოცხადდეს გამწვევ კომისიაში.

საზღვარგარეთ მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რომლებსაც სურთ ისარგებლონ შეღავათით ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობის მხრივ, უნდა წარადგინონ სათანადო მოწმობები, დადასტურებული საკონსულოს ან სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მიერ.

მოქალაქენი, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის საკონსულოებში და სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლობებში, სამხედრო სამსახურში გაიწვევიან საერთო წესის მიხედვით.

სწავლის მხრივ შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც მივლინებულნი არიან უცხოეთის სასწავლებლებში სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ.

იმ პირთ, რომელნიც მივლინებულნი არიან საზღვარგარეთის სასწავლებლებში რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის მიერ, შეღავათი მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ მათი მივლინება ნებადართული იყო განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.

ზურგის მოლაშქრეების გაწვევა

თანახმად სავალდებულო-სამხედრო სამსახურის კანონისა, მოქალაქეები, რომლებიც მოკლებულნი არიან უფლებას აირჩიონ და თვითონ არჩეულ იქნენ საბჭოებში, გაიწვევიან სამხედრო სამსახურის მოსახდელად ზურგის ლაშქარში ჩარიცხვით.

ზურგის ლაშქარში ჩაირიცხებიან აგრეთვე ის მოქალაქენი, რომელთაც ახდილი აქვთ უფლებები სასამართლოს მიერ და აგრეთვე ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი უფლება აყრილობის და გადასახლების ხნის განმავლობაში.

ზურგის ლაშქარში ჩასარიცხავ მოქალაქეთა გაწვევა იწარმოებს მათი ჰასაკის მოქალაქეთა გაწვევასთან ერთად.

აღნიშნული მოქალაქენი არ სარგებლობენ არავითარი შეღავათით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

გაწვევის ვადის გაგრძელება

თანახმად სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოსი, გაწვევის ვადა გაუგრძელდება შემდეგ პირთ, დაბადებულთ 1904 წელში: ყველა უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკების, ყველა ტეხნიკუმების, მეორე საფეხურის სკოლების, უკანასკნელ კლასების, ყველა პროფტეხნიკური სკოლების და მეორე საფეხურის საბჭოთა და პარტსკოლების მოსწავლეებს.

გაწვევის ვადა მოსწავლეებს გაუგრძელდებათ სასწავლებელში კურსის დამთავრებამდე.

გაწვევის ვადა უგრძელდება 1-ლი საფეხურის სოფლის სკოლების, შვიდწლედების და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს იმ დრომდე, სანამ ისინი მასწავლებლობენ აღნიშნულ სკოლებში.

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროებს

ინგლისელი მემაღაროელები გულითად მადლობას მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს გამოგზავნილ დახმარებისათვის. მოგიწოდებთ თქვენ კვლავ დაგვეხმაროთ, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან მთავრობა და მაღაროს მეპატრონენი ცდილობენ სიმშილით გვაიძულონ მოვიხაროთ ქედი.

სმიტი, რიჩარდსონი, კუკი

(დეპეშა საკავშირო პროფსაბჭოს სახელზე)

„ინგლისის მემაღაროელები იბრძვიან არა მარტო საკუთარ ინტერესებისათვის, არამედ მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის“.

(ინგლისის საბჭოთა გაერთიანებული კომიტეტის მოწოდებიდან).

ამხ. „ხოზიკა“-ს გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს ა.-კ. რკინისგზის გამგეობიდან: ამხ. ამხ. მ. ჩხეიძეს, ლ. ტერ-მიქაელიანს, მ. აბრამოვს, მ. მამედბეკოვს, ა. ლევაშოვს, ი. პავლუნოვსკის და ინჟ. გ. გვერდწითელს. ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტიდან ვიწვევ ამხ. ამხ. კოლოსოვს, უსტიაშვილს, სტეფანოვს და აბდულაევს, ამხ. აკიმოვს „ზაკტპო“-დან).

პ. საბაშვილი.

შემომაქვს ამხ. „ხოზიკა“-ს გამოწვევის თანახმად ათი მანეთი (10 მან.) ინგლისის გაფიცულ მემაღაროელების ფონდში.

ი. ჟორჟენაძე.

თანახმად ამხ. „ხოზიკას“ დეკრეტი № 8-ისა, ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი (3 მანეთი).

გ. მალაშხია.

საქართველოს გლეხები მემაღაროელების გაფიცვის შესახებ

„დავეხმარებით გაფიცულების ცოლშვილს“

სოფელ ასურეთის გლეხებმა და გლეხის ქალებმა, მოისმინეს რა მოხსენება ინგლისის სამთამადნო გაფიცულ მუშებზე, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ მშრომელი გლეხები მზადა ვართ დავეხმაროთ ჩვენ თანამოძმე ინგლისის გაფიცულ მუშების ცოლებსა და შვილებს, რომლებიც იბრძვიან შრომისა და ცხოვრების განსათავისუფლებლად ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ [illegible] მოტყუილება და ღალატი სოციალ-გამცემლების — მენშევიკების ინგლისის მუშათა კლასის მიმართ.

ერთად ერთი პარტია რომელსაც შეუძლია პატიოსნათ ემსახუროს მუშათა კლასს და დაიცვას [illegible] და მშრომელთა ინტერესები არის კომუნისტური პარტია.

გაუმარჯოს საკავშირო კომ. პარტიის მშრომელთა მასების ბელადს!

გაუმარჯოს თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მებრძოლ ინგლისის მუშათა კლასს!

ძირს სოციალ გამცემლები მენშევიკები!

მიტინგი სოფ. დურნუკში

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კანდელაკისა ინგლისის გაფიცულ მუშების შესახებ, ჩვენ მზათა ვართ მთელი ძალღონით მოვეხმაროთ ინგლისის გაფიცულ მუშების ოჯახებს ჩვენ უსურვებთ ინგლისის მუშებს გამარჯვებას კაპიტალისტებზე.

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს, რომელიც იბრძვის კაპიტალის წინააღმდეგ, გაუმარჯოს ჭეშმარიტ დამცველს მუშათა კლასის ინტერესებისას საკავშირო კომ. პარტიას! ზიზღი მუშათა კლასის გამცემლებს, მეორე ინტერნაციონალის ბელადებს!

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რას უყურებს სარევიზიო კომისია?

(წერილი სამტრედიიდან)

სამტრედიის კოოპერატივი დიდ ოპერაციებს აწარმოებს. მრავალი მაღაზიები აქვს ქალაქში და ახლო მახლო სოფლებში, აგრეთვე ღვინის საწყობი, სასადილო, სახარაზო და წიგნის მაღაზია. წარსულ წელს ხარჯების შემცირებას მიზნით სარევიზიო კომისიამ შეამოკლა აქტიური გამგეობის წევრები: სამის მაგიერ დარჩა ორი. მაგრამ ხარჯები პირიქით გაიზარდა. უწინ თუ სამი გამგეობის წევრი იღებდა ჯამაგირს 113 მან. 83 კაპ. თითო, შემდეგ ორს დაენიშნათ 157 მანეთი თვითეულს, რადგან სამუშაო „მოემატათ“. უწინ თუ გამგეობის წევრი იღებდა დღიურის სახით 4 მ. 70 კაპ. შემდეგ ის ავიდა 6 მ. 56 კაპ-დე. და გამგეობის წევრთა მივლინება ხომ თითქმის ყოველ დღეა!

ასე რომ, ამ მხრივ ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას გარდა გამგეობას ყავს გაბერილი შტატი ქალაქის მაღაზიებში. მაგ., თითო მაღაზიაში სამი გამოცდილი ნოქარი და ორ-ორი შეგირდებია (ჯამაგირიანი), რომლებიც თვეში იღებენ 50-დან 75 მანეთამდე. სასადილოში 12 მოსამსახურეა და სხვა.

რამდენი ხანია ჩვენი პრესა აწარმოებს ენერგიულ კამპანიას მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, მაგრამ სამტრედიის კოოპერატივის ხელმძღვანელთ თითქოს არ ეხება ეს. წაყრუებულნი არიან. რას შვრება სარევიზიო კომისია მაინც რაღას უცდის?

ჭაჭნელი.

მართლა დაცულია მომჭირნეობა

(პასუხად სტუდენტ ნაპერწკალს)

იმ [illegible], რომელიც ჩემ მიერ მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის“ № 145-ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმასპიუროში მომჭირნეობის პრინციპის ყალბად და დამახინჯებით გატარების შესახებ, ამავე გაზეთის № 162-ში მოთავსებულია ვინმე სტუდ. ნაპერწკალის წერილი: „არის თუ არა დაცული მომჭირნეობა“?

ვიდრე წერილის შინაარს შევეხებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იმ ბრალდებათა განათილება, რომელიც ჩემ მიერ წაყენებული იყო ალმასპიუროს პრეზიდიუმისადმი, პირველ ყოვლისა შეადგენდა თვით პრეზიდიუმის მორალურ ვალდებულებას. პრეზიდიუმს შეეძლო უფრო ოფიციალური, გარკვეული და თანაც ავტორიტეტული პასუხი მიეცა ჩემი შენიშვნებისათვის. არ ვიცით რით აიხსნება, რომ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ პრეზიდიუმის რეაბილიტაციას კერძო პირი კისრულობს?

ფაქტიური სინამდვილის აღსადგენად სტ. ნაპერწკალს ვუპასუხებთ შემდეგს: ის სწერს, ალმასპიუროს შტატის შესაბამად რეორგანიზაციის (შტატის შემცირება) მოხდენამდე ყოველთვიურად იხარჯებოდა 500 მანეთი (ოთხასი მანეთი განათლების კომისარიატისაგან, 75 მანეთი ალმასპიუროს სალაროდან და 25 მანეთი სტიპენდიის სახით). ეხლა ყოველთვიურად იხარჯება შტატის შესაბამად მხოლოდ 400 მანეთი. აქ მთელი გაუგებრობაა. მე ვლაპარაკობ იმ 400 მანეთის შესახებ, რომელიც ალმასპიუროს ეძლეოდა განსახკომიდან შტატების შესაბამად. სტიპენდიის შეტანა შტატის შესაბამ ხარჯებში აშკარა ულოღიკობაა. სტიპენდია, როგორც ვიცით ენიშნება ღარიბებს, უსამსახურო სტუდენტებს—და მისი გამოყენება ჯამაგირისათვის—შეუძლებელია. ალმასპიურო მართლაც ეწეოდა ხარჯებს აღნიშნული 400 მანეთის გარეშე, მაგრამ ეს ხარჯები იფარებოდნენ იმ 10% ანარიცხით, რომელიც ალმასპიუროს ეძლევა უნივერსიტეტის გამგეობისაგან. ეს 10% ანარიცხი ამჟამად გადადის ალმასპიუროს განკარგულებაში, რაც წლიურად დაახლოვებით 4000—5000 მანეთს უდრის. მე ვეკითხები სტუდენტ ნაპერწკალს: თუ წინეთ განსახკომიდან მიღებული 400 მანეთი ნაწილდებოდა 9 თანამშრომელზე—ეხლა, ოთხი ამხ. სამსახურიდან მოხსნის შემდეგ სად მიდის ის ოთხასი მანეთი? მის ფონდში გადაირიცხა ნაშთი—ას თხუთმეტი მანეთი? როგორც მაშინ სწერდი 90 ნაშთი განაწილებული იქნა დარჩენილ პრეზიდიუმის წევრებს შორის. მათზე ჯამაგირების მომატებით, რაც მე მიმაჩნია ეკონომიის რეჟიმის პრინციპის ყალბად გაგებად და დამახინჯებად.

სტუდენტი ნაპერწკალი სწერს: შტატის შემცირება პრინციპად არ ყოფილა აღებული. რასაკვირველია, შტატის შემცირება არ შეიძლებოდა პრინციპი ყოფილიყო. პრინციპი იყო მომჭირნეობა და შტატის შემცირება კი—საშუალება ამის მისაღწევად. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სამწუხაროდ შტატების შემცირება პრეზიდიუმმა მართლაც პრინციპად აქცია—ფაქტიურად, რადგან მისგან არავითარი მომჭირნეობითი შედეგი არ მიგვიღია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრეზიდიუმის წევრების პირად სარგებლიანობას. რომ ხსენებული შტატების შემცირება მოხდა ეკონომიის რეჟიმთან დაკავშირებით, ეს ნათლად სჩანს იმ წერილობითი დოკუმენტიდან, რომელსაც ამასთანავე ერთად ურდგენ რედაქციას. [2]

გამოიწვია თუ არა შტატების შემცირებამ ვისიმე უმუშევრათ დარჩენა? სტ. ნაპერწკალი სწერს: რომ შტატის შემცირებაში მოხვედრილი ამხ., გარდა ერთისა, სტიპენდიანტები არიან (ის ერთიც საზაფხულო პრაქტიკაზე გაიგზავნა). ეს არ არის მართალი. მოხსნილთა შორის მხოლოდ ორი იღებს სტიპენდიას, ორი კი—ხვიჩია და წიკლაური არავითარ სტიპენდიას არ იღებენ. რაც შეეხება ხვიჩიას პრაქტიკაზე გაგზავნას, ის მართლაც გაგზავნა შრომის კომისარიატმა პრაქტიკაზე ერთი თვით, მაგრამ ეს დროებითი ხასიათი მოვლენაა და ალმასპიუროს საქმიანობას თან ამას არავითარი კავშირი არა აქვს.

დასასრულ სტ. ნაპერწკალი სცდილობს პრეზიდიუმის წევრების ჯამაგირების გადიდება გაამართლოს მათი ხელფასის სიმცირით. ჯერ ერთი მათი ხელფასი ყოველთვის აღემატებოდა (უკანასკნელ მომატებამდე) თბილისში არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებლების ალმასპიუროს პრეზიდიუმის თანამშრომელთა ხელფასს, და გარდა ამისა, თუ გასაბჭოების დღიდან—აქამდე პრეზიდიუმი კმაყოფილდებოდა ამ ხელფასით. ნუთუ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებული რეორგანიზაციას უნდა გამოეწვია ხელფასის ასეთი გადიდება?

მე ვფიქრობ ამ საქმის გამორკვევა საკმაო ინტერის შეიცავს. მასზე უკვე მიქცეულია სათანადო ორგანოების ყურადღება და სტ. ნაპერწკალის კითხვას: არის თუ არა დაცული მომჭირნეობა?—ალბად ახლო მომავალში გარკვეული პასუხი გაეცემა საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დასკვნის სახით.

სტ. ჟაოზიშვილი.

ტყის მრეწველობის მუშაკთა ყრილობა

მეოთხე დღე

ბზიბის სატყეო აგარაკი

(მომხსენებელი ინჟ. დორფმანი)

29 ივლისს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ინჟ. დორფმანის მოხსენება აფხაზეთის,—კერძოთ ბზიბის აგარაკის ტყეების შესახებ. ინჟინერ დორფმანი თავმჯდომარეა იმ კომისიის, რომელსაც საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ დავალებული ჰქონდა ბზიბის სატყეო აგარაკის გამოკვლევა.

ინჟ. დორფმანმა აცნობა ყრილობას, რომ ბზიბის სატყეო აგარაკი შეიცავს 118 ათას დესიატინა ტყეს. ბზიბის აგარაკის უმთავრესს ჯიშს შეადგენს ფიჭვი, რომლის მარაგი უდრის 165 მილიონ კუბიკურ ფუტს. გარდა ამ ჯიშისა უხვად მოიპოვება წიფელა, რომლის მარაგი საშუალებას იძლევა ყოველწლიურად დამუშავებულ იქნას 2,5 მილიონი ფუტი მერქანი.

აღსანიშნავია, რომ ბზიბის აგარაკში მოიპოვება არაჩვეულებრივი ხარისხის ბზის ხე. ზოგიერთ მათგანის სისქე აღწევს 8 ვერშოკს, რაც იშვიათი მოვლენაა. აგარაკის ექსპლოატაცია პირველ ხანებშივე შეიძლება გამოზიდული და უცხოეთში გატანილი იქნეს 200 ათას ფუთამდე ბზის ხის მერქანი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბზას საზღვარგარეთის ბაზარზე დიდი ფასი აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ რაოდენობის ბზის ხის რეალიზაცია მოგვცემს საგრძნობ თანხას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საბრუნავი თანხა აგარაკის დასამუშავებლად.

გარდა ამ ჯიშებისა ბზიბის სატყეო აგარაკში ხარობს მცირეოდენი ურთხმელა, თელა, ცაცხვი და სხვა. წარმოებული გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ მერქნების დიდი ნაწილი შეიძლება ჩამოცურებული იქნეს მდ. ბზიბის საშუალებით შავზღვამდე. მდ. ბზიბის შესართავს ახლო მდებარეობს ნავთსადგური პიწუნდა, საიდანაც შეიძლება მასალის ზღვით გაზიდვა სარეალიზაციოდ. ჩამოცურების გარდა, შესაძლოა სატრანსპორტო მიზნებისათვის გამოყენებულ იქნეს ძველი ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა, რომლის საშუალებით ერთ დროს ბზიბის რაიონიდან გამოჰქონდათ საალმშენებლო ქვის მასალა.

კამათი მოხსენების გარშემო

ინჟ. დორფმანის ინფორმაციის შემდეგ გაიხსნა გაცხოველებული კამათი მოხსენების. უმთავრესად ამხ. ნ. კიკნაძის მთავარ მოხსენების გარშემო.

კამათმა ნათელჰყო, რომ ადგილებზე, ისე როგორც ტყის დასამუშავებელ აგარაკებზე, ადგილი აქვს უთანხმოებას და შეხლა-შემოხლას ტრესტის წარმომადგენლობასა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აზრით, პროფორგანოები სოციალური დაზღვევის, შრომის დაცვის და ტეხნიკის დარგში ზოგიერ შემთხვევაში აყენებენ ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს. პროფორგანოების წარმომადგენლებმა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კამათში, აღნიშნეს, რომ შეიძლება ადგილებზე ყოველთვის წესიერად არ ესმოდეთ ცენტრალურ პროფორგანოების დირექტივები, მაგრამ საერთოდ მათ მიერ წაყენებული მოთხოვნილებები სავსებით კანონიერი და მისაღებია თვით სატყეო მრეწველობის ინტერესების თვალსაზრისით.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, როგორც ტრესტის, ისე პროფორგანოების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ბოლო მოეღოს ურთი-ერთ არგაგებას და საბოლოოთ მოისპოს მათ შორის არსებული გაუგებრობა.

კამათის დროს ბევრი ითქვა აგრეთვე ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის და ბუხჰალტერიის დაყენების შესახებ. ხაზგასმით აღნიშნული იყო ბუხჰალტერიის მოწესრიგების და ღონისძიების მიღების საჭიროება სატყეო მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბარიტის წარმოება

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ლაბორატორიაში იკვლევენ ამჟამად ბარიტის გასაწმენდ საშუალებებს.

როგორც ცნობილია ბარიტის მადნები არსად არ მოიპოვება იმ რაოდენობით, როგორც ჩვენში (ლეჩხუმში). დღემდე ქართული ბარიტი იფქვებოდა ადგილობრივ და ისე გაჰქონდათ ბაზარზე, უმთავრესად რუსეთში და ევროპაში.

იმ მიზნით, რომ აწეულ იქნეს ბარიტის ხარისხი და ღირსება, საჭიროა მადანი იწმინდებოდეს ადგილობრივ.

ამჟამად ბარიტის გასაწმენდ საშუალებების გამოსანახავად სწარმოებს ლაბორატორიული მუშაობა.

მომავლისათვის განზრახულია ბარიტის საფქვავ ქარხანასთან ბარიტის საწმენდი ქარხნის მოწყობა.

საზოგადოება „მწყემსი“-ში

მატყლი

„მწყემსი“-ს გამგეობამ მიმდინარე წლის გაზაფხულის სეზონში წევრთა შორის შეაგროვა 24 ათასი ფუთი გაზაფხულის მატყლი და ჩააბარა სააქციო საზოგადოება—„შერსტს“.

თივის დამზადება

„მწყემსი“-ს გამგეობამ შირაქის ველზე მიმდინარე ზაფხულს მოაწყო თივის დამამზადებელი აპარატი. განზრახულია 200 ათასი ფუთი თივის დამზადება.

ზარალის ანაზღაურება

გასული თვის განმავლობაში ძლიერმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენეს მეცხვარეებს. ამ ზარალის ასანაზღაურებლათ, მთავრობის განკარგულებით, დაზარალებულ მეცხვარეებს მიეცემათ გრძელვადიანი მიზნობრივი სესხი.

„ბირლიკი“—„მწყემს“-ში

მეცხვარეთა ამხ-ბა „ბირლიკი“ მისი ლიკვიდაციის შემდეგ თავის 1.500-მდე წევრით ურთდება ამხანაგობა „მწყემსს“.

---

[1] ამ წერილით რედაქცია სწყვეტს კამათს აღძრული [illegible] გარშემო. **რედ.**

[2] აღნიშნული დოკუმენტი ჩვენ მიერ მიღებულია. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. ლუნაჩარსკის ჩამოსვლა

განათლების სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით, აგვისტოში თბილისში ჩამოვა საბჭოთა რუსეთის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი. თბილისიდან ამხ. ლუნაჩარსკი გაემგზავრება ბორჯომში დასასვენებლად.

თბ. აღმასკომში

— **შენობების დაბეგვრა.** 1926-27 წ. საბიუჯეტო წლიდან შენობების დაბეგვრა მოხდება ახალი შეფასების მიხედვით, რომელიც წარმოადგინა დამზღვევმა სამმართველომ, თავის ორი წლის მუშაობის შემდეგ. დაბეგვრის ახალი წესით ცენტრში ბეგარის თანხა 100% იქნება გადიდებული, განაპირა უბნებში კი დაახლოებით ამდენივე პროცენტით შემცირებული.

— **საკურორტო გადასახადი.** წარსულ წელს საკურორტო გადასახადს იხდიდენ, სხვათა შორის, ის მოსამსახურენიც, რომელნიც მსახურებდენ სამეურნეო ხარჯზე მყოფ დაწესებულებებში. წელს ასეთი გადასახადისაგან თავისუფალნი არიან ყველა მოსამსახურეები, სადაც არ უნდა მსახურებდნენ ისინი.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში

— **გლეხკომების კონფერენცია.** თელავის მაზრაში გლეხკომების სამაზრო კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 1 აგვისტოს, გადაიდო 8 აგვისტოსთვის.

— **შრომით დახმარება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით: პირველ აპრილიდგან პირველ ივლისამდე ახალციხის მაზრაში ინვალიდებს, წითელარმიელების ოჯახებს, ქვრივებს და ობლებს გლეხკომებმა აღმოუჩინა 1.200 სამუშაო დღით უფასო დახმარება.

— **პენსიები და დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—პირველ აპრილიდგან პირველ ივლისამდე ქუთაისში სოცალურ უზრუნველყოფის ინსპექტორმა ინვალიდებს, ქვრივებს და ობლებს დაურიგა პენსიების და დახმარებების სახით 3.639 მანეთი და 5 კაპეიკი.

— **გლეხკომების ყრილობა.** სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის გლეხკომების ყრილობა.

კრებები და მოხსენებები

რემედასში. შაბათს, 21 ივლისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართველოს რემედასის ცეკას და თბილისის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა.

სხვადასხვა

— **უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია.** საქართველოს ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიამ გადასცა აფხაზეთის ბავშვთა კომისიას 5.000 მან. სამხრეთ-ოსეთისას—2.500 მ. და აჭარისტანისას—3.700 მან.

— **ახალი შენობა.** ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ ოთხსართულიანი სახლისსაბლოკო საკონკურსო პროექტის წარდგენის ღღეთ გამოაცხადა 17 აგვისტო; სახლის შენობა დაიწყება სექტემბერში.

— **სესხი.** თბილისის კომუნალურმა ბანკმა საბინაო საიჯარო ამხანაგობას სახლების შესაკეთებლად გაუხსნა 150 ათასი მანეთის კრედიტი.

—**სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** მიმდინარე წლის 1 მაისამდე თბილისის მაზრაში შეკრებილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 80 პროცენტი.

ხელოვნება

— **კ. მაყაშვილის წიგნი.** სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად კ. მაყაშვილის სატირა—„ეშმაკი საქართველოში".

— **მუშათა ახალ კლუბში.** შაბათს, 31 ივლისს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა; ბაღში დაუკრავს ორი ორკესტრი.

— **სიმფონიური კონცერტი.** შაბათს, 31 ივლისს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება მე-6-ე სიმფონიური კრება.

შენობები სკოლებისათვის

პირველი საფეხურის სკოლები საქართველოში შენობების მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. არსებული ცნობებით, 630 სკოლას სულ არ აქვს შენობები. ამ სკოლებს უქირავთ უვარგისი და ისიც ნაქირავები შენობები.

სკოლების 35 პროც. (ე. ი. 360 სკოლა) ისეთ შენობებშია მოთავსებული, რომლებიც საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს ან და სრულ გადაკეთებას.

დანარჩენი 30 პროც. სკოლებისა საჭიროებენ საშუალო რემონტს.

რომ არსებული სკოლები უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო დამაკმაყოფილებელი შენობებით, საჭიროა 630 ახალი სკოლის აგება, 630 სკოლის კაპიტალური რემონტი და 540 სკოლის საშუალო რემონტი.

სასკოლო აღმშენებლობის გეგმის თანახმად, ეს მუშაობა უნდა ჩატარებული იქნეს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, რისთვისაც საჭიროა 16.119.360 მანეთი.

მაგრამ ეს მაინც სავსებით არ ამოწურავს სასკოლო აღმშენებლობის ყველა საჭიროებებს. ვინაიდან გადაწყვეტილია საყოველთაო სწავლებაზე თანდათანობითი გადასვლა. რასაც მოჰყვება ახალი სკოლების გახსნა, საჭიროა სკოლების შენობებით უზრუნველყოფა. გეგმით გათვალისწინებულია 1.681 ახალი შენობის აგება, რისთვისაც საჭირო შეიქნება 36.310.00 მან.

საერთოდ კი ათი წლის განმავლობაში განზრახულია სასკოლო აღმშენებლობაზე დაიხარჯოს სულ 52.429.360 მანეთი.

სახალხო მამულები

აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე საქართველოს სახალხო მამულების ადმინისტრაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა როგორც თვით სახალხო მამულების, ისე საგლეხო მეურნეობათა აღსადგენად—მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის მემინდვრეობის და მესაქონლეობის დარგში. დამზადებულია 4.540 ათასი ვაზის ნამყენი. საზღვარგარეთიდანაც მიღებულია 809 ათასი მეტრი ამერიკ. ვაზის რქისა (საოპერაციო წლის დასაწყისიდან სულ მიღებულია საფრანგეთიდან 4 მილიონამდე მეტრი). გლეხობაზე გაცემულია 860 ათასი ნამყენი ვაზი.

ამერიკულ ვაზის სანერგეების არეს მოემატა სამი თვის განმავლობაში 9½ დეს., ხოლო სახალხო მამულების ვენახების არეს—32 დეს., ხილის სანერგეების არეს მიემატა 15 დეს., გადარგულია—1.600 ათასი უჯიშო საძირე და დამზადებულია—404 ათასი ნამყენი. ბამბის სელექციური თესლით დათესილია 150 დეს., ხოლო სხვა კულტურების სელექციური თესლით—250 დეს. და სხვ.

კინო-მრეწველობა

ილ. ერენბურგი საქ. სახ. კინრეწვის ფაბრიკაში

ცნობილი რუსი მწერალი ილ. ერენბურგი რომელიც რამოდენიმე დღით შეჩერების შემდეგ უცხოეთში გაემგზავრა. ესტუმრა საქართველოს კინომრეწველობის ფაბრიკას, დაესწრო ფილმა „ორი მონადირის" რამოდენიმე სცენის გადაღებას.

ერენბურგმა პარიზში წაიღო რეჟისორის მოფიქრების, ტეხნიკური შესრულების და კოლორიტის მხრივ საინტერესო კადრები, რომელიც ნაჩვენები იქნება ექსპერიმენტალურ კინო „გოლუბიატნია"-ში—ფრანგ კინემატოგრაფისტთა წრეში.

სურათი „გაფლანგვა"

რეჟისორი პერესტიანი ბათომში ამთავრებს სურათ „გაფლანგვა"-ს გადაღებას. ამ სურათის მთავარი როლები დაკისრებული აქვთ ზოგიეფის, ტენაზის, ესიკოვსკის, შორსკის, კრუჩინინს და იაკობინს, ფილმა „გაფლანგვა"-ს დამთავრების შემდეგ რეჟ. პერესტიანი შეუდგება სურათის „ასე ილიგდენ სურათს"-ის გადაღებას. ამ ფილმაში მონაწილეობენ შირაი, ჩემიშკონი, ლიერეცკი და იაკობინი.

შემთხვევები

ყაჩაღების ბრბოს მოსპობა

ამ ორი დღის წინეთ ცენტრალ. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის თანამშრომლებმა მოსპეს თელავისა და სიღნაღის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღების ბრბო.

აღნიშნული ბრბოს სულისჩამდგმელებად იყვნენ ამას წინათ სიღნაღის გამსახლიდან გაქცეული ყაჩაღები—გიორგიშვილი, გაგიშვილი და ირემაშვილი, რომლებიც ეწეოდენ ძარცვა-გლეჯას და მცხოვრებთ შიშის ზარსა სცემდენ.

25 ივლის ცენტ. მაძიებ. მილიციის თანამშრომლებს მოუხდათ შეტაკება აღნიშნულ ბრბოსთან. სროლის დროს მოკლულ იქნა ყაჩაღი გიორგაშვილი და გაგიშვილი. ირემაშვილი კი წინახანებში თავის ნებით გამოცხადდა და პატიება ითხოვა.

მორგებული გასაღებით

28 ივლისს, „სახმედვაჭრობის" № 5 მაღაზიიდან მაგიდის უჯრიდან მოიპარეს 334 მან.

მტკვარში გადავარდნა

28 ივლისს, რკინის ხიდიდან მტკვარში გადავარდა უცნობი ახალგაზრდა ქალი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

ავტომანქანის დაჯახება

28 ივლისს, მუხრანის ქუჩაზე, ივანე ქარუმიძის ჯაგვს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ოსიპოვი. მსუბუქად დაშავდა ჯაგვის პატრონი ქარუმიძე.

მკვლელობა

28 ივლისს, მამუკინის სოფელში რ. ქობულაშვილმა დანით დასჭრა ს. ბიქიაშვილი, რომელიც გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს!

უეცარი სიკვდილი

28 ვლისს, მუშათა ახალი კლუბის ეზოში უეცრად გარდაიცვალა პ. გასპაროვი.

ნარცხი

28 ივლისს, ზაჰესის მე-2-ე უბანში მუშაობის დროს გადმოვარდა და დაშავდა მუშა დ. პეტრიაშვილი.

ქალის გატაცება

თიანეთის მაზრის ს. ხარტიშოდან გაიტაცეს ქეთევან ჩოკოლაშვილი, გამტაცებლები: ს. არზაიაშვილი, ხინჩალაშვილი და თურქიშვილი ადგილობრივმა მილიციამ დააპატიმრა.

გვამის პოვნა

— გუშინ ნაშუადღევის 5 საათზე, მამუკინის სოფლის ახლოს მდინარე მტკვრის პირას აღმოჩენილია დამხრჩვალი დედაკაცის გვამი.

გვამთან ნაპოვნია ქაღალდი, რომელსაც სომხურად აწერია სირუნიანის გვარი.

დაკარგვა

— გუშინ, საღამოს სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა კათოლიკების ქ., № 4-ში მცხოვრები გიორგი ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილმა დასტოვა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას მოზეზრდა ცხოვრება.

თავის მოწამვლა

გუშინ, საღამოს 8 საათზე, იოდით თავი მოიწამლა ვარტანოვის ქალმა (კიკეთის ქუჩ).

— მიზეზი რომანიულია.

— ვარტანოვი სიკვდილს გადაარჩინეს.

ქურდობა

— გუშინ, ლიულინ-ნიბინკიზი (შუშინის ქ.) გაქურდა მისმა შვილმა.

მოპარულია 300 მან. ოქროულობა.

რეციდივისტის შეპყრობა

— გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ცნობილი რეციდივისტი ალექსანდრე გრიგოლის ძე თოდურია.

რკინისგზებზე

დამატებითი მატარებელი ბათუმისაკენ

ვინაიდან 1 და 2 აგვისტოს (დასასვენებელ დღეებში) მოსალოდნელია ბათუმისაკენ მიმავალ მგზავრთა რაოდენობის გადიდება, ა.-კ. რკინის გზის სამმართველომ დანიშნა ბათუმისაკენ დამატებითი მატარებელი, რომელიც თბილისიდან გავა შაბათს, საღამოს 6 საათ. და 15 წუთზე და უკან დაბრუნდება 3 აგვისტოს, დილის 3 საათზე.

საექსკურსიო მატარებელი

დასასვენებელ დღეებში ბორჯომში მიმავალ ექსკურსანტებისათვის ბორჯომამდე დანიშნულია საექსკურსიო მატარებელი, რომელიც თბილისიდან გავა შაბათს, საღ. 5 სათზე და დაბრუნდება უკან სამშაბთს, დილის 4 სათზე და 40 წუთზე.

რიგების მოსასპობათ

მოძრაობის სამგზავრო ნაწილმა აღძრა შუამდგომლობა, რათა თბილისში, ბორჯომში და ბათუმში მოეწყოს ბილეთების გაყიდვა განსაზღვრულ ვადით. მგზავრებს, რომელნიც შეიძენენ ამ ბილეთებს, აღარ დასჭირდებათ რიგში დგომა. ეს საკითხი გადაწყდება ამ დღეებში.

სახელმწიფო ცხენთსაშენი

ამა წლის ივლისის 1-სათვის მუხროვანის ცხენთსაშენში ირიცხებოდა 108 ჯიშიანი ცხენი, ყულარის ცხენთსაშენში—351 კვიცი, აქედან საქ. სახელმწიფო ცხენთსაშენში პროდუქცია—50 ჯიშიანი კვიცი და კავკ. წით.-დროშ. არმიის მიერ საქ. სახ. ცხენთსაშენისათვის აღსაზრდელათ გადაცემულია 301 კვიცი. საწროვნელ საჯინიბოში ირიცხება 14 ჯიშიანი ცხენი, 19 დასაგრილებელ პუნქტებზე—32 ჯიშიანი აჯილღა.

კვიცები გლეხობას

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა კავკ. წითელ-დროშოვან არმიის წინაშე იმის შესახებ, რომ არმიის მიერ საქ. ცხენთსაშენისათვის აღსაზრდელათ გადაცემული კვიცები საჯარო ვაჭრობით არ იყიდებოდეს, არამედ მთლად დაეთმოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს —გლეხობისათვის. მშრომელ გლეხობას მიმდინარე სეზონში უფულობის გამო საშუალება არა აქვს შეიძინოს ცხენები და მათ საჯარო გაყიდვის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აზრით,, მოჰყვება მათი შეძენა მეტნაწილად სპეკულიანტების მიერ.

თხილის დამზადება

ცეკავშირის ქუთ. განყოფილებაში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციების თათბირი თხილის დამზადების შესახებ. თათბირს დაესწრო 29 კოოპერატივების წარმომადგენელი. თხილის დამზადების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ თათბირზე გამოირკვა, რომ წრეულს თხილის მოსავალი ქუთაისში და ოზურგეთის მაზრებში შარშანდელთან შედარებით ძალიან მცირე არის, ხოლო ზუგდიდის მაზრაში გასულ წელზე მეტი.

კოოპერატიულ ორგანოებმა იკისრეს 50 ათასი ფუთი თხილის დამზადება.

სასამართლო

პირუტყვი

(გ. ჭილაძის საქმე)

— გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო ტრამვაის სახელოსნოში მომუშავე **გრიგოლ ჭილაძის** საქმის გარჩევა.

— ჭილაძეს ბრალდება თავის რვა წლის ქალიშვილის გაუპატიურება.

— ბრალს სდებს პროკურორი **კიკაბიძე**, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **შ. დადიანი.**

— გამოწვეულია ექიმი-ექსპერტები.

— დაიწყო მოწმეების დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებულის მსხვერპლი—**ელენე ჭილაძე**, რომელმაც განიმეორა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებულის მეუღლე—ვერა, რომელმაც გააცნო სასამართლოს ბრალდებულის ცხოვრების ზოგიერთი მხარეები. მოწმე აცხადებს, რომ ბრალდებული უფროს ქალიშვილისადმიც ასეთი პირუტყვული გრძნობით იყო გამსჭვალული.

— მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

„ავადმყოფი" ხულიგანი

— ამა წლის 16 ივლისს, **ავეტის სარქისოვი** ჩამოვიდა თბილისში მეგობრების სანახავად. მეგობრებს სარქისოვმა განუცხადა, რომ ავათ არის და თბილისში საექიმოდ ჩამოვიდა.

— „ავადმყოფი" სარქისოვი საღამოს თბილისის ერთ-ერთ რესტორანში იჯდა და მეგობრებთან ერთად დროს ატარებდა. ღამის 12 საათი იყო, როცა მხიარული „ძმა-ბიჭების" კამპანია დაიშალა. შემდეგ სარქისოვი ცუდ გუნებაზე დადგა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ცხოვრება არა ღირს". „მძიმე ფიქრების" გასაფანტავათ ერთ ნაცნობს გარმონი გამოართვა და ლინით გაუდგა.

— მილიციელმა წინადადება მისცა მას სიმღერისათვის თავი დაენებებია და სახლში წასულიყო. „შეურაცყოფილმა" სარქისოვმა სილა გააწნა მილიციელს.

— მეორე დღეს სარქისოვს საპატიმრო საკანში გაეღვიძა, საიდან გაჩნდა მილიციაში, თვითონაც არ ახსოვდა. მხოლოდ, როცა მორიგე მილიციელმა მას ოქმი წაუკითხა, მაშინ მოაგონდა ყველაფერი.

— გუშინ. სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა სარქისოვის საქმე.

— სასამართლომ ბრალდებული სარქისოვი ომნაშავეთ სცნო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და მიუსაჯა მას 6 თვით გამსახლში დაპატიმრება.

ქუთაისის ამბები

ქუთაის-წყალტუბოს გზა-ტკეცილი

ქუთაის-წყალტუბოს გზა-ტკეცილის სამუშაოთა ნახევარი უკვე დამთავრდა, მეორე ნახევარი სავსებით დამთავრდება სექტემბრის ბოლო რიცხვებში, თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა.

სასამართლოს სესია

26 ივლისს დაბრუნდა შორაპნის მაზრიდან დას. საქ. ოლქის სასამართლოს გამვლელი სესია ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით. სესიამ გაარჩია 11 საქმე. მათ შორის გაირჩა არსებითად 9 საქმე. ერთი გადაეცა დამატებით კვლევა-ძიების მოსახდენად გამომძიებელს, ერთიც გაირჩევა 10 დღის შემდეგ. სესიის სხდომებს გლეხები ბლომად ესწრებოდენ.

მკვლელების გასამართლება

22 ივლისს დას. საქარ. ოლქის სასამართლომ ამხ. წივწივაძის თავმჯდომარეობით მოქ. აკაკი და ერმილე ბურჯანაძეებს მიუსაჯა რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასული წლის პირველ იანვრის ქონების მითვისების (ანგარების) მიზნით აკაკი ბურჯანაძემ შეირთო სოფ. ოფჩხვითში მცხ. გლეხ ქაუტაძის ქალი და შემდეგ რომ ქონება დარჩენოდათ, აკაკი და ერმილე ბურჯანაძეებმა მოჰკლეს ქალის მამა.

გზის გაყვანა

შოვი-მამისონის უღელტეხილზე გზა-ტკეცილების სამმართველოს გაჰყავს საურმე გზა. გზა დამთავრდება არა უგვიანეს ორი კვირისა. აღსანიშნავია რომ გლეხები ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას.

შინამრეწველობა

დასავლეთ საქართველოს შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოებაში

დასავლეთ საქართველოს შინა-მრეწველთა საზოგადოება აერთიანებს 6.000-ზე მეტ შინამრეწველ-ხელოსნებს. ამჟამად ძალიან მწვავედ დგას შინა-მრეწველთათვის სესხის მიცემის საკითხი. ხელოსნები თხოულობენ შინამრეწველთა ბანკის დაარსებას და შეგირდების აყვანის საკითხის მოგვარებას.

მეცნიერება და ტეხნიკა

სინდიყიდან ოქროს მიღების ცდების გარშემო

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანიის ქიმიური საზოგადოების ხალხით გაჭედილ დარბაზში პროფ. მიტემ გააკეთა მოხსენება სინდიყის ოქროთ გადაქცევის შესახებ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ იმავე ქიმიური საზოგადოების კიდევ უფრო გაჭედილ დარბაზში პროფ. მიტეს იმედებს ფრთები შეუკვეცეს. ბერლინის ოთხი ლაბორატორია—პროფ. **გაბერის, პროფ. ტიდეს,** პროფ. **რიზენფელდის და სიმენსის** საზოგადოების ლაბორატორიები,—ერთმანეთისგან დამოუკიდებლათ შეუდგენ **მიტესა** და იაპონელ **ნაგაოკის** ცდების შემოწმებას. პირველ ხანებში თვით გაბერი, გერმანიის თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, ფიქრობდა, რომ მან მოახერხა მიტეს ცდების დადასტურება. მაგრამ შემდგომმა ცდებმა სულ სხვა დაამტკიცა. მრავალ შემთხვევებში, მართალია, სინდიყში იპოვეს ოქრო. მაგრამ თუ ცდებს განაახლებდენ ან განაგრძობდენ, ოქროს რაოდენობა არ მატულობდა. ასეთი „დიდი რაოდენობა" ოქროსი, რომელზედაც ლაპარაკობდა მიტე, ვერავინ ვერ მიიღო. უკეთეს შემთხვევაში მიღებული ოქროს რაოდენობა გრამის მემილიონედ ნაწილით განიზომებოდა. მეორე მხრივ, ცდებმა დაამტკიცა, რომ ლაბორატორიაში ოქროს მცირე რაოდენობისგან განთავისუფლება უფრო ძნელია, ვიდრე ცხოვრებაში მისი დიდი რაოდენობის შეძენა. პროფ. გაბერმა კრებაზე ქიმიურ საზოგადოების დარბაზში განაცხადა, რომ მის ლაბორატორიაში ერთ-ერთი თანამშრომელი სინდიყში უფრო მეტ ოქროს პოულობდა, ვიდრე სხვები. აღმოჩნდა, რომ მას ჰქონდა ოქროს სათვალე, რომელსაც ზოგჯერ ხელით ეხებოდა. კანის ნაოჭებში რჩებოდა სინდიყის მცირე რაოდენობა და ეს წვეთები აღნობდენ ოქროს მცირე რაოდენობას. საკმაო ხილის შეხება სათვალეებისათვის და შემდეგ ტყვიის ფირფიტასთან, რომლის საშუალებით ოქროს გამოყოფენ ანალიზის დროს, რომ სადნობში მოხვდეს ოქროს საკმაო რაოდენობა. სიმენსის საზოგადოების თანამშრომლები იძულებული შეიქნენ სამუშაოთ გადასულიყვენ ახლად აგებულ შენობაში, სადაც არ ყოფილა არც ოქროს ნაჭერი და არც სინდიყის ერთი წვეთი, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იყო თქმა იმისი, რომ ცდები სავსებით ნორმალურ პირობებში მოხდა.

პროფ. ტიდემ განაცხადა, რომ მისი ცდების დროს, ოქრო არც ერთხელ არ იქნა აღმოჩენილი იმ შემთხვევებში, როცა ცდების წინ სინდიყი ნამდვილათ გასწმინდეს ოქროს შენაერთებიდან და სხვა ნივთიერებათაგან, რომლებიც ოქროს შეიცავენ.

ამრიგათ, თუ ტიდეს, გაბერის, როზენფელდის და სიმენსის ლაბორატორიის ცდებმა ვერ დაამტკიცეს—საიდან წარმოიშვა მიტეს „ხელოვნური" ოქრო, ის მაინც გამოარკვიეს, თუ საიდან შეიძლებოდა მათი წარმოშობა და არც ერთ შემთხვევაში არ დაამტკიცეს ის ფაქტი, რომ ოქროს რაოდენობა იზრდება დროისა და დახარჯული დენის პროპორციულათ. რაც დაადასტურებდა იმას, რომ ოქრო წარმოიშობა ელექტრონული დაცლის ზეგავლენით.

მართალია, მიტე ახლაც დარწმუნებულია იმაში, რომ აღმოაჩინა ელემენტების გადაქცევის საშუალება, და ამტკიცებს, რომ ის მეთოდები, რომლებსაც იგი მიმართავდა სინდიყისა და სხვა მასალების გასაწმენდათ, არანაკლებ იდეალური იყო, ვინემ მისი კრიტიკოსების, მაგრამ ახლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ერთი ელემენტის მეორეთ გადაქცევის ამოცანა გადაუჭრელია მიტის ცდების შემდეგაც.

ფიზიკური კულტურა

წითელი სპორტინტერნის 5 წლის თავი

ფიზკულტურის ა.-კ. საბჭო ამ ჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში აწარმოებს კამპანიას წითელი სპორტინტერნის 5 წლისთავის აღსანიშნავად. კამპანია მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს ერთიანი სასპორტო ფრონტის შექმნის ლოზუნგით.

ფიზკულტურის ა.-კ. საბჭო შეუდგა საწევრო გადასახადების შეკრებას თავის წევრებს შორის. საწევრო გადასახადებით შეგროვილი თანხა მოხმარდება საერთაშორისო სპარტაკიადას, რომელიც ჩატარდება მოსკოვში 1928 წელს.

მცურავთა შეჯიბრი

მოსკოვის ფიზკულტურის საბჭო შეჯიბრში მონაწილეობისათვის ბაქოში გზავნის საბჭოთა კავშირის რჩეულ მცურავთა გუნდს, რომელიც შესდგება 7 საუკეთესო მცურავისა და მყვინთავებისაგან. გარდა ამისა შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ჩამოვა სამი საუკეთესო მცურავი, მათ შორის ორი ქალი, რომელნიც წყალში ხტომით და დახელოვნებული ცურვით სჯობიან მცურავ ვაჟებს მცურავთა შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ოდესის მცურავნიც გაიმართება ბაქოში სექტემბრის დამლევს.

ა.-კ. შეჯიბრი ფეხბურთსა და ბასკეტბოლში

სექტემბრის დამდეგისათვის ა.-კ. ფიზკულტურის საბჭო ბაქოში აწყობს შეჯიბრებას ფუტბოლსა და ბასკეტბოლში ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფეხბურთელთა და ბასკეტბოლის გუნდები.

შეჯიბრზე მოწვეულნი არიან რესპუბლიკების გამარჯვებულნი გუნდები.

ა.-კ. ფეხბურთელები ფინეთში

წითელმა სპორტინტერმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის საბჭოს გაგზავნოს ა.-კ. ფეხბურთელთა გუნდი ფინეთში იქაურ ფეხბურთელთა გუნდებთან შესაჯიბრებლად.

საბჭოთა კავშირის, კერძოთ ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა გუნდი მიწვეულია ჰელსინგფორსში არსებულ მუშათა სასპორტო კავშირის მიერ.

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭომ ეს წინადადება მიიღო.

ა.-კ. ფეხბურთელები ჯერ მონაწილეობას მიიღებენ მელითონეთა კავშირის მიერ მოსკოვში მოწყობილ შეჯიბრში; აქედან გაემგზავრებიან ლენინგრადის შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად და ამის შემდეგ ჩავლენ ჰელსინგფორსში.

მოსკოვ — ბაქოს შეჯიბრი

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭომ მოსკოვის საბჭოდგან წინადადება მიიღო გაუმართოს მელითონეთა პროფკავშირის ფეხბურთელთა გუნდს შეჯიბრი ბაქოს ან თბილისის გუნდებთან. ა.-კ. ფიზკულტურის საბჭომ გადასწყვიტა მოაწყოს მოსკოველების და ბაქოელების შეჯიბრი—სექტემბრის შუა რიცხვებში. ბაქოში შეჯიბრის დამთავრების შემდეგ, ქართველები მოსკოველებს გაუმართავენ სამაგიერო ვიზიტს—მოსკოვში. ბაქოელ და მოსკოველ ფეხბურთელების გუნდების პირველი შეხვედრა მოხდება ბალახანის ფიზკულტურის სტადიონზე, რომელიც საუკეთესო სტადიონად ითვლება მთელს ამიერ-კავკასიაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ მოვიქცე

კითხვა

მე ვცხოვრობ პირველ უბანში პეტროვსკის ქ. სახ. № 34-ში. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 25 კვ. არშ. პირველ სართულში. ოთახს იატაკი აქვს აგურის. ბინის უქონლობის გამო სახლის პატრონს შევეკარი შინაური ხელწერილით, რომლის ძალით უნდა მეძლია თვეში ათი მანეთი (10 მან.) .მივეცი წინდაწინ ოთხი თვის ქირა 40 მან. ვცხოვრობთ სამი სული ჩემს ხარჯზე. ჩემი და ავადმყოფი (უმუშევარი) და შვილი ჩემი 8 წლის. ვმსახურობ მდელოსის არყის საწყობში; ჯამაგირს ვიღებ თვეში 37 მ. 60 კაპ., ვარ კავშირის წევრი (წიგნაკის № 12.853). ჩემი მცირე ჯამაგირის მიხედვით. არა მაქვს შეძლება ვაძლიო სახლის პატრონს თვეში ათი მანეთი ბინის ქირად.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად თვეში? ან და მაქვს თუ არა უფლება გამოუბარო წინდაწინ მიცემული 40 მანეთი? ჩემ მიერ მიცემული ხელწერილი იქნება გაუქმებული თუ არა? და თუ კანონიერი ბინის ქირა არ მიიღო სახლის პატრონმა სად შევიტანო.

მუშა-ქალი ქვრივი ანეტა შარაშანიძე.

პასუხი

ხელწერილის გაბათილება უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით სამოქალაქო სამართლის წესით, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33-ისა. თქვენი ხელფასის მიხედვით თანახმად არსებული საბინაო ტარიფისა თითოეულ კვადრატულ არშინზე უნდა გადაიხადოთ ორი კაპეიკი. რაც შეეხება წინდაწინ მიცემულ ქირის (40 მან.) მომავალ თვეების ბინის ქირებში განაწილება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. სახლის პატრონი ვალდებულია ბინის კანონიერი ქირა მიიღოს და თუ იგი მას თქვენგან არ მიიღებს, თქვენ გაქვთ უფლება ასეთი შეიტანოთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომატის დეპოზიტში.

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ახალი სოფლის" მთავარ კანტორებისაგან

„კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალ სოფელზე" პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში

1. **ხაშურში**—კანტ. გამგე **მათე გოგუაძესთან** — მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **სენაკი**—განყ. გამგე **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
9. **ბათომი**—„**კომუნისტი"-ს კანტორაში მთელი აჭარისტანი**სთვის.
10. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან** — მთელი ოზურგეთის მაზრისთვის.
11. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისთვის.
12. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**გლეხკომთან.**
14. **სოხუმში**—„**კომუნისტი"-ს კანტორაში**—**მთელი აფხაზეთი**სთვის.

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ახალი სოფლის" მთავარი კანტორები

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოსი

1926—27 წ. წ. საკავშირო აღწერებთან დაკავშირებით განსაზღვრული ზომების მიღების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1926—27 წ. წ. სრულიად საკავშირო აღწერების წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს ს. ს. რ. შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატი და სტატ. ცენტრალური სამმართველო ადგენენ:

1) დაევალოს სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ შეამოწმონ და შეადგინონ არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისა მეკომურთა სიები სოფელ ადგილებში იმ რიგით და თანამიმდევრობით, როგორითაც გაშენებულია სოფლის ტერიტორიაზე მეკომურთა საცხოვრებელი სადგომების ხსენებულ სიებში აღნიშნული უნდა იქნას გვარი, სახელი და მამის სახელი მეკომურისა და აგრეთვე მცხოვრებთა საერთო რიცხვი თითეულ კომლზე.

2) დაევალოს სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისა მისცენ სახელწოდება და გაუკეთონ სათანადო წარწერა ყველა ქუჩებს, შესახვევებს და სხვა ამ გვარს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და აგრეთვე დანომრონ სინამდვილეში ყველა მფლობელობანი.

ქალაქებში: თბილისში, ბათომში და ქუთაისში დანომრილი უნდა იქმნეს აგრეთვე ბინები.

3) დაევალოს სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისა შეამოწმონ სინამდვილესთან არსებული გეგმები ქალაქებისა, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობს—შეადგინონ ახლად სქემატიური გეგმები ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებისა.

4) დაევალოს სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს, არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისა აღნიშნონ მე-3-მე მუხლში მოხსენებულ გეგმებზე ქალაქის ტერიტორიის საზღვრები, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

ს. ს. ს. რ. შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარი: შ. მათიკაშვილი.
ს. ს. ს. რ. სტატ. ცენტრ. სამმ. მმართველი: ა. რუხაძე.

1926 წ. ივლისი 27
ქ. თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ—მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო ამით აცხადებს რომ, თანახმად თბ. კომიტეტის განკარგულებისა ერთიანი პარტიული დღე გადადებულია შემდეგისათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ერთიანი პარტიული დღე, რომელიც დანიშნული იყო 30 ივლისს, გადატანილია 6 აგვისტოსათვის.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო ქვე-განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს: ქაქუჩა თაყაიშვილის და გოგი მელუას გამოცხადდენ ამა წლის 30 ივლისს ცეკაში ამხ. კვირკელიასთან.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო ქვე-განყ.
მდივანი შა[illegible]იაშვილი.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი აუწყებს საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს და უჯრედებს, რომ მთლიანი საკავშირო დღე, რომელიც დანიშნული იყო 3 აგვისტოს, გადატანილია 10 აგვისტოსათვის.

ვინ არის წინააღმდეგი?

ქართ. სამხ. პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომკავშირის წევრებს: 1) გაგუა ილია იესეს ძეს; 2) ვაჩნაძე მელიტონი იოსების ძეს; 3) ძაგნიძე გრიგოლ ერმილეს ძეს, რომლებიც თხოულობენ პარტიის კანდიდატათ გადარიცხვას. თუ აღნიშნული ამხანაგების შესახებ ვისმეს რაიმე უარყოფითი ცნობები მოეპოვება, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი: **ა. ცხადაძე.**

ღრმა მწუხარებაში მყოფი მშობლები: დედა ტერეზი, მამა კონსტანტინე, ძმები: ლასა, რამინ, და მარო, ძმისწულები გივი და ანგელინა იმნაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

მიხეილ (იგივე ჭიჭიკო) კონსტანტინესძე
იმნაძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 31 ივლისს, დღის 2 საათზე, ქ. ლანჩხუთში, გვიმბალაურის წმინდა გიორგის ეკლესიაში. 3074

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ანა საბას ასული შვილებით: გიორგი, მიხეილ, მარიამ, ბარბარე, თამარი, ელენე და ევგენი კოზმოვები აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს, რომ დღეს 30 ივლისს საღამოს ექვს საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

ლევან ალექსანდრესძე კოზმოვის

ხსოვნის აღსანიშნავად ნ. 1619

ღრმად დამწუხრებულნი მამა ალექსანდრე გიორგისძე, ძმა ვარლამ ალექსანდრესძე ცოლშვილით, დები დარიკო შვილებით და ოლღა, შვილები ალექსანდრე და ალექსანდრა დიდით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასის

ექ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
არდიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან ვერის ახალ სასაფლაოზე 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე. ქვ. 3085

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნოლეი

ჟენი პორტენ სურათში
„ძველი კანონი"
პრესა აღტაცებით შეხვდა ამ სურათს
საუკეთესო სურათი
„რობინ გუდ"
დადგმის უკანასკნელი დღეები
მთავარ როლში დუგლას ფერბენქსი
კონრად ვეიდტ და ლიანა გაიდ სურათში
„ლედი გამილტონ"
2 სერია ერთად
ნ. 1446 0—24

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—3

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა საქ. ს.მ.უ.ს. ეკონომიურ სამმართველოში

დამტკიცებულია

სავაჭრო ნიშნები შემდეგი ფირმებისა:

1 ფ. „**ძველი გემოს**" ღვ. საწყ. ესიტაშვილისა. მარკად კახელი გლეხია ქვევრზე დახრილი, რომლიდანაც იღებს ღვინოს. წარწერა რუსულად და ქართულადაა: „კახური ღვინო „ძველი გემო" ესიტაშვილისა"

2 ფ. „**ვაჩნაძიანისა**" ღვ. საწყ. ბერიკაშვილისა. მარკად კასრზე შემომჯდარი ბავშია, ცალ ხელში უჭირავს ყანწი, მეორე ხელი კი ვაზის ტოტზე აქვს მოკიდებული.

3 ფ. „**ნაქებისა**" ღვ. საწყ. წვერიკმაზაშვილისა. მარკად კახელი გლეხია, რომელიც კასრიდან სიფონით ღვინოს ასხამს. წარწერა რუსულად და ქართულადაა: „კახური ღვინო „ნაქები" თბილისი, საბჭოს ქ. № 6".

4 ფ. „**სათემოსი**" ღვ. საწყ. პ. სტეფანოვისა. მარკად ფ. „**გემრიელის**" მარკაა. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „ბუნებრივი კახური ღვინო „სათემო".

5 ფ. „**ველისციხისა**" ღვ. საწყ. გერ. ტარასაშვილისა. მარკად ქულაჯაში გამოწყობილი კახელია. აწეულ ხელში ყანწი უჭირავს, მეორე კი მაგიდაზე უდევს. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო" „ველის ციხე" გ. ტარასაშვილისა".

მრეწველობის ინსპექტორი ა. მეზურნიშვილი.
ნ. 1620 კანცგამგე ა. შენგელია.

წარმოკავშირის სალიკვიდაციო კომისია

რომელიც არჩეულ იქნა ა-წ. 24 ივლისს საგანგებო ყრილობის მიერ წარმოკავშირის ლიკვიდაციის ჩასატარებლად, ამით აცხადებს კრედიტორთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, ა-წ. 3 აგვისტოს, წარმოკავშირის სადგომში (კომინტერნის ქ. № 3).

მოწვეულია

კრედიტორთა კრება

რომელზედაც არჩეულ უნდა იქნას კრედიტორთა ერთი წარმომადგენელი სალიკვიდაციო კომისიაში სამუშაოდ.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის საზღვრებს გარეშე მყოფ კრედიტორებს სალიკვიდაციო კომისია სთხოვს სათანადო რწმუნებულება აღნიშნულ კრებაზე დასასწრებლად გაუგზავნონ ტელეგრაფის საშუალებით

ნ. 1619 სალიკვიდაციო კომისია.

წარმოკავშირის სალიკვიდაციო კომისია

რომელიც არჩეულ იქნა ა-წ. ივლისის 24-ს წარმოკავშირის ლიკვიდაციის ჩასატარებლად, ამით აცხადებს მოვალეთა ცნობად, რომ ყოველგვარი **პრეტენზია** წარმოკავშირის დავალიანების შესახებ

მიიღება ა-წ. სექტემბრის 1-მდე.

ხოლო ამ ვადის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

მისამართი. თბილისი, კომინტერნის ქუჩა № 3.

2—1 ნ. 1618 წარმოკავშირის სალიკვ. კომისია.

თბ. მაუდის ქარხნის საამშენებლო კომიტეტი

ა-წ. აგვისტოს 4-ს აცხადებს წერილობითი შეჯიბრებას დამზადებულ სილის, ხრეშის და რიყის ქვის გადატანაზე კარიერიდან მაუდის ქარხნის ტერიტორიაზე.

ცნობების მიღება შეიძლება კომიტეტის კანცელარიაში —პუშკინის ქ. № 3.

ნ. 1622 მაუდ. ქარხნ. საამშენებლო კომიტეტი.

თანახმად საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებისა

ჭრა-კერვის მრეწველობის ტრესტის ლიკვიდაციის გამო

სალიკვიდაციო კომისია

აცხადებს ყველა სავაჭრო, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, ვისაც აქვს რაიმე პრეტენზიები ჭრა-კერვის ტრესტის მიმართ, წარმოადგინონ ასეთი სალიკვიდაციო კომისიაში (მელიქოვის ქ. № 5) ორი კვირის განმავლობაში დღეიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნულ ვადის შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები არ იქნება განხილული ლიკვიდკომის მიერ

3089 სალიკვიდაციო კომისია

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, შაუმიანის ქუჩის 1-ლ შესახვევში სახლი № 21, დანიშნულია 10 აგვისტოს 1926 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ისხაკ შაშუაშვილის ქონების—ოჯახის მოწყობილების: ბუფეტის შკაფის, საჭურჭლე შკაფის, სამოვრის, პირის საბანის და სხვების, შეფასებულების 240 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე თამბაქოს ტრესტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1621

იყიდება რულონების ნამონახევი სუფთა, თეთრი ქაღალდი
ვას ფუთამდე
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
რუსთაველის პრ. № 34.
2—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე სახლი № 24 დ ნიშნულია 10 აგვისტოს 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** გაბრიელ ჩიკვაშვილის ქონების, რომელიც შეიცავს ოჯახის მორთულობას: პიანინოს, სკამებს, ლამპას, საკერავ მანქანას, სარკეს და სხვებს, შეფასებულებს 740 მან. **საჯარო ვაჭრობა** დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე თამბაქოს ტრესტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1621

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ –7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89
25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმხივნეების ბუახილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 3—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული „ზაკტპო"-ს გამგეობის მიერ № 946 ნადია კუკუხიძის სახელზე, ჩ. გ. 3077

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 10847 სიმონ ჯანდიერის სახელზე, ჩ. გ. 3082

დაიკარგა კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 11293 და შევბულების მოწმობა ანნა ციციკოვას სახელზე, ჩ. გ. 3075

დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი № 59 ფორმა № 4 ილია ესესძეს მათითაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3075

დაიკარგა პარტ. წიგნაკი, სამხედრო პირადობის მოწმობა, რემედასის წიგნაკი, ავიაქიმის წიგნაკი გაბრიელ გრიგოლისძე კოკოევის სახელზე, ჩ. გ. 3080

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი № 30 მელიტონ არჩვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3081

დაიკარგა სამხედრო ნუსხა და სამი მოწმობა მილიციაში ნამსახურობის ალექსი კიმოთესძე იუბაშევის სახელზე, ჩ. გ. 3086

დაიკარგა განათლების მუშაკთა პროფ-კავშირის წიგნაკი № 19612 და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4 ზაქარია ვასილისძე მანშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3084

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 756 ქ. ფოთის ცხრაწლედიდან გაცემული 1925 წ. ლეონტი ირაკლისძე პარკაიას სახელზე, ჩ. გ. 3083

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული პირველ სახალხო სასამართლოს მიერ მარიამ მახაზოვის სახელზე, 1925 წლ. 28 ივლისის თარიღით № 2908, ჩ. გ. 3076

დაიკარგა სამხ. პირადი წიგნაკი № 1503 გიორგი ივანესძე ბერაძის სახელზე, ჩ. გ. 3088

დაიკარგა სამტრედიის რკინის გზის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 2701 გრიგოლ ნიკოლოზისძე ელიავას სახელზე, ჩ. გ. 3088

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 865 გრიგოლ მალაქიასძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3087

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 154 გორის მაზრის მმაჩიდან მიღებული სიმონ ხომასურიძის სახელზე, ჩ. გ. 3088

დაიკარგა პირადობის მოწმობა, კავშირის საწევრო წიგნაკი შევბულების ბარათი, პირადი საანგარიშო წიგნაკი კირილე ლაზარესძე ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩ. გ. ნ. 1616

დაიკარგა საბუღალტრო კურსდამთავრების მოწმობა № 153 გრიგორი სილაქავას სახელზე, ჩ. გ. 3070

დაიკარგა სამხ. პირადი წიგნაკი ფორმა № 4, № 24. ბესარიონ სალუქვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3067

საქართველოს კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68